სასაზღვრო ზოლი აბსოლუტურად გაუკონტროლებელია A2

ნაგავომანია A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 აპრილი, 2003 წელი. №110 (322)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### დავით ბეჟუაშვილი პროკურატურას პასუხს იქით მოჰკითხავს

დავით ბეჟუაშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალი არ ცხრება. "საქგაზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, პროკურატურა, ბუნებრივ აირზე ფასების ხელოვნურად გაზრდასა და სხვა ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებს. ცოტა ხნის წინ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით მიმართა.

A3

## ეკონომიკა

### მიხეილ სააკაშვილი „თბილავიამშენის„ „სადარაჯოდ„ მორიგეობას აპირებს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი მაკონტროლებლებისა და "ბინძური დაჯგუფებისაგან 31-ე საავიაციო ქარხნის დასაცავად" სადღეღამისო მორიგეობის დაწესებასა და უახლოეს მომავალში "თბილავიამშენის" ტერიტორიის მაკონტროლებლებისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას აპირებს.

A4

## უცხოეთი

### აზერბაიჯანის პრეზიდენტს ინფარქტი აქვს?

გუშინ, საჯარო გამოსვლისას, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი შეუძლოდ შეიქნა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

A5

## საზოგადოება

### გზების დეპარტამენტი - ინვალიდთა ლიგის წინააღმდეგ

საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ყულაბა – საგზაო ფონდი უმაგრებს ზურგს, სასამართლოში ჩივის, შელავათს ითხოვს.

A6

## სამართალი

### ყაჩაღები სამიზნედ ახლობლებს და ნაცნობებს ირჩევდნენ

ისინი, ძირითადად, საკუთარ მასწავლებლებს, ოჯახის მეგობრებს და ნაცნობებს აყაჩაღებდნენ და იმ ნივთებსაც ართმევდნენ, რომელიც თავის დროზე თავადვე აჩუქეს.

A7

# STOP! წინ დიქტატურაა!

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში დიქტატურის დამყარების საფრთხეზე საუბრობს. მისი განცხადებით, სახელისუფლებო ბანაკის წარმომადგენელთა მიერ დემოკრატიული ფასეულობების ხელყოფისა და ნიველირების მცდელობამ ქვეყანა, შესაძლოა, დიქტატურამდე მიიყვანოს. სახელმწიფო იერარქიაში მეორე პირი, ედუარდ შევარდნაძეს, დიქტატურის საშიშროების შესახებ იმ სიტყვებს შეახსენებს, რომელიც მან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს წარმოთქვა და პრეზიდენტისგან ითხოვს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ საქართველო ამ საშიში გზით არ წავიდეს.*

**"მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება და სახელისუფლებო ბანაკი, თავისი ნაბიჯებით, იგნორირებას უკეთებს საზოგადოებრივ აზრს, ანგარიშს არ უწევს მას და ისე მოქმედებს, თითქოს, ერთპარტიულ სისტემაში ვცხოვრობდეთ. როდესაც არსებობს უამრავი პარტია, მათ შორის, საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონენი, არ შეიძლება იქითკენ მიმართული ქმედებების განხორციელება, რომ მოხდეს საარჩევნო კომისიებისგან ასეთი პარტიების იზოლაცია. ამ მიმართულებით პროცესების განვითარებას, შესაძლოა, ქვეყნისთვის მეტად საშიში შედეგები მოჰყვეს",** - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ.

გაგრძელება A3 გვერდზე




ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინო ბურჯანაძე: "ვერ ვიქნები იმ ბლოკში, რომელშიც ვახტანგ რჩეულიშვილი და ვიტალი ხაზარაძე არიან".

# შევარდნაძის საარჩევნო კიდობანი და "უსწავლელი" ოპოზიცია

გიორგი გიორგაძე

*ქართული პოლიტიკური საზოგადოების შემადგენელი თითოეული სუბიექტი შემოდგომაზე მოსალოდნელი საარჩევნო წარღვნისგან გადარჩენის გზებს ეძებს. შედარებით სუსტი "არსებები" შევარდნაძის "კიდობანზე" გამალებით იკავებენ ადგილებს. მათ სხვა გამოსავალი არა აქვთ: ხელისუფლების მფარველობის გარეშე, ისინი პოლიტიკურ კონკურენციას ვერ გაუძლებენ და უსახელოდ დაიღუპებიან. უფრო ძლიერებს ("აღორძინება", "მრეწველები", "ლეიბორისტები") შევარდნაძის ნავში ჯდომა ეთაკილებათ და იმედოვნებენ, რომ "სტიქიასთან" გამკლავებას მარტოც მოახერხებენ. საკუთარი "კიდობანის" აგებას ოპოზიცია, ჯერჯერობით, ამაოდ ცდილობს. პიროვნული ამბიციების გამო, ამ პროცესის დაწყება ჭიანურდება.*

დღევანდელ სახელისუფლებო ბანაკს, პირობითად, "დამარცხებულების ალიანსი" შეიძლება ვუწოდოთ.

რეფორმატორული "სისხლისგან" დაწრეტილმა "მოქალაქეთა კავშირმა" 2002 წლის მუნიციპალურ არჩევნებში გამანადგურებელი მარცხი იწვნია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნაცემი ახალგაზრდები პოლიციას უჩივიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ, გამთენიისას, თბილისის №2 კლინიკურ საავადმყოფოში, სასტიკად ნაცემი სამი ახალგაზრდა მიიყვანეს. დაზარალებულები: ნიკოლოზ დარახველიძე და ძმები - გურამ და მამუკა მაისურაძეები ირწმუნებიან, რომ მათ კანონდამცველები დაესხნენ თავს და დაუნდობლად გაუსწორდნენ. დაზარალებულები მომხდარს პოლიციის მხრიდან მოწყობილ და წინასწარ დაგეგმილ ანგარიშსწორებას არქმევენ და მათ წინააღმდეგ მოწყობილი მუშტი-კრივის ორგანიზატორად პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ასახელებენ. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ აკაკი ბუხრაძეს და მის თანამშრომლებს, დაზარალებულები, გუშინ ხშირად ახსენებდნენ, თუმცა იმასაც აცხადებდნენ, რომ გამართული დაუნდობელი მუშტი-კრივისას პოლიციის პოლკოვნიკი მათ ფიზიკურად არ შეხებია.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ერაყს, დროებით, ამერიკელი გენერალი უხელმძღვანელებს

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ ბაღდადში გადამდგარი ამერიკელი გენერალი ჯეი გარნერი ჩავიდა. ის ერაყის დროებით ადმინისტრაციას არჩევნების ჩატარებამდე უხელმძღვანელებს და აღდგენით სამუშაოებს, ჰუმანიტარული დახმარების განაწილებასა და სამოქალაქო ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას წარმართავს. გარნერი იმედოვნებს, რომ აშშ-ს სამხედრო ძალების ყოფნა ერაყში დიდხანს არ გაგრძელდება. გადამდგარ გენერალს ბაღდადში პირველივე დღის სამუშაო გრაფიკი მზად ჰქონდა. ის ბაღდადში ერთ-ერთ საავადმყოფოს ეწვია, მოინახულა ელექტროსადგური და საკანალიზაციო სისტემა. გარნერის უპირველეს ამოცანას დედაქალაქის წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა წარმოადგენს.*

გაგრძელება A5 გვერდზე

# საქართველო-კავკასიის ამერიკული საბჭოს მოულოდნელი თავმჯდომარე

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

რამდენიმე დღეა, საქართველოთი დაინტერესებული აშშ-ს ანალიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საქართველო-კავკასიის ამერიკული საბჭოს შექმნა, რომლის პრეზენტაციაც დღეს ვაშინგტონის ნაციონალურ პრეს-კლუბშია დაგეგმილი.

ბუნებრივია, ეს ფაქტი არ გახდებოდა სკანდალის მიზეზი, რომ არა ბადრი პატარკაციშვილის ფიგურა, რომელიც ამ საბჭოს თავმჯდომარეა და რომელიც ნაციონალური კლუბის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში ხვალ დანიშნულ პრესკონფერენციაზე მთავარ გამომსვლელად არის მოხსენიებული.

**"ბადრი პატარკაციშვილი - საბჭოს თავმჯდომარე, კავკასიაში ყველაზე მსხვილი მედია-კომპანიის მფლობელი, რომლის საკუთრებაში შედის ოთხი გაზეთი, ორი რადიოსადგური და სატელევიზიო კომპანია. პატარკაციშვილი წამყვანი საერთაშორისო ბიზნესმენი და ფილანტროპია. მან დაარსა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ფოკუსირებულია კავკასიის რეგიონის განვითარებასა და ანტიტერორიზმზე და სადაც მან, გასულ წელს, ოთხი მილიონი დოლარი გადარიცხა. ბოლო 15 წლის განმავლობაში ის მუშაობდა რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში."**

ეს არის მცირე ამონარიდი იმ პრესრელიზიდან, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, გავრცელდა და რომელიც ზოგადად აღწერს ახალი საბჭოს მიზნებსა და ფუნქციებს.

ბუნებრივია, ნებისმიერი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას და ამერიკის გავლენიან წრეებში საქართველოს თემის პოპულარიზებას, ძალზე მნიშვნელოვანია. ეს მნიშვნელობა იზრდება განსაკუთრებით ახლა, როცა მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა მყიფე ქართული დემოკრატია, შესაძლოა, სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს. გარდა ამისა, მომავალ მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში საბოლოოდ უნდა განისაზღვროს საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ადგილი და როლი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ევერესტი ნაბიჯ-ნაბიჯ იტკეპნება

კარვებიდან კი კვნესა, ბოდვა და ყვირილი ისმის

გიგა გურასაშვილი

*რუსების 12-კაციან ექსპედიციას შეკედლებული ბიძინა გუჯაბიძე ევერესტის მისადგომებს ტიბეტის მხრიდან – ჩრდილოეთიდან მისდგომია, საბაზო და საშუალედო ბანაკებს შორის, ზევით-ქვევით დადის. აღმა-დაღმა სიარული ევერესტისა და, საერთოდ, რვაათასიანი მწვერვალების დაპყრობის მსურველთათვის ჩვეული ამბავია. ეს ყველაფერი აკლიმატიზაციისთვის კეთდება. ადამიანის ორგანიზმი ერთბაშად ასეთ დატვირთვას ვერ უძლებს. ამიტომაც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ მაღლა. როგორც ექსპედიციის მეთაურის, ალექსანდრ აბრამოვის სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდებზე გამოქვეყნებული დღიურებიდან ვიგებთ, ექსპედიცია ეტაპობრივად უახლოვდება მწვერვალს. იმავე დღიურების თანახმად, კარგ ფორმაშია გუჯაბიძე. ამონარიდის სახით ვბეჭდავთ აბრამოვის დღიურებს. მსგავსი მასალა ერთი კვირის წინაც შემოგთავაზეთ. მაშინ, 12 აპრილის ჩანაწერებით დავასრულეთ. ექსპედიციის ხელმძღვანელის თქმით, იმ დღით, საბაზო ბანაკში, კარგი განწყობა და თბილი ამინდი იყო. მთამსვლელები საშუალედო ბანაკში ასასვლელად ემზადებოდნენ.*

გაგრძელება B5 გვერდზე



ექსპედიცია 7000 მეტრ სიმაღლეზე.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 16 | |
| ბათუმი | 11 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 13 | |
| ახმეტა | 14 | |
| ჭიათურა | 15 | |
| გაგრა | 9 | |
| სამტრედია | 14 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1660 |
| ევრო | 2.3564 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4108 |
| რუბლი | 0.0694 |

A2 ინფორმაცია A3 სამართალი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# სასაზღვრო ზოლი აბსოლუტურად გაუკონტროლებელია

მაია მოსიაშვილი

გუშინ ღამით, წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, მორიგი ინციდენტი დაფიქსირდა. სამმა მსუბუქმა მანქანამ, ეგრეთ წოდებულმა "სარანჩამ" (ასე ამ მანქანებს მესაზღვრეები ეძახიან), ძალის გამოყენებით შემოაღწია საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი არ დაემორჩილნენ მესაზღვრეებს, რომლებმაც შლაგბაუმის გადაკეტვა მოასწრეს. პირველი მანქანა რკინის კარს დაეჯახა და გაანგრია. კარის ერთი ფრთა იქვე მდგომ 20 წლის მოქალაქეს დაეჯახა. ბიჭმა გონება დაკარგა და ახლაც საავადმყოფოში იმყოფება. მისი ვინაობა ჯერ დადგენილი არ არის. ასევე უცნობია საზღვრის დამრღვევთა ვინაობაც. ქვემო ქართლის საგანგებო ლეგიონის უფროსის კახა ხვისტანის თქმით, მანქანები სხვადასახვა დასახელების ტვირთით იყო დატვირთული, სავარაუდოდ, კონტრაბანდული ტანსაცმლით. **"ასეთი ქმედება მანქანების პატრონებს ადრეც აქვთ ჩადენილი. მე ვიცი მათი "კლიჩკები", თუმცა ჯერ შეგნებულად არ დავასახელებ,"** - ამბობს ხვისტანი. მისივე ინფორმაციით, მანქანები ინციდენტის შემდეგ მიმდებარე სოფლებში დამალეს და შემდგომ კი მათ თბილისისაკენ აიღეს გეზი.

ის ფაქტი, რომ საბაჟო ზოლის მიმდებარე სოფლებში კონტრაბანდული ტვირთის გადაზიდვა და შენახვა ხდება, ყველა სამართალდამცველისათვის ცნობილია, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევებში უძლურები არიან. ერთი კვირის წინ საგანგებო ლეგიონი შეეცადა, რომ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სოფელში იქ მაცხოვრებლის სახლიდან კონტრაბანდული საქონელი ამოეღო, თუმცა ამაოდ. ადგილზე მისულ ლეგიონერებს სოფლელებმა ალყა შემოარტყეს და მცირეოდენი ცემა-ტყეპის შემდეგ ხელცარიელები გამოაბუნძულეს იქიდან. ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ მკაცრად გააკრიტიკა საგანგებო ლეგიონი ასეთი ქმედებისათვის, რადგან საპარლამენტო არჩევნების წინ აზერბაიჯანელების განაწყენება მოქალაქეთა კავშირისათვის ხარაკირის ტოლფასია. ასე რომ, მოსწონს თუ არ მოსწონს, კონტრაბანდის დაკავებას საგანგებო ლეგიონი საზღვართან უნდა შეეცადოს, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. **"სასაზღვრო ზოლი აბსოლუტურად გაუკონტროლებელია, ვისაც როგორ უნდა, ისე დადის. შემაშფოთებელია, რომ საზღვრის დარღვევა სისტემატურად ხდება. მიუხედავად ჩვენი არაერთი თხოვნისა, რომ გამკაცრდეს მესაზღვრეების მიერ საზღვარზე მოქალაქეების გადმოსვლა, არაფერი იცვლება. მესაზღვრეები დაინტერესებულნი არ არიან მათზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულონ,"** - აცხადებს ქვემო ქართლის საგანგებო ლეგიონის უფროსი.

# საარჩევნოდ არასამთავრობოებიც გაერთიანდებიან

არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრების" ლიდერის ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში ათამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, სახალხო დამცველის ოფისთან ერთად, ახალი კოალიციის პრეზენტაციას მოაწყობს.

**"კოალიციის მთავარი მიზანი იქნება არჩევნების დროს საარჩევნო პროცესის ერთობლივი მონიტორინგი. კოალიციაში გაერთიანდებიან ის არასამთავრობოები, რომლებმაც წლების განმავლობაში ნეიტრალური იმიჯი შეიქმნეს და არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ლობირებდნენ. მათთან ერთად იქნება ომბუდსმენის ოფისიც. ახალ გაერთიანებაში შესვლით ეს ორგანიზაციები აიღებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას - დაიკავონ ის ნეიტრალური პოზიცია, რომელიც არჩევნების პერიოდში აუცილებელია. კოალიცია თანაბრად სანდო უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ძალისა და მთელი მოსახლეობისათვის,"** - აცხადებს კაკაბაძე. გაერთიანების მთელი ძალისხმევა მოხმარდება იმას, რომ არჩევნები კანონის სრული დაცვით ჩატარდეს და აღარ გაგრძელდეს ყბადაღებული თემა - გაყალბებული არჩევნები. **"ჩვენი მიზანია, რომ რაღაცნაირად შევცვალოთ ხელისუფლება, ვაიძულოთ ის კანონის დაცვით მოვიდეს. თუ ხელისუფლებას ეცოდინება, რომ დღეს საზოგადოება მისგან კანონის აღსრულებასა და დაცვას მოითხოვს, ხოლო უკანონობაზე პასუხს მოსთხოვს, ის მეტად იქნება ანგარიშვალდებული თავის ამომრჩევლებთან,"** - ნანა კაკაბაძე კოალიციის სავარაუდო წევრების შესახებ კომენტარს არ აკეთებს. მისი თქმით, ყველა ორგანიზაცია საკუთარ პოზიციას რამდენიმე დღეში ომბუდსმენის ოფისში გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადებს.

*"24 საათი"*

# სოხუმი ცდილობს, დაპირისპირება ამოწურულად წარმოაჩინოს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურასთან დაკავშირებული კონსულტაციები, მიმდინარე კვირას, გადამწყვეტ ფაზაში შევა, აცხადებს სოხუმის ლიდერის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე როინ აგრბა.

მისი თქმით, ამჟამად კანდიდატები აფხაზეთის მეთაურთან ვლადისლავ არძინბასთან ახალი მთავრობის საკადრო მომენტებს განიხილავენ.

ორი კვირის წინ თანამდებობიდან გადამდგარი გენადი გაგულიას ნაცვლად პრემიერის პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატებს შორის მან დაასახელა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - თავდაცვის მინისტრი რაულ ხაჯიმბა.

როინ აგრბამ პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ გასულ შაბათს ვლადისლავ არძინბას კონსტრუქციული დიალოგი ჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" წარმომადგენლებთან.

"ამცახარა" ძირითადად 1992-93 წლებში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ვეტერანებს აერთიანებს და სწორედ ამ ორგანიზაციის ზეწოლის შემდეგ გადადგა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობა.

აგრბას თქმით, "ვიღაცას ძალიან არ აწყობს ნორმალური დიალოგი პრეზიდენტსა და ვეტერანებს შორის და პროვოკაციული მიზნით მათი შეხვედრის დღეს სოხუმში "ამცახარას" ოფისი ააფეთქა, თუმცა, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა".

მისი თქმით, შსს და უშიშროების სამსახური აქტიურად მუშაობენ ტერაქტის გასახსნელად. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ცუდად გახდომის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შესაბამის სამსახურებს ბაქოსთან დაკავშირება და აზერბაიჯანელი კოლეგისა და მეგობრის მდგომარეობის გარკვევა დაავალა. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ, ჰეიდარ ალიევის აპარატთან დაკავშირებისას გაირკვა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ეძინა და თავს ნორმალურად გრძნობდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაციების "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "გაერთიანებული დემოკრატების" გაერთიანება ერთ კოალიციაში გარდაუვალია. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს "ნაცმოძრაობის" ლიდერმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე გაძლიერებული სამსახური, ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა და საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ინიცირება პრიორიტეტულია ქართველი და რუსი მესაზღვრეების გაზაფხული-ზაფხულის პერიოდის თანამშრომლობაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთიანი კომპარტიის" ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე, ამ კვირაში, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წერილობითი თხოვნით მიმართავს, რომლითაც მისი შვილის, სპეცსამსახურების ყოფილი შეფის და 1995 წელს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმის ორგანიზებაში ეჭვმიტანილის, ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძის სამშობლოში დაბრუნებისათვის ნებართვას სთხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთიანი კომპარტია" სამშაბათს, ლენინის დაბადებიდან 133-ე წლისთავს, მთელს საქართველოში საზეიმო მიტინგებითა და შეკრებებით აღნიშნავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შემოდგომაზე დეგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წინასაარჩევნო კამპანიას 61 იმიჯმეიკერი უხელმძღვანელებს. იმიჯმეიკერები აშშ-დან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და გერმანიიდან არიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლო საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით კონსულტანტებად ქართველ იმიჯმეიკერებს მოიწვევს, თუმცა აღნიშნულის შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლო პარტია "მოქალაქეთა კავშირის" ყრილობა მაისის მეორე ნახევარში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** "მრგვალი მაგიდა" თემაზე - "კონფლიქტები კავკასიაში - აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი, ჩეჩნეთი. ეუთოს ნიდერლანდების წარმომადგენლობის გამოწვევები" - 28 აპრილს ჰააგაში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველო-კავკასიის ამერიკული საბჭოს მოულოდნელი თავმჯდომარე

გაგრძელება A3 გვერდზე

ასეთი ორგანიზაციის შექმნას მიესალმებნოდნენ ამერიკელებიც, თუმცა ამ საბჭოში პატარკაციშვილის ფიგურის ამოტივტივებამ სრული გაუგებრობა წარმოშვა.

ფაქტია, რომ "ახალმა მემარჯვენეებმა", რომელთა ერთ-ერთი აქტიური წევრი ირაკლი არეშიძე ამ საბჭოს აღმასრულებელი დირექტორია, თავისი პოლიტიკური საქმიანობა საბოლოოდ დაუკავშირეს პატარკაციშვილს. ისიც ფაქტია, რომ რადგან "მემარჯვენეები" ამ ნაბიჯზე წავიდნენ, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათ მიერ აღებულ პროამერიკულ კურსში ამ სკანდალურ ბიზნესმენს თავისი ადგილი მოუძებნონ და ამერიკის გავლენიან წრეებში მისი სახელის რეაბილიტაცია შეძლონ.

ამაზე მიუთითებს პატარკაციშვილის ის მოკლე "ბიოგრაფიული ცნობარიც", რომელიც ნაციონალური პრესკლუბის პრესრელიზშია მოყვანილი.

რაც მთავარია, პრესრელიზის ავტორებს არ დავიწყებიათ, პატარკაციშვილის ფიგურა ამერიკული კონიუნქტურისათვისაც მოერგოთ და ხაზი გაესვათ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მის მიერ შეტანილი წვლილისთვის, მიუხედავად იმისა, რომ "ასეთი წვლილის" შესახებ საქართველოში ჯერ არავის სმენია.

ეს მაშინ, როცა ბევრი ამერიკელი ანალიტიკოსისთვის, რომელიც კარგად ერკვევა ქართულ რეალობაში, პატარკაციშვილის სახელი პირდაპირ უკავშირდება შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს კახა თარგამაძეს. თარგამაძის საქმიანობა კი ყოველთვის იძლეოდა ეჭვის საფუძველს, რომ პანკისის პრობლემის შექმნაში მან საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

ზეინო ბარანი, რომელიც ნიქსონის ცენტრში ერთ-ერთი წამყვანი ანალიტიკოსია, ადმინისტრაციასთან თავისი ახლო კონტაქტებით არის ცნობილი და შესაბამისად, ძალიან ბევრ ინფორმაციასაც ფლობს. იგი აცხადებს, რომ პატარკაციშვილი ნამდვილად არ შეუწყობს ხელს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების წარმატებით განვითარებას და უფრო პირიქით გავლენას იქონიებს.

**"მე არა მგონია, რომ ბადრი პატარკაციშვილი არის ის ფიგურა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების ან ქართული დემოკრატიის პოპულარიზებას.**

**მან საქართველოში დიდი რაოდენობით ინვესტიცია განახორციელა, მაგრამ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები იმის შესახებ, თუ რა არის ამ ფულის წყარო. ის ბორის ბერეზოვსკის ბიზნეს-პარტნიორი იყო და რუსეთი დიდი ხანია, ითხოვს ორივეს ექსტრადიციას, საეჭვო ბიზნეს-საქმიანობის გამო.**

**გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დეტალი: ცნობილია პუტინის დამოკიდებულება ბერეზოვსკის მიმართ და ახლა, როცა საჭიროა მუშაობა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, ბადრი პატარკაციშვილის პოპულარიზაცია საქართველოს მხრიდან სწორი ნაბიჯი არ არის. ეს დეტალი, ცხადია, ვაშინგტონისთვისაც მნიშვნელოვანია".**

ზეინო ბარანისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ნეიტრალური პოზიცია აქვს პროფესორ ჩარლზ ფერნბექსს, რომელიც ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში ძალიან გავლენიან ფიგურად ითვლება.

**"ვიცი, რომ ამერიკაში პატარკაციშვილს ზოგიერთი არ სწყალობს. თუმცა, მე გავიკითხე ამერიკის მთავრობაში და იქ მის წინააღმდეგ არაფერი აქვთ. გარდა ამისა, ბევრმა მის შესახებ არც კი იცის. ხოლო თუ მაინცადამაინც მის სახელს ბერეზოვსკის დავუკავშირებთ, უნდა ითქვას, რომ არც ბერეზოვსკის შესახებ არსებობს ერთგვაროვანი აზრი ამერიკის გავლენიან წრეებში,"** - აცხადებს ჩარლზ ფერბენქსი.

ამერიკის ხელისუფლებიდან, ბუნებრივია, საჯაროდ არავინ გააკეთებს განცხადებას პატარკაციშვილის წინააღმდეგ. შესაძლოა, გამოჩდნენ ისეთი კონგრესმენებიც, რომლებიც მას დადებითად დაახასიათებენ, მაგრამ ეს ბადრი პატარკაციშვილის მიმართ აქ არსებულ ზოგად განწყობას მაინც ვერ შეცვლის.

რაც შეეხება ვაშინგტონში მის ვიზიტს, ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, ჩამოვიდოდა თუ არა თავად ის ამერიკის დედაქალაქში. როგორც ჩვენთვის, ორი დღის წინ, ვაშინგტონის ნაციონალური პრეს-კლუბიდან გახდა ცნობილი, პატარკაციშვილი თბილისში რჩება და პრესკონფერენციაზე ტელე-ხიდით ჩაერთვება.



*ბადრი პატარკაციშვილის ფიგურას აშშ-ში არაერთგვაროვნად აფასებენ.*

# დავით ბეჟუაშვილი პროკურატურას პასუხს იქით მოჰკითხავს

თამარ ასათიანი

*დავით ბეჟუაშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალი არ ცხრება. "საქგაზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, პროკურატურა, ბუნებრივ აირზე ფასების ხელოვნურად გაზრდასა და სხვა ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებს. ცოტა ხნის წინ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით მიმართა. "პარლამენტის წევრის დავით ბეჟუაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემაზე და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებაზე სასამართლოს მიმართვის თანხმობის შესახებ" – ასე ეწოდება ამ ოფიციალურ წერილს.*



*ბეჟუაშვილი ბრალდებებს არ ცნობს.*

პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილისა და პროკურატურის დავა არ ახალია – ორივე მხარემ ამ პრობლემას არაერთი საჯარო გამოსვლა თუ პრესკონფერენცია მიუძღვნა. ამის მიუხედავად, საქმე კვლავ ბურუსით არის მოცული. მეტიც: დავით ბეჟუაშვილი ცალსახად აცხადებს, რომ გამოძიება მისი მოწინააღმდეგეების დაკვეთას ასრულებს.

ამასობაში, პროკურატურა დროს უქმად არ კარგავს და პარლამენტს სთხოვს, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ გამოძიებას ბეჟუაშვილის წინააღმდეგ მოქმედების უფლება მისცეს.

გუშინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პროკურატურის თხოვნა განიხილა. სხდომას თვით გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძეც ესწრებოდა, თუმცა, წინასწარი გამოძიების შედეგები დამსწრე საზოგადოებას საგამოძიებო ჯგუფის უფროსის მოადგილემ რევაზ ზარანდიამ წარუდგინა.

ნაწყვეტი გენპროკურორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან:

**"2002 წლის 29 ნოემბერს შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება "საქგაზის" მუშაკთა მიმართ. საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი გახდა საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-ის კავკასიის მისიის ენერგეტიკულ საკითხებში მრჩევლის ემერესის დასკვნა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები. 2002 წლის 19 სექტემბერს, იმასთან დაკავშირებით, რომ ჩატარებული გამოძიებით გამოიკვეთა სამოხელეო დანაშაულის ნიშნები, საქმე ქვემდებარეობით შემდგომი გამოძიებისთვის ჩემს მიერ დაექვემდებარა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს".** (სტილი ყველგან დაცულია).

ამავე დოკუმენტის თანახმად, დავით ბეჟუაშვილმა, თემურ გიორგაძის ხელშეწყობით, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზაგაუვლელი და რეგისტრაციაში გაუტარებელი, **"შესაბამისად, ნორმატიული აქტის ძალის არმქონე ბრძანების გამოყენებით, დაუსაბუთებლად და თვითნებურად გამოსცა ბრძანება, რითაც ბუნებრივი აირის დაშვებული და მოქმედი საბითუმო სარეალიზაციო ტარიფი ყოველ 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე 123 ლარიდან და 90 თეთრიდან, ყოველგვარი განსაკუთარებული საფუძვლის გარეშე, 198 ლარამდე და 2 თეთრამდე თვითნებურად გაზარდა",** რასაც, გამოძიების დასკვნით, განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა: მომხმარებლებმა გადაიხადეს ზედმეტად 3983647 ლარი და ხუთი თეთრი.

**"იმის გათვალისწინებით, რომ დეპუტატ ბეჟუაშვილის მიერ ბიუჯეტისათვის დამალვით მიყენებული ზარალი დიდი ოდენობით – 140944 ლარი და 30 თეთრი თანხიდან არც ერთი თეთრი ანაზღაურებული არ არის, მისი თავისუფლებაზე ყოფნის პირობებში გამორიცხული არ არის მისი მხრიდან იმ მოწმეებზე ზემოქმედება, რომელნიც მას დანაშაულში ამხელენ, ასევე 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით მოსალოდნელი სასჯელისა და დიდი ოდენობით თანხების ანაზღაურების იძულებით დაკისრების შიშით, არ არის გამორიცხული, იგი დაემალოს გამოძიებას და სასამართლოს. ვხელმძღვანელობ რა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლით... გთხოვთ, მოგვცეთ პარლამენტის წევრის დავით ბეჟუაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებაზე სასამართლოსთვის მიმართვის თანხმობა",** – წერს დასასრულ გენერალური პროკურორი.

უნდა ითქვას, რომ ამ ბრალდებების სიმძიმის მიუხედავად, დავით ბეჟუაშვილი გუშინ პროკურატურის წარმომადგენელს იქით უტევდა და რამდენჯერმე განაცხადა კიდეც, რომ იგი უდანაშაულოა და დღესაც იგივეს მოიმოქმედებდა - გაზრდიდა ბუნებრივი აირის საფასურს, ვინაიდან ამას პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში მიღებული ცვლილებები ითხოვდა. საინტერესოა, რომ პარლამენტარის პოზიციას სხდომაზე დამსწრე დეპუტატები იზიარებდნენ. მათ პროკურატურის წარმომადგენელზე შეტევა იმდენად ერთსულოვნად და შეხმატკბილებულად განახორციელეს, რომ თავად ნუგზარ გაბრიჩიძე იძულებული გახადეს, უმცროს კოლეგას გამოსარჩლებოდა.

რაც შეეხება პროკურატურის მიერ მოპოვებულ მასალებს. როგორც დავით ბეჟუაშვილი აცხადებს, საწარმოს აუდიტი იმ ადამიანმა ჩაუტარა, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. დასტურად კი საქგაზის გენერალური დირექტორის ლეონიდ დეიკალოს სახელზე გაგზავნილი წერილი მოიყვანა, რომელსაც აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აწერს ხელს.

ამ დოკუმენტის თანახმად, **"აუდიტორმა ნათელა ისაკაძემ საკვალიფიკაციო სერთიფიკატის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ გამოთქვა სურვილი გაეარა ატესტაცია და გაეგრძელებინა საკვალიფიკაციო სერთიფიკატის მოქმედების ვადა, მან 2002 წლის 24 და 28 თებერვალს ორჯერ სცადა გაეარა საკვალიფიკაციო გამოცდები და ორჯერვე მიიღო უარყოფითი შეფასება. შემდგომ მან 2002 წლის 14 დეკემბერს წარმატებით გაიარა ატესტაცია და მასზე გაიცა საკვალიფიკაციო სერთიფიკატი მოქმედების ვადით 2002 წლის 16 დეკემბრიდან 2005 წლის 16 დეკემბრამდე. აქედან გამომდინარე, აუდიტორს ნათელა ისაკაძეს 2002 წლის 6 თებერვლიდან 2002 წლის 26 დეკემბრამდე არ გააჩნდა აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი და მას, როგორც ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ აუდიტორს აუდიტორული დასკვნის გაცემის უფლება არ ჰქონდა."**

ბეჟუაშვილი ამ დოკუმენტის შესწავლას პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს და მიხეილ ოსაძის საგამოძიებო კომისიას სთხოვს. იგი მიიჩნევს, რომ გენპროკურატურის ხელთ არსებული დოკუმენტაციის მოტივით მისი კრიმინალურ ბიზნესში დადანაშაულების მცდელობა საფუძველს მოკლებულია. მისი თქმით, "საქგაზის" ხელმძღვანელობის პერიოდში მის უწყებას სახელმწიფოსადმი დავალიანება არ ჰქონია და ამის შესახებ არსებულ დოკუმენტებს პროკურატურა ძიების საქმეში შეგნებულად არ იყენებს. **"ბიუჯეტში სამ მილიონზე მეტი თანხა შევიტანე და თუ საქმე საქმეზე მიდგება, ჩემთან ბიუჯეტი თავად აღმოჩნდება სერიოზულ ვალში,"** - აცხადებს პარლამენტარი.

რაც შეეხება სხდომის ფინალს: კომიტეტის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობას ბეჟუაშვილისთვის პარლამენტარის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე, თუმცა თანხმობა განაცხადეს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ძიების გაგრძელების თაობაზე.

კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის პლენარულ სხდომას განსახილველად წარუდგენს. მისი თავმჯდომარე როსტომ დოლიძე კი აცხადებს, რომ წინააღმდეგია იმუნიტეტის გაუქმებისა და პოზიციის შეცვლას არ აპირებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარლამენტი დამნაშავეთა თავშესაფარი უნდა იყოს.

**"პარლამენტის დისკრედიტაცია ამაზე მეტად ველარ გაღრმავდება, მაგრამ არც იმის დამალვა შეიძლება, რომ ანგელოზები არც პროკურატურასა და არც სხვა სტრუქტურებში არ სხედან,** - ამბობს იგი და დასძენს, - **სასამართლო ან უსაფუძვლო არგუმენტების საფუძველზე შეწყვეტს მას, ან შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საიდან გაჩნდა დესტაბილიზაციის აჩრდილი - გარედან თუ შიგნიდან?

## "საქართველოს მოსახლეობის ხელისუფლებით უკმაყოფილება რუსეთის სპეცსამსახურების ბრალია?"

ლენა მიქაძე

სახელისუფლებო ბლოკში გაწევრიანების შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის განცხადებები უკვე სხვა დატვირთვას იძენს. ბლოკის სპიკერის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ყოველი ნათქვამი მთლიანად ბლოკის - "ერთიანი საქართველოსათვის" - პოზიციად აღიქმება. სახელისუფლებო გაერთიანების ამ ლიდერმა, გუშინ, ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ ამცნო საზოგადოებას. **"რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იგეგმება ოპერაცია პირობითი სახელით "კმარა". საამისოდ მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლიტიკურ ჯგუფებთან, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქუჩის აქციები, დესტაბილიზაცია. მნიშვნელოვანი როლი დაეკისრებათ ახალგაზრდებს. კონკრეტული პირები საამისოდ მოსამზადებლად გაიზავნებიან იუგოსლავიაში, გერმანიასა და ამერიკაში. რა თქმა უნდა, ღია, ოფიციალურ სწავლებაზე არ ვსაუბრობ. ტელევიზიის ერთ-ერთი არხი სპეციალურად ამას მოემსახურება."** თუ საიდან აქვს ასეთი, საკმაოდ შემაშფოთებელი ინფორმაცია, ედპ-ს ლიდერი არ აკონკრეტებს. როგორც თავად განმარტა, განცხადების გაკეთება მან მხოლოდ იმისთვის გადაწყვიტა, რომ **"გარკვეულ ძალებისთვის ამ აქციის განხორციელებაში ხელი შეეშალა."**

სარიშვილი-ჭანტურია კონკრეტულ საუბარს გუშინ აშკარად ერიდებოდა. წყაროსთან ერთად, მან არც ის ძალები გაამხილა, ვისთანაც რუსეთის სპეცსამსახურებმა, სავარაუდოდ, საერთო ენა უნდა გამონახონ. ჩემი მიზანი ბრალდებების წაყენება არ არისო, - ასე დაიძვრინა ჟურნალისტების კითხვებისგან თავი ედპ-ს ლიდერმა. თუმცა, ამავე დროს, იგი გარკვეულ მინიშნებებსაც აკეთებდა: **"ეს ის პარტიები ან პარტიაა, ვისაც სპეცსამსახურების მიერ შემოთავაზებული პირობები აკმაყოფილებს. სავარაუდოდ, საუბარი ძველი პოზიციების გამაგრებაზეა."** საინტერესო ის არის, რომ სპეცოპერაციის თაობაზე ასე კარგად ინფორმირებული ბლოკის სპიკერი, რატომღაც, საქმის კურსში არ აღმოჩნდა იმის შესახებ, რომ სულ ახლახან სტუდენტების მიერ ჩატარებულ აქციას სწორედ "კმარა" ერქვა...

**"როდესაც მთავრობას რიგითი ადამიანისთვის ყველა გზა ჩარაზული აქვს და მოქალაქე ელემენტარული კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენებას ვერ ახერხებს, მაშინ იგი ქუჩაში გამოდის. ახლახან სტუდენტების მიერ ჩატარებული აქციაც ასეთი აქცია იყო. სხვადასხვა პრობლემებით, მათ შორის - ყოფითით, დატვირთული ხალხის მოთხოვნები პროვოკაციები არ არის,"** - ასკვნის "ტრადიციონალისტი" ალეკო შალამბერიძე.



*ირინა სარიშვილი-ჭანტურია: "რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იგეგმება ოპერაცია პირობითი სახელით "კმარა".*

**"არჩევნები მოახლოვდა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ცდილობენ, საკუთარი მიზნების მისაღწევად და მხარდასაჭერად სტუდენტებიც გამოიყვანონ. თუ რამდენად მოახერხებენ ამას, უკვე სხვა საკითხია,"** - აცხადებს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე. ამასთან ერთად, იგი იმასაც ამბობს, რომ ამ ეტაპზე პროკურატურაში, სტუდენტური აქციის გამო, საქმე ნამდვილად არ არის აღძრული. ჩემს უწყებაზე მეტად, ინფორმაცია შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებში ექნებათო, - დაგვაკვალიანა გენერალურმა პროკურორმა და ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებების მეტად კომენტირებისგან თავი შეიკავა.

უშიშროების სამინისტროში სარიშვილი-ჭანტურიას განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. **"ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსეთის გარკვეული წრეები, რომელთა უკან სპეცსამსახურების არსებობასაც არ გამოვრიცხავთ, პოლიტიკურ პარტიებში ფინანსური ინვესტიციების ჩადებას ცდილობენ, რაც შეიძლება, შემდგომ ქუჩის აქციებში აისახოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ჩვენს ხელთ ადრე არსებული შეტყობინება და სარიშვილის ინფორმაცია ერთმანეთს დაემთხვა,"** - განმარტა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა. მისი თქმით, მსგავსი ინფორმაცია მოსალოდნელი ოპერაციის შესახებ სამინისტროსთვის სხვა პარტიებს არ მიუწოდებიათ. არადა, სპეცოპერაცია "კმარას" თაობაზე გარკვეულ ინფორმაციას სხვა პარტიებიც ფლობდნენ.

**"ამის შესახებ მეც გამიგია. თუმცა, ქალბატონ ირინას, როგორც ჩანს, მეტი ინფორმაცია აქვს. ამ აქციებთან კონკრეტული პარტიების კავშირზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ისე, ფაქტია, რომ ამგვარი აქციები ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წისქვილზე ასხამს წყალს. იგორ გიორგაძის მხარდასაჭერად გამართული აქციები ძალზე საეჭვოდ ემთხვევა სხვა აქციებს. გარდა ამისა, "დემოკრატებმა" შეიძლება ბევრი რამ უარყონ, მაგრამ ფაქტია, რომ გიორგაძის ინტერესებს მათი პარტიის წევრი ელენე თევდორაძე იცავს. ერთია ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა - ტერორისტის ინტერესებისა,"** - ასეთია "სოციალისტების" ფრაქციის თავმჯდომარის ირაკლი მინდელის პოზიცია.

"მოქალაქეების" ფრაქციის თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ კი ჩვენთან საუბარში ამაყად ისიც კი განაცხადა, რომ მას ინფორმაცია **"გრუს" ოპერაცია "კმარაზე" იქიდან ჰქონდა, საიდანაც - სარიშვილს"**...

საინტერესო ის არის, რომ თუ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერაციის შესახებ, რატომღაც, მეტ-ნაკლებად იცოდნენ სახელისუფლებო ბლოკის წევრებმა, სამაგიეროდ, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესა და ოპოზიციის წარმომადგენლებს ამის თობაზე ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

**"გარედან ინსპირირებული დესტაბილიზაციების მომსწრე არაერთხელ ვყოფილვართ. კონკრეტულად, სარიშვილის მიერ გაცხადებული ამბების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. იგი გამოცდილი პოლიტიკოსია და რეალური საფუძვლის გარეშე ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა. თუ საქართველოში ვინმეს პოლიტიკური ვითარების შეცვლა, დესტაბილიზაციის გამოწვევა უნდა, მაშინ მან სერიოზულ ძალებთან უნდა წაიმუშაოს და არა პატარა პარტიებთან,"** - ასკვნის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. ცნობისათვის, იგი, ამავე დროს, პარლამენტის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარეცაა. ამ ჯგუფს კი ძალოვან უწყებებთან დაკავშირებული ამბებისა მეტ-ნაკლებად გაეგება. თუ რომელი პარტია ჩაითვლება საკმარისად სერიოზულ ძალად, საიმისოდ, რომ დესტაბილიზაციის გამოწვევა შეძლოს, ბათიაშვილი აღარ აკონკრეტებს. **"როგორც არ უნდა მოინდომოთ, რომელიმე პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ვერ ამალაპარაკებთ,"** - განაცხადა მან.

**"სარიშვილი იმას იძახის, რასაც შევარდნაძე ჩასძახის. იგი სახელისუფლებო ბლოკის სპიკერია. ამ ბლოკს შეეშინდა იმ აქციის, რომელიც ახლახან სტუდენტებმა ჩაატარეს. მათ პათოსს არა მხოლოდ მე, მთელი მოსახლეობის 99 პროცენტი იზიარებს. საქართველოს მოსახლეობის ხელისუფლებით უკმაყოფილება რუსეთის სპეცსამსახურების ბრალია? იმედი მაქვს, რომ სტუდენტების აქცია გაგრძელდება. უბედურება ის იქნებოდა, რომ ასეთ ვითარებაში ხალხს პირში წყალი ჩაეგუბებინა. იმასაც ვიტყვი, რომ, როცა ქუჩაში გიორგაძის მხარდამჭერები გამოჩნდნენ, ხელისუფლებამ ყველაფრის კეთება სწორედ ამის პარალელურად დაიწყო, რათა პროცესები პარლამენტიდან ქუჩაში გადასულიყო. სახელისუფლებო პარტიების ბოიკოტს ვგულისხმობ,"** - აცხადებს თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე, რომელიც ასევე ნდობის ჯგუფის წევრია. რაც შეეხება ელენე თევდორაძისა და იგორ გიორგაძის კავშირს, **"ყველამ იცის, რომ ქალბატონი ელენე ის ადამიანია, ვისაც ნებისმიერ ადამიანთან მისვლა და მისი უფლებების დაცვა ნამდვილად შეუძლია. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, უკვე ცნობილია, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს პანტელეიმონისა და სხვა მსგავსი ხალხის მიმართ,"** - უკვე როგორც "დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარე პასუხობს ბარამიძე.

# STOP! წინ დიქტატურაა!

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლების მთელი ძალისხმევა მიმართულია არა საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისკენ, არამედ იმისკენ, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, ამ არჩევნებში გაიმარჯვოს.

**"არჩევნებში გამარჯვება ბუნებრივი სურვილია და ამისთვის ვერავინ ვერავის დაძრახავს, მაგრამ ნებისმიერ ფასად წარმატების მიღწევის მცდელობა ძალზე სახიფათოა. ასეთი რამ, როგორც წესი, ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე ქვეყნისთვის, ხალხისთვის და თავად ხელისუფლებისთვის",** - გამაფრთხილებელ სიგნალს იძლევა ნინო ბურჯანაძე.

სახელისუფლებო გუნდის ქმედებები პარლამენტის თავმჯდომარეს კოლექტივიზაციის პერიოდს აგონებს, როდესაც ყველას, დიდსაც და პატარასაც, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა სურვილი, კოლექტიურ მეურნეობებში ძალით ერეკებოდნენ. **"სახელისუფლებო ბანაკში ახლაც იგივე პროცესი მიმდინარეობს"**, - ირწმუნება პარლამენტის ლიდერი. თავის მიერ გავლებული "ისტორიული პარალელის" საფუძვლად ბურჯანაძე იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ ყველა სახელისუფლებო სტრუქტურასა და დანაყოფს კანცელარიაში "შტაბდადებული" საარჩევნო ბლოკისკენ ექაჩებიან.

**"მე ძალიან მაშფოთებს განცხადებები, რომლებიც მომავალ არჩევნებში მერების, გამგებლების და გუბერნატორების ქმედებების თაობაზე კეთდება. კერძოდ ის, რომ ამ ხალხს კანცელარიაში ხმების "მოტანას" ავალებენ, პრეზიდენტის პრესსამსახური კი ამაზე არანაირად არ რეაგირებს",** - აცხადებს ბურჯანაძე.

ყველას და ყველაფრის - ბიზნესმენების, მერების, გამგებლების, გუბერნატორების, თავად პარლამენტის თავმჯდომარის გაკონტროლების მცდელობა, აგრეთვე, სახელისუფლებო ფრაქციების მიერ სასურველი საარჩევნო კოდექსის ძალით თავსმოხვევა - სწორედ ეს და დემოკრატიისთვის ანომალიური სხვა მოვლენები აძლევს პარლამენტის თავმჯდომარეს საფუძველს, რომ დიქტატურის საშიშროებაზე "თამამად" ისაუბროს.

ბრიფინგზე მან განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყო ის რისხვა და შანტაჟი, რომლებიც ცალკეულ ბიზნესმენებს ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან დაატყდათ თავს. **"ურჩ გადამხდელთა მიმართ სამართლიანი ზომები მიღებული უნდა იქნას, მაგრამ მაინტერესებს - აქამდე სად იყო ხელისუფლება?"** - დროის შერჩევის ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას პარლამენტის სპიკერი და დაუსწრებლად ეკითხება აღმასრულებელ ხელისუფლებას: რატომ გახდა ეს თემა აქტუალური მაინცადამაინც მაშინ, როდესაც გადამხდელთა კავშირში ცალკეულმა მეწარმეებმა გააკეთეს განცხადება, რომ თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიებს ისინი იმ პარტიებს უკავშირებენ, რომლებიც ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის არ მოიაზრებიან.

ნინო ბურჯანაძე სახელისუფლებო ფრაქციათა ზოგიერთი ლიდერის გამოწვევას ღებულობს და აცხადებს, რომ მათი "სანქციებისა" არ ეშინია: **"ჩემი გადაყენების შესაძლებლობას ძალიან მშვიდად ვუყურებ და დარწმუნებული ვარ, რომ სახელისუფლებო ფრაქციები ამას ვერ მოახერხებენ. ამ პარლამენტში არ მოიძებნება 118 კაცი, რომელიც რჩეულიშვილივით და ხაზარაძესავით ფიქრობს და პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენებას დაუჭერს მხარს. ჩემი გადაყენების მოსურნეებს კი მინდა ვუთხრა, რომ ტყუილად ირჯებიან და, თუ შეუძლიათ, იმაზე იფიქრონ, რომ ხელისუფლების სათავეში უფრო ღირსეული მეთოდებით მოვიდნენ".**

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, იწყება საკმაოდ დაუნდობელი ბრძოლა ყოვლად უღირსი მეთოდების გამოყენებით და არჩევნების მოახლოების კვალობაზე, ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება. ამიტომაც, ის ოპოზიციურ ძალებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაში მოვლენ რჩეულიშვილისა და ხაზარაძის მსგავსი ადამიანები",** - საკმაოდ სერიოზულ საფრთხეზე მიანიშნებს პარლამენტის ხელმძღვანელი.

რაოდენ გასაკვირადაც უნდა ჟღერდეს, ნინო ბურჯანაძე სახელისუფლებო ძალების გაერთიანებასაც მიესალმება, ოღონდ, იქვე განმარტავს და აზუსტებს: **"ამით მოსახლეობას არჩევანის გაკეთება და არჩევნების დროს გადაწყვეტილების მიღება გაუადვილდება",** - ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ხალხს ეცოდინება, ვის არ უნდა მისცეს ხმა.

სპიკერის ასეთი განწყობიდან გამომდინარე, ძნელი გამოსაცნობი არ არის, თავად მისი პერსონა რომელ პოლიტიკურ ბანაკში მოიაზრება. გუშინდელ ბრიფინგზე ეს არც თავად ბურჯანაძეს დაუმალავს: **"ამჟამად იმის თქმა დაბეჯითებით შემიძლია, რომ ვერ ვიქნები იმ ბლოკში, რომელშიც ვახტანგ რჩეულიშვილი და ვიტალი ხაზარაძე არიან".**

# ნაგავომანია

გიორგი ასანიშვილი

ამ ბოლო დროს, ქართველ "სოციალისტებს" ნაგვისადმი უჩვეულო ლტოლვა დასჩემდათ: საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს, ოპოზიციაში ყოფნისას, ისინი ედუარდ შევარდნაძეს ისტორიის სანაგვეზე გასტუმრებით როგორ ემუქრებოდნენ, ახლა კი, როდესაც პრეზიდენტის "ჭეშმარიტი ფასი" გაიგეს, უკვე პარლამენტის ნაგვის ქექვა დაიწყეს და იქ ოპონენტებზე კომპრომატების ძებნას შეუდგნენ. ეძიეს და ჰპოვეს კიდეც: გაახსენდათ, რომ წელიწადნახევრის წინათ ვიღაცეები პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების ფარულობის დარღვევას შეეცადნენ და, ამ მიზნით, საარჩევნო ბიულეტენები უფერული ფლომასტერებით დანომრეს. გენერალური პროკურატურის მცდელობის მიუხედავად, დამნაშავის ვინაობა დღემდე ვერ გაირკვა. ამასთან, პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ვახტანგ რჩეულიშვილის ინიციატივით მიწვეულმა ნუგზარ გაბრიჩიძემ დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გრძელდება და უკრაინაში ექსპერტიზაზე გადაგზავნილ მასალაზე პასუხი, დაახლოებით, ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი. მაგრამ, სოციალისტებს, ამდენის მოთმენა უკვე აღარ შეუძლიათ. ისინი პარლამენტის აპარატის უფროსის, ხათუნა გოგორიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას დღესვე ითხოვენ.

**"პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება ვერ მოახერხეთ და ახლა პარლამენტის აპარატის უფროსს მისდექით? მე იურისტი ვარ და კარგად ვიცი, რომ არ შეიძლება იმ ადამიანების დასჯა, ვისი ბრალეულობაც დადასტურებული არ არის. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ჯერ კიდევ მოქმედებს,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. მისივე თქმით, მას ადრევე ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს საკითხი აუცილებლად წამოიწევდა.

**"არსებობდა გეგმა, რომ თუ პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება ვერ მოხერხდებოდა, მაშინ პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია უნდა მომხდარიყო,"** - აღნიშნა ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ.

**"როგორ, კაცო! ვთქვათ და, უკრაინიდან გაურკვეველი პასუხი მოვიდა. მაშინ, როგორ უნდა მოვიქცეთ? არადა, დანაშაული რომ მოხდა, ყველამ ვიცით. ვიღაცას ხომ უნდა**



*ვახტანგ რჩეულიშვილი*

**მოეთხოვოს პასუხი? ამიტომ, ვიდრე საკითხს ნათელი მოეფინება, უპრიანი იქნება, არჩევნების ნორმალურად ვერჩატარების გამო, პარლამენტის აპარატის უფროსს შეველიოთ,"** - სამართლის ფუძემდებლური პრინციპის თავდაყირა დაყენების სურვილს ვერ ელეოდა ვახტანგ რჩეულიშვილი.

ბოლოს, მაინც ოპოზიციონერებმა ივარგეს. მათი თქმით, თუ მთავრობის საქმიანობას რჩეულიშვილის საზომით მიუდგებიან, გამოდის, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა სრულიად სამართლიანია. **"აღმასრულებელ ხელისუფლებაში რომ კორუფცია ჰყავის და ბევრი უკანონობა ხდება, ამაზე ხომ არავინ დავობს? ჰოდა, რჩეულიშვილის ლოგიკიდან გამომდინარე, ამაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს უნდა მოეთხოვოს პასუხი და ისევე, როგორც ხათუნა გოგორიშვილის შემთხვევაში, თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხიც უნდა დადგეს,"** - ასეთი იყო რჩეულიშვილის ოპონენტების არგუმენტი.

ამ პარალელს სოციალისტური პარტიის ლიდერი თავის ფხანითა და დარბაზიდან გასვლით შეხვდა, ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარემ ირაკლი მინდელმა კი იხტიბარი აღარ გაიტეხა და დაიქადნა, საკითხს პლენარულ სხდომაზე მაინც წამოვჭრითო.

# შევარდნაძის საარჩევნო კიდობანი და "უსწავლელი" ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

კიდევ უფრო ადრე დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური აქციების გაუფასურება. ედპ-ს უკუსვლის ტენდენციას სტატისტიკაც ადასტურებს: თუ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა ხმების 22 პროცენტი მიიღეს და საკანონმდებლო ორგანოში 14 დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილნი, 1995 წლის არჩევნებში მათ მხოლოდ 7,97 პროცენტი მოაგროვეს, ხოლო 1999 წელს საერთოდ ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი. ამდენად, სახელისუფლებო ბანაკში შესვლისას, ედპ-ს უფრო თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებდა, ვიდრე "აბრეშუმისგზელებთან" მსოფლმხედველობრივი სიახლოვე. ამას ოპოზიციურ ბანაკშიც ხედავენ და ედპ-ს ლიდერის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მძაფრად არ აკრიტიკებენ - ირინა სარიშვილ-ჭანტურიას უფრო თანაუგრძნობენ.

სოციალისტური პარტიის ზიგზაგები და ნავიდან ნავში გადაჯდომების ციკლი კი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ვახტანგ რჩეულიშვილის ახლადშექმნილმა პარტიამ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა. მაშინ აღებულმა 3,8 პროცენტმა რჩეულიშვილი დაარწმუნა, რომ ცალკე თამაში მისი საქმე არ არის და აუცილებლად ვინმეს უნდა შეეკედლოს.

ამ დროიდან მოყოლებული, სოციალისტების კაბინეტებში ბელადის პორტრეტები რამდენჯერმე შეიცვალა. ბოლოს ეს რამდენიმე ხნის წინათ გაკეთდა, რისთვისაც, ასლან აბაშიძის ადგილზე შევარდნაძის სურათის გამოსაკრავად, ვახტანგ რჩეულიშვილს ისტორიის სანაგვის ქექვა მოუხდა. ვიდრე აჭარის ლიდერს უარყოფდა და ძველ კუმირს დაუბრუნდებოდა, სოციალისტების ლიდერმა სხვების ჩრდილიდან გამოსვლა და დამოუკიდებელი პოლიტიკოსის ამპლუაში თავისი შესაძლებლობების მოსინჯვა კიდევ ერთხელ სცადა. ექსპერიმენტი წარუმატებელი გამოდგა: 2 ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე საბოლოოდ დაარწმუნა, რომ პოლიტიკური მამა-მარჩენალის გარეშე, არაფერს წარმოადგენს და თუ დროზე არ მონახა ახალი პატრონი, დაიღუპება.

სახელისუფლებო ბლოკის შექმნამ ასევე სულზე მოუსწრო მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელს გიორგი გაჩეჩილაძეს. "დამარცხებულთა ალიანსში" ადგილს ისიც იმსახურებს: მის ორგანიზაციას, უკვე დიდი ხანია, ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად აღარავინ მიიჩნევს და მხოლოდ ცესკო-ს წევრებსღა თუ ეხსომებათ, ნულ მთელსა და რამდენ მეასედ პროცენტს "იმკიან" ხოლმე საარჩევნო ბატალიებში "მწვანეები". გარემოს ქომაგნი დღეს სასიამოვნო ოცნებებში არიან, რადგან იციან, რომ შევარდნაძის "სუფრის" ბოლოში პოლიტიკური ქონდრისკაცებისთვის ყოველთვის მოინახება ადგილი.

ისე, რატომ არ უნდა იყვნენ ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის "მწვანეები"? მერე რა, რომ გარემოს დაცვის საქმეში მიღწევებით ეს ხელისუფლება ნამდვილად ვერ მოიწონებს თავს? ხელისუფლებას ხომ არც მოსახლეობის სოციალური დაცვის და ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი, მაგრამ "საქართველოს ეკონომიკურად და სოციალურად დაზარალებულთა პარტიისთვის" ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ სახელისუფლებო მარაქაში გარეულიყო.

"დამარცხებულთა ალიანსში" გაწევრიანება გრძელდება. ახლო მომავალში მისი რიგები, უამრავი სხვა წვრილი პარტიის ხარჯზე, ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა, ოპოზიციის ნაწილი ამას გულარხეინად უყურებს და მიაჩნია, რომ თუ "მკვდარი მკვდარს აეკიდება", ეს ოდნავადაც ვერ გააძლიერებს ხელისუფლებას. არადა, იმის იმედზე ყოფნა, რომ "ხალხი ბრძენია, ყველაფერს ხედავს" და ხელისუფლება თავისით მოიტეხს კისერს, ძალიან სარისკოა. ეს "კონცეფცია", პირველ რიგში, თავად ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს: მათი ძალების სათანადოდ შეუფასებლობა მათსავე ინტერესებში შედის.

არჩევნების წინ სახელისუფლებო ბანაკი ადმინისტრაციული ბერკეტების ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით მიმზიდველად პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი გამოიყურება, რომელიც დღეისათვის კანცელარიის კონტროლს არ ექვემდებარება. "აბრეშუმისგზელთა" მთელი ამჟამინდელი ძალისხმევაც სწორედ ამ მიმართულებით არის გადატანილი. ნინო ბურჯანაძის გასატეხად, პროსამთავრობო ფრაქციების ხელით, ყველაფერი კეთდება: მუქარა და მოფერება, შანტაჟი და დაყვავება - ყველა ეს გზა მონაცვლეობით ისინჯება. პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ "მათრახისა და თაფლისკვერის" პოლიტიკის გატარების მიუხედავად, ნინო ბურჯანაძე კანცელარიისთვის კვლავ აუღებელ სიმაღლედ რჩება. თუმცა, ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს ეყოფა სპიკერს გამძლეობა. მას საკუთარი პოლიტიკური გუნდი არ ჰყავს და იძულებულია, შემოტევას მარტოდმარტო გაუმკლავდეს.

ქართულ პოლიტიკურ ლექსიკაში საკმაოდ დამკვიდრდა გამოთქმა "გაერთიანებული ოპოზიცია". თუმცა, ამ ცნების უკან ამჟამად მხოლოდ სიცარიელეა. აშკარაა, რომ ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის პროცესი სტაგნაციაში იმყოფება. და ეს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარისადმი დამოკიდებულებაში როდი მჟღავნდება - ნინო ბურჯანაძის "ადვოკატებად" ცალკეული დეპუტატები გამოდიან და არა ოპოზიციური ფრაქციები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ ოპოზიციურ ჯგუფს, არჩევნებში ხელისუფლების გამარჯვებაზე მეტად, იმისი ეშინიათ, რომ მათმა მოკავშირეებმა მათზე წინ არ წაიწიონ.

სწორედ აქ ჩანს ძალიან კარგად ედუარდ შევარდნაძის უნივერსალიზმის მთელი "მშვენიერება". მან თავის დღევანდელ ოპონენტებს ბევრი რამ თავად ასწავლა, გარდა ერთისა და ყველაზე მთავარისა. საქართველოს პრეზიდენტმა მათთვის "გაასაიდუმლა" იგავი, რომლის მიხედვითაც, ცაკეული ისრების შუაზე გადატეხვა მეტად იოლია, ისრების კონისა კი - თითქმის შეუძლებელი.

ამ იგავის პოლიტიკურ არსთან თავისით მხოლოდ ზურაბ ჟვანია მივიდა, რომელიც ამ დღეებში პიროვნული ამბიციების მოთოკვისა და "ისრების კონად შეკვრის" ინიციატივით გამოვიდა. თუმცა, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის მოწოდებას სათანადო რეზონანსი არ მოჰყოლია. უფრო პირიქით მოხდა: საერთო წარმატების მიზნით, უკანა პლანზე გადასასვლელად ზურაბ ჟვანიას მზადყოფნისგან "ნაციონალებმა" ხეირის ნახვა გადაწყვიტეს და ოპოზიციურ ბანაკში თავისი ლიდერის გაპირველკაცებაზე უფრო "გაბედულად" ალაპარაკდნენ.

ზემოთნახსენები იგავის არცოდნა თუ მისი არსისთვის ანგარიშის არგაწევა ანტიშევარდნაძისტულ ბანაკს, შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს: ოპოზიციის სახლში გაჩენილი "ხანძრით" ხელს მხოლოდ ხელისუფლება მოითბობს და ვერავითარ შემთხვევაში - თავად ოპოზიციური ფრთის რომელიმე სუბიექტი.

# მიხეილ სააკაშვილი „თბილავიამშენის" „სადარაჯოდ" მორიგეობას აპირებს

*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი მაკონტროლებლებისა და "ბინძური დაჯგუფებისაგან 31-ე საავიაციო ქარხნის დასაცავად" სადღეღამისო მორიგეობის დაწესებასა და უახლოეს მომავალში "თბილავიამშენის" ტერიტორიის მაკონტროლებლებისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას აპირებს. გუშინ ამის შესახებ მან საწარმოს თანამშრომლებთან შეხვედრისას განაცხადა.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"ჩვენი, როგორც ქალაქის საკანონმდებლო უწყების, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეების ამოცანაა, არ დავუშვათ ამ ქარხნის გაჩერება. ამისთვის საკრებულოსა და პარლამენტის წევრები სადღეღამისო მორიგეობას დავაწესებთ. ჩვენ დავდგებით ქარხნის შესასვლელთან, თქვენ კი, გთხოვთ, ნურავის გააჭაჭანებთ თქვენს ტერიტორიაზე. გაძლევთ გარანტიას, რომ არც ერთ უწმინდურ მაკონტროლებელს 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე არ შემოვუშვებთ. ეს ქარხანა უნდა იყოს ყოველგვარი მაკონტროლებლებისგან თავისუფალი ტერიტორია. ერთად გავაჩეროთ ისინი,"** - ასე მიმართა "თბილავიამშენის" თანამშრომლებს სააკაშვილმა. "უწმინდურ მაკონტროლებლებად" კი კონტროლის პალატა, დაზვერვის დეპარტამენტი, პროკურატურა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტი მოიხსენია. საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, მაკონტროლებლებს, რომლებმაც **"არაფერი იციან ქრთამების აღების გარდა და ბინძური შეკვეთების შესრულების გარდა"**, ამ ქარხანაში არაფერი ესაქმებათ. **"კონტროლის პალატამ და პროკურატურამ შეამოწმა, ახლა დაზვერვის დეპარტამენტმა და პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმაც გამოთქვა ამ ქარხნის შემოწმების სურვილი. ეს მათი საქმე არ არის"**, - დაასკვნა მიხეილ სააკაშვილმა.



მიხეილ სააკაშვილმა რუსული სუ-25 კარგად მოირგო.

ფოტო: გოგიტა ბუხაიძის

საკრებულოს თავმჯდომარემ ქარხნის მუშებს, მაკონტროლებლების გარდა, რამდენიმე ბინძური ჯგუფისგან დაცვაც აღუთქვა. მისი თქმით, ქარხნის დაკეტვითა და განადგურებით რამდენიმე ჯგუფია დაინტერესებული. სააკაშვილის განცხადებით, "თბილავიამშენის" გარშემო ბოლო დროს ატეხილი აჟიოტაჟი ამ ქარხნის გაჩერებას და კონკრეტული კლანების მიერ მის ხელში ჩაგდებას ემსახურება. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ **"ამ ხმაურის უკან რუსეთის ინტერესები და დაკვეთა იმალება"**, რომლის მიზანს ქარხნის გაჩერება წარმოადგენს. **"ეს ქარხანა ჯობნის რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და მისი პროდუქციის საკმაოდ სერიოზული კონკურენტია ახლო აღმოსავლეთის, აფრიკულ და შუა აზიის ბაზრებზე. რუსეთი ცდილობს, კონკურენტის ჩამოსაშორებლად საქართველოში მის ხელთ არსებული ბერკეტები აამოქმედოს და ეს ქარხანა გააჩეროს"**, - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ. სააკაშვილის მონაცემებით, "თბილავიამშენის" ხელში ჩაგდება რამდენიმე ქართული ფინანსური ჯგუფის ინტერესებსაც წარმოადგენს.

მისივე განცხადებით, საკრებულო უახლოეს სხდომაზე დასვამს საკითხს "თბილავიამშენში" მაკონტროლებლების შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით.

# „ი-ბი-არ-დი"-მ ნავთობსადენის დაფინანსება გაურკვეველი ვადით გადადო

სოფო კვინტრაძე

სააგენტო "ფრანს პრესმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადადო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაფინანსების საკითხი. ამიტომ აზერბაიჯანი ცდილობს, თავად მოიპოვოს დამატებითი თანხები "ბი-თი-სის" თავისი წილის დასაფინანსებლად. როგორც ცნობილია, ბანკს აზერბაიჯანისათვის კრედიტი უნდა გამოეყო. ილჰამ ალიევი, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის SOCAR-ის ვიცე-პრეზიდენტი, მინიშნებას აკეთებს, რომ დაფინანსების გადადება ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების საკითხებს უკავშირდება. თუმცა, ალიევის განცხადებიდან ნათლად არ ჩანს, "ი-ბი-არ-დიმ" საერთოდ უარი თქვა აზერბაიჯანისთვის სესხის გამოყოფაზე, თუ მხოლოდ დროებით გადადო გადაწყვეტილების მიღება. ბანკის წარმომადგენლები აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. **"ეკოლოგიური ასპექტები ძალიან მნიშვნელოვანია, "ი-ბი-არ-დის" გადაწყვეტილება აზერბაიჯანისთვის მოულოდნელი არ ყოფილა,"** - აცხადებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვაჟი, ილჰამ ალიევი.

SOCAR-ის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, აზერბაიჯანი შეეცდება, თავადვე მოძებნოს თანხები მშენებლობის დასაფინანსებლად, ვიდრე "ი-ბი-არ-დი-სთან" საკრედიტო ხაზი გაიხსნება. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია შიდა რეზერვებს გამოიყენებს. ალიევის ინფორმაციით, მათ უკვე მოძებნეს 40 მილიონი დოლარი (36,7 მილიონი ევრო), რაც საკმარისი იქნება, რომ მშენებლობა არ შეყოვნდეს.

როგორც ცნობილია, ქართული და უცხოური გარემოსდაცვითი ორგანიზაციები აპროტესტებენ ნავთობსადენის მშენებლობას. ისინი აცხადებენ, რომ ნავთობის დაღვრის შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაზიანდება ბორჯომის ტერიოტორია, სადაც მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლის საბადოა. აღნიშნული პრობლემა აწუხებს აგრეთვე "ი-ბი-არ-დი-საც". ბანკმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოითხოვა მილსადენის გარემოზე ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

ნავთობსადენის კონსორციუმი შედგება შემდეგი კომპანიებისგან: BP, Statoil, SOCAR, ConocoPhillips, Itochum TotalFinaElf, Inpex, Unocal, TPAO, Eni Agip and Amerada Hess. ამათგან SOCAR-ს, რომელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაა, სჭირდება 500 მილიონი დოლარი, რათა დააფინანსოს თავისი წილი მილსადენის მშენებლობაში.

გუშინვე ცნობილი გახდა ისიც, რომ "ბი-თი-სი კოს" ხელმძღვანელობა აღშფოთებას გამოთქვამს თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, რადგან მან გადადო ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. აღშფოთება გამოხატულია წერილში, რომელიც "ბი-თი-სი კოს" ხელმძღვანელობამ გაუგზავნა თურქეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრს რეჯეფ თაიფ ერდოგანს. წერილში "ბი-თი-სი კო" ბრალს სდებს ანკარას პროექტის განხორციელების დაყოვნებაში და კატეგორიულად მოითხოვს მისგან, რომ ამ უკანასკნელმა უმოკლეს ვადებში შეასრულოს ვალდებულებები. "ბი-თი-სი კო" ემუქრება თურქულ მხარეს, რომ იგი მშენებელ კომპანიათა სიიდან ამოაგდებს თურქულ კომპანია "ბოტაშს". როგორც ცნობილია, "ბოტაშმა" სამშენებლო სამუშაოები საქართველოში უნდა განახორციელოს.

გუშინ კომპანია BP-Azerbaijan-ის პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი თურქეთში გაემგზავრა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დაწყების დაჩქარებისა და თურქეთში შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით.

# საბითუმო ბაზარი „ეი-ი-ეს თელასს" სასამართლოში უჩივის

ნინო ნარჩემაშვილი

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ თბილისის საოლქო სასამართლოსა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ერთდროულად ორი სარჩელი შეიტანა. პირველი - საბითუმო ბაზრის ტრანსფერული ანგარიშის მიმართ "ეი-ი-ეს"-ის დავალიანებას ეხება, რომელიც, როგორც საბითუმო ბაზარში აცხადებენ, 2003 წლის 1 მარტის მდგომარეობით 33 329 742 ლარს შეადგენს. მეორე სარჩელი კი "ეი-ი-ეს"-ის მიერ საწევრო გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტს.

გადაუხდელობის გამო ვალმა უკვე 200 ათას ლარს მიაღწია.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ ორივე სარჩელი 11 აპრილს იქნა შეტანილი, მაგრამ აქამდე ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ფაქტის გახმაურება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რადგან საქმის მოლაპარაკებათა გზით მოგვარების იმედი ჰქონდა.

საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ "ეი-ი-ეს თელასი" გაფორმებული ხელშეკრულების მიუხედავად, თვეების მანძილზე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რითაც ელექტროენერგიის წარმოებისა და მომსახურების სფეროები ზარალდება. "ეი-ი-ეს"-ი დღემდე თავს არიდებს ე.წ შედარების აქტზე ხელმოწერას, თუმცა თანხის მოცულობის თაობაზე მხარეებს შორის შეუთანხმებლობა არ არის. მათივე განცხადებით, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, მოქალაქეთა სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას არ ახორციელებს და იძულებულია, მიმართოს სასამართლოს. წარდგენილი ნორმატიული დოკუმენტებისა და მასალის საფუძველზე საბითუმო ბაზარი სასამართლო ორგანოებისაგან მოითხოვს, "ეი-ი-ეს თელასს" დაეკისროს 33 329 742 ლარისა და კანონით განსაზღვრული საპროცენტო თანხის - 8 706 892 ლარის გადახდა, იურიდიული მომსახურების ხარჯების (სადავო თანხის საერთო ღირებულების ერთი პროცენტი) და საბითუმო ბაზრის მიერ გადახდილი 5 ათასი ლარის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის დაფარვა.

საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ იძულებულნი არიან უკიდურეს ზომას მიმართონ, რადგან "ეი-ი-ეს"-თან ისედაც უშედეგო მილაპარაკებები ჩიხში შევიდა.

# „ეი-ი-ეს თელასი" უარყოფს, რომ ურჩი გადამხდელია

ამერიკული კომპანია "ეი-ი-ეს"-ი უარყოფს საგადასახადო დეპარტამენტის ბრალდებას, რომლის თანახმადაც, კომპანიას ბიუჯეტისადმი ხუთი მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება აქვს, რის გამოც იგი ურჩი გადამხდელების სიაში შეიყვანეს.

"ეი-ი-ეს თელასის" ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ კომპანია საქართველოში საქმიანობის დაწყების დღიდან უმხვილეს გადამხდელად ითვლება და მან 1999 წლიდან დღემდე ბიუჯეტში 100 მილიონ ლარზე მეტი შეიტანა. **"მხოლოდ ამა წლის პირველ კვარტალში "ეი-ი-ეს თელასის" მიერ გადახდილი გადასახადები 12 მილიონ ლარზე მეტია ანუ "ურჩი გადამხდელის" მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები მთელ ქვეყანაში აკრეფილი საგადასახადო შემოსავლების 10 პროცენტს აჭარბებს,"** – ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება ხუთ მილიონ ლარს, რომელსაც "ეი-ი-ეს"-ს ედავებიან, კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს კომერციულ დანაკარგებზე დღგ-ს გადაუხდელობას ეხება. 2002 წლის ზაფხულში პარლამენტმა შეიტანა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, დღგ დაწესდა კომერციულ დანაკარგებზე. მოგვიანებით სახელმწიფო მინისტრმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ამ ცვლილების მიღება შეცდომა იყო. "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამგვარი კანონმდებლობა აფერხებს არა მარტო მათ საქმიანობას, არამედ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში აყენებს მთელ ენერგოსექტორს. "ეი-ი-ეს"-ის წარმომადგენელთა განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულებას იღებდა, რომ 2003 წლის 17 მარტამდე პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით შევიდოდა და კომერციულ დანაკარგებზე დღგ-ს მოხსნიდა, მანამდე კი "ეი-ი-ეს თელასს" ამ თანხას არ გადაახდევინებდა. "ეი-ი-ეს"-ს მიაჩნია, რომ ამერიკული კომპანიის "არგადამხდელთა შავ სიაში" შეტანა კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელისუფლების არათანმიმდევრულ პოლიტიკას ქვეყანაში ფაქტობრივად ერთადერთი მსხვილი სტრატეგიული ინვესტორის მიმართ.

განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე ისიც, რომ ამჟამად სახელმწიფოს დავალიანება "ეი-ი-ეს თელასისადმი" 19 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან 6 მილიონი ლარი სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთათვის დაწესებული ელექტროენერგიის შეღავათებია, დანარჩენი 13 მილიონი ლარი კი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დავალიანება.

*"24 საათი"*

# "ეფლი" ხმის ჩამწერ ბიზნესში ერთვება

თორნიკე შარაშენიძე

კომპიუტერული სამყაროს ერთ-ერთი გიგანტი, ყველასათვის ცნობილი "მაკინტოშის" მწარმოებელი "ეფლი" მსოფლიოს უდიდესი ხმის ჩამწერი ფირმის, "უნივერსალ მიუზიქის" ყიდვას ლამობს. მედიის ცნობით, "ეფლი" მზადაა, რომ 5-6 მილიარდი დოლარი გადაუხადოს "უნივერსალის" სანაცვლოდ მის მამობილ კომპანიას, ფრანგულ "ვივენდის," რომელიც იძულებულია, შეელიოს თავისი ქონების ნაწილს და, მათ შორის, ხმის ჩამწერ ბიზნესსაც.

"ვივენდიმ" "უნივერსალ მიუზიქი" და ჰოლივუდის ერთ-ერთი უდიდესი კინოსტუდია "უნივერსალ ფიქჩერზი" სამი წლის წინ ჩაიგდო ხელში. მაშინ ეს გარიგება ფრანგული კორპორაციული სამყაროს დიდ გამარჯვებად მოინათლა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ საქმე ასე იოლად არ იყო. "ვივენდის" ამ შენაძენების "მონელება" ერთობ გაუჭირდა და დიდ ვალებშიც ჩავარდა. სხვათა შორის, სწორედ "ვივენდის" ბიზნესჯგუფს ეკუთვნის "თბილწყალკანალის" ახალი შესაძლო მმართველი კომპანია "ჟენერალ დეზ`ო".

"უნივერსალ მიუზიქს"-ის წლიური შემოსავალი ექვს მილირდ დოლარს შეადგენს. ასე რომ, ეს ურიგო შენაძენი არ იქნება, მაგრამ საკითხავი ისაა, რაში სჭირდება ამ ბიზნესში ჩართვა "ეფლს," რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა და ფეხზე ახლახან დადგა. ეს წარმატება კომპანიაში მისი დამაარსებლის სტივ ჯობსის დაბრუნებას უკავშირდება, რომელმაც, პირველ რიგში, სწორედ ის გააკეთა, რომ დახურა წამგებიანი პროექტები და მთელი ძალისხმევა "ეფლის" ძირძველ ბიზნესზე, "მაკინტოშებზე" გადაიტანა.

ყოველივე ამას შეიძლება ერთი ახსნა ჰქონდეს: "ეფლი" დაინტერესებულია საინტერნეტო მუსიკის ბიზნესით. ახლა "ეფლი" მუსიკალური კომპოზიციის ინტერნეტით გაცვლის საშუალებებზე მუშაობს. მაგრამ გაცვლებს, ცხადია, კანონიერი ხასიათი უნდა ჰქონდეს – გავიხსენოთ, რა ბედი ეწია ამ საქმის პიონერს - "ნაპსტერს," რომელიც მეკობრეობაში დაადანაშაულეს. ასეთ ვითარებაში კარგი იქნება, თუკი "ეფლს" საავტორო უფლებები ექნება ამა თუ იმ მომღერლისა თუ ჯგუფის კომპოზიციაზე.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პრობლემა - აქამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ "ვივენდი" აპირებდა, ერთიანად გაეყიდა "უნივერსალის" ბიზნესი – არა მხოლოდ ხმის ჩამწერი, არამედ - კინოკომპანიაც. თითქოს კლიენტიც გამოჩნდა ნავთობის ინვესტორ მარვინ დევისის სახით, რომელიც ფრანგულ კომპანიას 13 მილიარდს უხდის. საინტერესოა, ცალკე გაიყიდება თუ არა ამ გარემოებაში და ასეთ მიმზიდველ ფასად "უნივერსალ მიუზიქი"?

## მოკლედ

**თბილისი.** "თბილწყალკანალმა" სასმელი წყლის დავალიანების გადაუხდელობის გამო საბიუჯეტო ორგანიზაციები წყლის გარეშე დატოვა. "თბილწყალკანალის" პრესსამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საბიუჯეტო ორგანიზაციების მთლიანი დავალიანება 17 379 328 ლარს შეადგენს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ერთი კვირის ვადაში შეისწავლის ამერიკული სამშენებლო კომპანია "ტრამეკსის" პრეტენზიებს 20 მილიონი დოლარის დაბრუნების შესახებ. ეს თანხა საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-გაჩიანის ნავთობსადენის აღდგენაში ჩაიდო. თუ საქართველო ამერიკული კომპანიისათვის ინვესტიციის დაბრუნებაზე უარს იტყვის, "ტრამეკსი" საერთაშორისო სასამართლოში ჩივილს აპირებს. ქართული მხარე ამერიკული მხარის პრეტენზიებს უარყოფს და მიიჩნევს, რომ კაპიტალდაბანდების ოდენობა - 20 მილიონი დოლარი გადამეტებულია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია "იტერას" პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრისა და "თბილგაზის" გენერალური დირექტორის სახელზე წერილი გააგზავნა, რომელშიც იტყობინება, რომ თბილისი ბუნებრივ აირს განახევრებული მოცულობით მიიღებს. მარტის დავალიანების დასაფარავად "იტერას" პრეზიდენტი ქართულ მხარეს 25 აპრილამდე აძლევს დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზმომარაგების სრული შეწყვეტით იმუქრება.

მაკაროვის წერილში ნათქვამია, რომ 25 აპრილამდე თბილისი მხოლოდ 300 ათას კუბურ მეტრ აირს მიიღებს, რაც ერთ რაიონსაც არ ეყოფა. იგი აირის მოცულობის განახევრების მიზეზად ასახელებს ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და მარტში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობას. თბილისის მერია და "თბილგაზი" ხუთი დღეა, უშედეგოდ ცდილობს ექვსი მილიონ ორასი ათასი ლარის მობილიზებას. **ინტერ-პრესი**




# აზერბაიჯანის პრეზიდენტს ინფარქტი აქვს?



ჰეიდარ ალიევი

გუშინ, საჯარო გამოსვლისას, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი შეუძლოდ შეიქნა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაფერს იტყობინებიან. აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ვარაუდით, პრეზიდენტს ინფარქტი აქვს.

ოფიცრების წინაშე ალიევის გამოსვლის დროს, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, პრეზიდენტმა მოულოდნელად გულზე ხელი იტაცა. მან გამოსვლა შეწყვიტა და დარბაზიდან გაიყვანეს. 12 წუთის შემდეგ, აპლოდისმენტების თანხლებით, ალიევი დარბაზში დაბრუნდა. ორიოდე წუთში მას შეტევა გაუმეორდა. იგი წაბორძიკდა, დაცვამ ალიევის შეკავება ვერ მოასწრო და პრეზიდენტი იატაკზე დაეცა.

ამის შემდეგ, ალიევი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გვიან საღამოს, ალიევის პრეს-სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტს ჰიპერტონიული კრიზი ჰქონდა და რომ იგი ამჟამად თავს კარგად გრძნობს და საკუთარ რეზიდენციაში იმყოფება. არაოფიციალურად კი, გამოითქვა ვარაუდი, რომ პრეზიდენტს ინფარქტი აქვს.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ 79 წლის ალიევისთვის ეს უკვე მეორე ინფარქტი იქნება. პირველი მან 1987 წელს გადაიტანა. ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო წლებში მითქმა-მოთქმის საგანი არაერთხელ გამხდარა. 1999 წელს აშშ-ში მან გულის სერიოზული ოპერაცია გაიკეთა. გასულ წელს პროსტატიტისა და თიაქარის ოპერაციები გაუკეთდა, ისევ აშშ-ში. ზუსტი მონაცემები პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებულია.

მიუხედავად ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისა და სოლიდური ასაკისა, ალიევი აპირებს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის პოსტზე კიდევ ერთხელ იყაროს კენჭი. ამბობენ, რომ სამომავლოდ, მემკვიდრედ იგი თავის ვაჟს, ილჰამს ამზადებს.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ვერ შეძლებს თავის მოვალეობების შესრულების გაგრძელებას, დროებით მის ფუნქციებს პრემიერ-მინისტრი, არტურ რასიზადე შეასრულებს.

# ბერეზოვსკის "შავი სია"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**"ჩვენ უდნა ვიცოდეთ, ვინ მართავს ქვეყანას: მაფია, მკვლელები თუ პრეზიდენტი?"** – ასეთი რეპლიკა ისროლა რუსეთის მთავარმა კომუნისტმა გენადი ზიუგანოვმა რუსეთის პარლამენტის საბჭოს ორშაბათის სხდომაზე, რომელიც დეპუტატ იუშენკოვის მკვლელობის გამო, სათათბიროში ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირების გამოძახების საკითხს წყვეტდა.

ოპერატიული მონაცემებით, დღეისათვის დეპუტატ სერგეი იუშენკოვის მკვლელობის სამი ვერსია არსებობს: პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური. ამ დღეებში ზოგიერთ მოსკოვურ გაზეთში გამოქვეყნებული რამდენიმე სკანდალური პუბლიკაციის მიხედვით, პარტია "ლიბერალურ რუსეთს" და მის აწ უკვე გარდაცვლილ ლიდერს ფინანსური მაქინაციები ბრალდებათ. იუშენკოვის კოლეგები და თანამებრძოლები ამ ვერსიას კატეგორიულად არ იზიარებენ და სპეცსამსახურების შეგნებულ დეზინფორმაციად მიიჩნევენ. მკვლელობის ეკონომიკურ მოტივებში ეჭვი ბევრს ეპარება, რადგანაც "ლიბერალური რუსეთის" პოლიტიკური საბჭოდან ბერეზოვსკის გარიცხვის შემდეგ, სერგეი იუშენკოვმა ბერეზოვსკის მიერ შეთავაზებულ 100 მლნ დოლარზე უარი თქვა. როცა მისმა პარტიამ იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაცია გაიარა, სასტუმრო "ნაციონალში" გამართულ ფურშეტზე იუშენკოვი ჟურნალისტებს აწყნარებდა, "თამამად მიირთვით, ფული ბერეზოვსკის არ არისო."

როგორც მოსალოდნელი იყო, მომხდარზე საკუთარი, ორგინალური შეხედულება აქვს ლონდონში გადახვეწილ ბორის ბერეზოვსკის, რომელიც პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლელობის ვერსიისაკენ იხრება. იგი სერიოზული განცხადების გაკეთებას აპირებს და რუსეთის გენერალურ პროკურატურაში სერგეი იუშენკოვის მკვლელობის შესახებ დოკუმენტების გამოგზავნით იმუქრება. მასალები, ოლიგარქის თქმით, იუშენკოვის მკვლელობას ნათელს მოჰფენს.

მოსკოვში კარგად ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ, რადგანაც ძიებამ "ლიბერალნაია როსიას" წევრის, ადრე მოკლული გოლოვლიოვის მკვლელს დღემდე ვერ მიაგნო, არ არის გამორიცხული, ბერეზოვსკიმ ამჯერად სპეციალური ექსპერტიზა დაუკვეთოს. ორი დღის წინ ნტვ-ს პირდაპირ ეთერში ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ მას ამ გამოძიებაში მონაწილეობის მიღება სურს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას ამ ფაქტებით ოპოზიციის დაშინება უნდა. იუშენკოვის თანამებრძოლებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ დეპუტატის მკვლელობა მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორების მიგნებას უკაშირდება. თავად იუშენკოვი უკანასკნელ პერიოდში ძლიერ წუხდა, რომ საზოგადოებას უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის ორგანიზატორების მიგნება აღარ აინტერესებს.

ამასობაში კი, რუსეთის პარლამენტი, 23 აპრილს, აპირებს, ძალოვანი მინისტრების გადაყენების შესახებ დასვას საკითხი. პლენარულ სხდომაზე უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი და შინაგან საქმეთა მინისტრი არიან მოწვეულნი.

ბორის ნემცოვმა, რუსეთის მემარჯვენეთა ლიდერმა, სერგეი იუშენკოვის დაკრძალვაზე შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "დიმა ხოლოდოვი, ვლად ლისტევი, გალინა სტარავოიტოვა, ვლადიმირ გოლოვლიოვი, სერგეი იუშენკოვი... ისინი რუსეთის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და ყველანი ვერაგულად მოკლეს. მიწისზემოთ დარჩენილებმა ამ მკვლელობის გამოსაძიებლად ყველაფერი უნდა ვიღონოთ ". საგულისხმოა, რომ ნემცოვის მიერ ჩამოთვლილი პირებიდან, ჟურნალისტ ხოლოდოვის გამოკლებით, ყველას ბორის ბერეზოვსკისთან ფინანსური შეხება ჰქონდა.

# ერაყს, დროებით, ამერიკელი გენერალი უხელმძღვანელებს

პირველი გვერდიდან

გარნერმა, რომელიც ბაღდადში ქუვეითიდან ჩაფრინდა, გამგზავრების წინ განაცხადა: **“რა შეიძლება იყოს იმ დღეზე კარგი, რომელსაც ვინმეს დასახმარებლად გაატარებ. ჩვენ სწორედ ეს მიზანი გვაქვს.”** როგორც თავად აცხადებს, მის ამოცანას სამუშაოს მოკლე ვადებში დასრულება წარმოადგენს, თუმცა, როდესაც ჟურნალისტი შეეკითხა, დასრულდება თუ არა მისი მისია 90 დღეში, გარნერმა განაცხადა: **“მე კედელზე არ დავწერ 90 დღეს. ჩვენ აქ იმდენხანს ვიქნებით, რამდენიც საჭირო იქნება.”**

ერაყის ახალი მმართველის ჯეი გარნერის მოადგილის მოვალეობას ბრიტანელი ტიმ კროსი შეასრულებს. გარნერთან ერთად ბაღდადში ერაყის რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების სპეციალური კომისიის 19 თანამშრომელი ჩაფრინდა. მომავალ კვირას გარნერის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რიცხვი 450 კაცამდე გაიზრდება.

პირველადი გეგმის თანახმად, ჯეი გარნერის ადმინისტრაციის მისიას ერაყში გარდამავალი მთავრობის შესაქმნელად ნიადაგის მომზადება წარმოადგენს, რომელსაც შედეგად დემოკრატიული არჩევნები და ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება მოჰყვება.

საინტერესოა თავად ერაყელების და, კერძოდ, ბაღდადის მოსახლეობის განწყობა გარნერის მისიასთან დაკავშირებით. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ერაყის დროებითი ადმინისტრაციის სათავეში ამერიკელი გენერლის დანიშვნას, ერაყელი შიიტების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. შიიტებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ გარნერის ადმინისტრაციის ბოიკოტირებას ყველანაირი მეთოდებით შეეცდებიან. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი დღეების მანძილზე ბაღდადსა და სხვა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ერაყელები აშშ-ს სამხედრო შენაერთების დაუყოვნებლივ გაყვანას ითხოვენ.

მიუხედავად იმისა, რომ გარნერი თავისი მისიის მოკლე ხანში დასრულებას იმედოვნებს, აშშ-ს საინფორმაციო საშუალებები თეთრი სახლის და პენტაგონის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ აშშ-ს



ჯეი გარნერი ბაღდადში ჩავიდა.

არმია ერაყში, შესაძლოა, დაგეგმილზე მეტხანს დარჩეს. ამის დასტურად “ნიუ-იორკ ტაიმსს” ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის სიტყვები მოჰყავს, რომელიც აცხადებს, რომ თეთრ სახლში არსებული გეგმის თანახმად, ვაშინგტონი ერაყის ახალ მთავრობასთან გრძელვადიან თანამშრომლობას და ერაყში სამხედრო ბაზების შექმნას აპირებს. ამის თაობაზე “24 საათის” გუშინდელი ნომერი დეტალურად იუწყებოდა.

შიიტი ერაყელების პროტესტის საპირისპიროდ, სადამის ოპოზიციის – ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერი აჰმად ჩალაბი ერაყში ამერიკელთა ყოფნის გახანგრძლივებას ითხოვს. **“აშშ-ს სამხედრო ძალების ერაყში შენარჩუნება, სულ ცოტა, პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდეა საჭირო და მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესს ორი წელი მაინც დასჭირდება,”** - აცხადებს აჰმად ჩალაბი, რომელსაც გარკვეული გავლენიანი წრეები ერაყის მომავალი ლიდერის პოსტზე მოიაზრებენ.

ბაღდადში გენერალ გარნერის ჩასვლის პარალელურად, აშშ-ს სამხედრო სპეცდანაყოფებმა სადამ ჰუსეინის მთავრობის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მინისტრი აბდ ალ-ჰალიქ აბდ ალ-ჯაფარი დააპატიმრეს. ის ძებნილთა სიაში 45-ე პირად ირიცხებოდა. ერაყის ყოფილი მთავრობის წევრების ძებნა კვლავ გრძელდება.

როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებით აშშ-სირიას შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო, რადგან ვაშინგტონს უტყუარი ინფორმაციები გააჩნდა იმის თაობაზე, რომ დამასკო სადამის გარემოცვის წევრებს თავშესაფარს აძლევდა. მაგრამ როგორც ჩანს, სირიამ პოზიციები დათმო.

პრეზიდენტმა ბუშმა მშობლიური ტეხასის შტატში ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ სირიის ხელისუფლება მზად არის, დათმობებზე წავიდეს. **”მათ ჩვენი მინიშნება გაიგეს, რომ ბაასის პარტიის აპარატის წევრები არ უნდა შეიფარონ. დარწმუნებული ვარ, რომ სირიის ხელისუფლებამ ჩვენი მოთხოვნა შეისმინა”** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის განმავლობაში დამასკო აშშ-ს ადმინისტრაციის წევრების კრიტიკის ობიექტი იყო. სადაზვერვო ინფორმაციებზე დაყრდნობით, პენტაგონი აცხადებდა, რომ სირიაში ამჟამად სადამის გარემოცვის, სულ ცოტა, შვიდი წევრი იმალება. კვირას ტელეეთერში გამოსვლისას აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა დირექტორმა ჯეიმს ვულსმა განაცხადა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი **“ტერორისტების მხარესაა.”** ცსს-ს ყოფილმა შეფმა ასადის რეჟიმს **“ტოტალიტარული”** უწოდა. უნდა ითქვას, რომ სირიის ხელისუფლება დასავლეთის თვალში მოწონებით არასდროს სარგებლობდა. დამასკო, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ სიაში, ტერორიზმის მხარდამჭერის სახელს ყოველთვის “ღირსეულად” ატარებდა. როგორც ჩანს, სირიაზე აშშ-ს პირდაპირმა თუ ირიბმა მუქარებმა გაჭრა. აშშ-ს წარმომადგენლები უკვე აცხადებენ, რომ სირიის შეიარაღებულმა ძალებმა ერაყის ყოფილ ჩინოვნიკებს სირიაში შეშვებაზე უარი განუცხადეს. აღსანიშნავია, რომ ბაღდადში დაკავებული პალესტინელი ტერორისტი 55 წლის აბუ აბასი, ერაყში რეჟიმის დამხობის შემდეგ, ერაყ-სირიის საზღვრის გადაკვეთას ორჯერ შეეცადა და ორჯერვე უშედეგოდ. დამასკო ვითარების გართულებას აშკარად მოერიდა. თეთრი სახლი იმედოვნებს, რომ სირიის მთავრობა თავისთან მყოფ ერაყელ ყოფილ მაღალჩინოსნებს უხმაუროდ დაატოვებინებს ქვეყანას.

როგორც ჩანს, სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის საბოლოოდ დარწმუნება, რომ აშშ-სთან ურთიერთობის გამწვავება ნამდვილად არ იქნება სიკეთის მომტანი, დამასკოში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს კონგრესმენებმა – დემოკრატმა ნიკ რაჰოლმა და რესპუბლიკელმა დარელ ისამ შეძლეს. რაჰოლის თქმით, შეხვედრის შემდეგ ასადმა პირობა დადო, რომ ის ერაყის ყოფილი მთავრობის წევრებს თავშესაფარს არ მისცემს.

ალბათ, ამერიკელ სენატორებზე მეტად სირიის პრეზიდენტზე სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასასრულის ამსახველმა კადრებმა იმოქმედა. ძნელი დასაჯერებელია, ბაშარ ასადს სურდეს, რომ რამდენიმე კვირაში მის ნაცვლად ქვეყანას ჯეი გარნერის მსგავსმა რომელიმე ამერიკელმა გენერალმა უხელმძღვანელოს, რომლის გამონახვაც ვაშინგტონს, ცხადია, არ გაუჭირდება.

# გაერო-ს უშიშროების საბჭოში მორიგი უთანხმოება მწიფდება



დომინიკ დე ვილპენი, იგორ ივანოვი და იოშკა ფიშერი.

შოთა უტიაშვილი

გაერო-ში კიდევ ერთი დიპლომატიური სკანდალი მწიფდება, ისევ ერაყთან დაკავშირებით. ამჯერად იგი ამ ქვეყნისთვის დაწესებული სანქციების მოხსნას შეეხება.

1990 წლის შემდეგ, ერაყზე მრავალი სახის სანქციებია დაწესებული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნავთობის გაყიდვის აკრძალვაა. ერაყული ნავთობის გაყიდვა ნებადართულია მხოლოდ გაერო-ს პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" ფარგლებში. გაერო ყიდის ერაყულ ნავთობს, მიღებულ თანხას სპეციალურ ფონდში აგროვებს და შემდეგ სურსათს, მედიკამენტებსა და სხვა პირველი მოთხოვნილების საქონელს ყიდულობს ერაყელებისათვის, რომელთა 60 პროცენტისთვის ეს არსებობის ერთადერთი საშუალებაა. ამ მომსახურებაში საკომისიოს სახით, გაერო წლიურად, დაახლოებით, 600 მილიონ დოლარს იღებს.

ომის დაწყების შემდეგ, პროგრამა შეწყდა და ერაყელთა გაჭირვებული ყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდა.

შეერთებული შტატები მოითხოვს, რომ ეს პროგრამა სამუდამოდ შეწყდეს და ერაყის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებიც დაუყოვნებლივ გაუქმდეს. ამ წინადადებით პრეზიდენტი ბუში რამდენიმე დღის წინ გამოვიდა.

ბუშის ამ ინიციატივას მოულოდნელად რუსეთი დაუპირისპირდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა განაცხადა, რომ სანქციების გაუქმება "ავტომატურ რეჟიმში" არ უნდა მოხდეს. ამ მოსაზრებას მეტ-ნაკლებად მხარი დაუჭირა საფრანგეთმაც. მოსკოვისა და პარიზის აზრით, სადამის დამხობა არ ნიშნავს სანქციების გაუქმებას, რადგან სანქციების დაწესების მიზეზი არა სადამის დიქტატურა, არამედ ამ სახელმწიფოს ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღი იყო.

შესაბამისად, რუსეთი მოითხოვს, რომ ერაყში ბლიქსისა და ბარადეის მისია დაუყოვნებლივ განახლდეს.

ამ მოთხოვნამ ამერიკაში აღშფოთება გამოიწვია. "ნაბუქოდონოსორის დროიდან მოყოლებული, დიპლომატიის ისტორიას ასეთი ცინიკური განცხადება არ ახსოვს," – წერს "ვაშინგტონ პოსტი". ივანოვს სხვა წამყვანი ამერიკული გაზეთების მხრიდანაც მაგრად მოხვდა. ამერიკელები აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ სადამის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რუსეთი ერაყის მასობრივი განადგურების იარაღს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და სანქციების მოხსნას უჭერდა მხარს. ახლა კი, როდესაც სადამი აღარ არის, მოსკოვი ამ შეიარაღების ბედით მოულოდნელად დაინტერესდა.

ბოლო თვეების მანძილზე მიმდინარე დიპლომატიურ შეხლა-შემოხლაში, ანტისაომარ კოალიციაში მთავარი წევრი რუსეთი არ ყოფილა. შრიოდერის ხელახლა არჩევამდე "პაციფისტებს" შორის ლიდერობდა გერმანია, სადაც ბუშს ჰიტლერსაც კი ადარებდნენ. მოგვიანებით, "ესტაფეტა" საფრანგეთს გადაეცა. ამერიკელების რისხვაც, ძირითადად, ამ ქვეყანას დაატყდა თავს. თუმცა, ბოლო ხანს ვითარება შეიცვალა. გერმანელები საერთოდ აღარ იღებენ ხმას, შირაკი შემრიგებლურ ჟესტებს აკეთებს და რუსეთი, მოულოდნელად, "მშვიდობისმოყვარე" ქვეყნების სათავეში აღმოჩნდა.

მიმომხილველთა ერთი ნაწილის აზრით, რუსეთის ამერიკაზე დიპლომატიური "ზეწოლის" გააქტიურებას რუსული ნავთობკომპანიების გააქტიურება საეჭვოდ დაემთხვა. "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტმა, რომლის კომპანიაც ერაყში ერთ-ერთ უდიდეს საბადოზე, დასავლეთ ყურნაზე აცხადებს პრეტენზიას, განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მას ამ საბადოს ჩამოართმევენ, საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლებს და 6-8 წლით მაინც გააჭიანურებს ნავთობის ათვისებას. გარდა ამისა, რუსეთმა კიდევ ერთხელ შეცვალა პოზიცია ერაყის 8-მილიარდიან ვალთან დაკავშირებით და ამჟამად აცხადებს, რომ მის დაბრუნებას მოითხოვს.

"რუსული შანტაჟის" საპასუხოდ, ამერიკელი კონსერვატორები მოითხოვენ, რომ აშშ-მ სანქციების მოხსნის შესახებ რეზოლუცია სასწრაფოდ წარადგინოს უშიშროების საბჭოში და მერე "ერთი გაბედონ რუსებმა და ვეტო დაადონ". რუსულ გაზეთ "კომერსანტთან" ინტერვიუში ერაყის ომის ერთ-ერთმა "სულისჩამდგმელმა" რიჩარდ პერლმა განაცხადა, რომ რუსული ნავთობკომპანიები ერაყში ბევრს ვერაფერს მიიღებენ.

როგორც ჩანს, სახელმწიფო დეპარტამენტს უფრო კომპრომისული პოზიცია უკავია. გავრცელებული ინფორმაციით, კოლინ პაუელი შეიძლება დათანხმდეს როგორც "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამის ნაწილობრივ აღდგენას, ისე სანქციების ნაწილობრივ შენარჩუნებას.

რაც შეეხება ინსპექტორების დაბრუნებასა და გაერო-სათვის ერაყში მთავარი როლის მინიჭებას, ამერიკელები ამ ორივე იდეას მიუღებლად მიიჩნევენ. რუსეთი ორივე მათგანს აქტიურად ლობირებს.

ერაყის ომთან დაკავშირებით, რუსეთის როლის შეფასებისას, ექსპერტები არაერთგვაროვან დასკვნამდე მიდიან. ერთი მხარის აზრით, პუტინმა ამერიკასთან თამაშში აშკარად გადაამლაშა, და ამ ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობების პერსპექტივა დაასამარა, მაშინ, როდესაც ამის გაკეთებას არაფერი აიძულებდა. მეორე მხარე კი ფიქრობს, რომ პუტინმა, ომის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შუალედური პოზიციის დაკავებით, არც მწვადი დაწვა, არც შამფური და რუსეთს დიპლომატიური მანევრირებისათვის საშუალება მისცა.

# ერდოგანს პრეზიდენტობა სურს

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა განაცხადა, რომ მას ქვეყანაში სახელისუფლებო რეფორმის გატარება სურს, რაც პრეზიდენტისათვის რეალური აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემაში უნდა გამოიხატოს. "ჩემი იდეალი ამერიკული მოდელია", - განაცხადა მან.

თურქეთში პრეზიდენტს, პრაქტიკულად, მხოლოდ სიმბოლური ფუნქციები აქვს. აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში პრემიერ-მინისტრი უდგას. საერთოდ, ითვლება, რომ ხელისუფლების ეს ფრთა თურქეთში საკმაოდ სუსტია, რადგან მთავრობები ხშირად ერთმანეთის მეტოქე პარტიებისაგან შემდგარი კოალიციებით კომპლექტდება.

ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების შემოღების იდეას ყოფილი პრეზიდენტი, სულეიმან დემირელიც ემხრობოდა.

ერდოგანის "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის მიერ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების გასატანად საჭირო ხმების ორ მესამედს მხოლოდ სამი ხმა აკლია, თუმცა, კონსტიტუციის შეცვლა მათ ერთხელ უკვე მოახერხეს.

## მონიტორინგი

# რის დამალვას ცდილობს მთავრობა?

ორშაბათიდან დადგინდა დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის გეგმა და შემოსავლებისა და დეფიციტის დაფინანსების შესრულების მაჩვენებლებიც, შესაბამისად, ექვსი თვის გეგმასთან შედარებით არის წარმოდგენილი. N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი საბრუნავი სახსრების ანუ ნაშთის ექვსი თვის გეგმა კვლავ 2 მილიონი ლარია, რაც უკვე ნამდვილად გაუგებარია.

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, ნაშთი უნდა იყოს 8.5 მილიონი ლარი. აქედან 2 მილიონი ლარი - ცენტრალური ბიუჯეტი, 4.8 მილიონი ლარი - სოციალური ფონდი და 1.7 მილიონი ლარი - საგზაო ფონდი.

პირველი კვარტლის ბალანსების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთი სინამდვილეში იყო 1.96 მილიონი ლარი, სოციალური ფონდის ნაშთი სინამდვილეში იყო 3.86 მილიონი ლარი, ხოლო საგზაო ფონდის ნაშთი კი სინამდვილეში იყო 1.71 მილიონი ლარი ანუ ფინანსთა სამინისტროსათვის მშვენივრად არის ცნობილი ნაშთის ზუსტი მაჩვენებლები. გასაკვირია, რატომ არის ექვსი თვის პროგნოზებსა და შესრულებაში მითითებული, შესაბამისად, 2 და 1.96 მილიონი ლარი? რის დამალვას ცდილობს ამით მთავრობა?

**სინამდვილეში გარდამავალი საბრუნავი სახსრების ექვსი თვის პროგნოზი უნდა იყოს 8.5 მილიონი ლარი, ხოლო შესრულება კი 7.53 მილიონი ლარი და, შესაბამისად, ამ ნაწილში ბიუჯეტი უნდა შესწორდეს თითქმის 1 მილიონი ლარით.**

იმედი გვაქვს, რომ ცხრილში შესაბამისი მაჩვენებლები გასწორდება და ამ ყველაზე მარტივ საკითხზე კომენტარების გაკეთება აღარ დაგვჭირდება.

ახლა ხარჯების შესახებ: წინა კვირას ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ცალკეა წარმოდგენილი ხაზინის მიერ, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა.

იმედი გვაქვს, რომ ეს ინფორმაციის დაფარვის ბოლო დროს არსებული ტენდენციის დასასრულია.

როგორც ვხედავთ, გაგრძელდა მარტის ხელფასების გაცემა, დაფინანსდა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენახვის ხარჯებიც; საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება ჩვეულებრივზე ადრეა გაწეული, სხვა საქონელი და მომსახურება კვლავ არათანმიმდევრულად არის დაფინანსებული. წინა კვირას არ დაფინანსებულა არც ლტოლვილთა შემწეობა და არც სოციალური ფონდის ტრანსფერი.

რაც შეეხება სოციალური ფონდის ხარჯებს: იანვრის პენსიების სრულად დაფინანსებას აკლია 6.4 მილიონი ლარი. დაწყებულია თებერვლისა და მარტის პენსიების გაცემა, შესაბამისად, 8.3 მილიონი და 5.4 მილიონი ლარით.

აპრილის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები დაფინანსებულია პირველი კვარტლის გეგმის 74.8 პროცენტით, სოციალური ადაპტაციის პროგრამები დაფინანსებულია პირველი კვარტლის გეგმის 48.7 პროცენტით, ხოლო უმუშევრობის და დასაქმების პროგრამები კი გეგმის 25.8 პროცენტით. პირველი კვარტალი კი კარგა ხანია, ჩაბარდა ისტორიას. **თუმცა, აქ აღარაფერია გასაკვირი – სოციალური ხარჯები მთვარობის პრიორიტეტი აღარ არის.**

**საკონსულტაციო ფირმა**
**"დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"**

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის პროგნოზი | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % წლის პროგნოზთან | % ექვსი თვის პროგნოზთან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 517.93 | 251.45 | 22% | 49% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 373.22 | 179.61 | 22% | 48% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 310.64 | 147.52 | 22% | 47% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.16 | 24.29 | 31% | 67% |
| გრანტები | 95.4 | 26.43 | 7.8 | 8% | 30% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 62.2 | 25% | 53% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 9.77 | 20% | 41% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 112.16 | 62.79 | 26% | 56% |
| გარდამავალი საბრუნავი სახსრები | 8.5 | 2 | 1.96 | 23% | 98% |
| სახაზინო ვალდებულებების შემოსავალი | 22 | 13.5 | 9.55 | 43% | 71% |
| ეროვნული ბანკის სესხი | 40 | 29.54 | 19.51 | 49% | 66% |
| ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხი | | | 2 | | |
| პრივატიზაციის შემოსავალი | 41.5 | 9.51 | 3.78 | 9% | 40% |
| საინვესტიციო კრედიტები | 127.8 | 57.61 | 25.99 | 20% | 45% |
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 260.3 | 138.11 | 27% | 53% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 181.04 | 74.59 | 19% | 41% |

### 2003 წლის 14 - 18 აპრილის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება | 303.2 |
| 2 | დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები | 1,550.0 |
| 3 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის ხელფასები | 4,068.0 |
| | სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო | 792.0 |
| | იუსტიციის სამინისტრო | 376.0 |
| | საქართველოს პროკურატურა | 165.0 |
| | თავდაცვის სამინისტრო | 1,689.3 |
| | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 400.0 |
| | საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 515.7 |
| | დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 130.0 |
| 4 | საქართველოს პრეზიდენტის ფონდი | 323.3 |
| | ცაგერის რაიონის გამგეობა | 228.0 |
| | აბაშის რაიონის გამგეობა | 30.0 |
| | საქართველოს კულტურის სამინისტრო, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი | 32.0 |
| | ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი | 2.0 |
| | საქართველოს მწერალთა კავშირის სუბსიდია | 13.9 |
| | ანტიკორუფციული ბიურო | 17.4 |
| 5 | სახელმწიფო სარეზერვო ფონდი | 216.8 |
| | ოზურგეთის რაიონის გამგეობა (ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის აღსადგენად) | 20.0 |
| | სახელმწიფო კანცელარია | 196.8 |
| 6 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | 76.7 |
| | ლტოლვილთა შენახვის ხარჯები | 76.7 |
| 7 | სხვა საქონელი და მომსახურება | 372.4 |
| | თავდაცვის სამინისტრო | 185.0 |
| | უშიშროების საბჭო | 0.5 |
| | სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური | 50.5 |
| | განათლების სამინისტრო | 6.7 |
| | საქართველოს პარლამენტი | 80.0 |
| | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | 9.9 |
| | ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი | 8.3 |
| | საკონსტიტუციო სასამართლო | 7.0 |
| | ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია | 6.5 |
| | სახელმწიფო დავის სპეციალური სამსახური | 6.5 |
| | თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო | 5.1 |
| | მეცნიერებათა აკადემია (ბოტანიკური ბაღი) | 4.1 |
| | აფხაზეთის სასამართლო | 0.8 |
| | საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკა | 0.3 |
| | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (თესლეულისა და სარგავი მასალების ხარისხის ინსპექცია) | 0.2 |
| | კონტროლის პალატა | 1.0 |
| 8 | სამივლინებო ხარჯები | 29.0 |
| | უშიშროების სამინისტრო | 26.0 |
| | კულტურის სამინისტრო | 3.0 |
| 9 | სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებები | 120.0 |
| 10 | სუბსიდიები | 128.6 |
| | საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია | 128.6 |
| 11 | სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ხაზინის დავალებით ჩამოჭრილი თანხები | 8.1 |
| 12 | სახაზინო ვალდებულებების დისკონტი | 505.4 |

# გზების დეპარტამენტი - ინვალიდთა ლიგის წინააღმდეგ

"ორი თვით "გვათხოვეთ" რიკოთის გვირაბი!.." გვთავაზობენ უნარშეზღუდულები

მაკა ჭაიანი

*საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ყულაბა – საგზაო ფონდი უმაგრებს ზურგს, სასამართლოში ჩივის, შეღავათს ითხოვს. ეს შეღავათი, როგორც საოლქო სასამართლოში შეტანილი მათი განცხადებიდან ირკვევა, 51-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე ამ უწყებას ინვალიდთა ლიგისთვის გადასახდელი 1 მილიონ 628 ათასი ლარის დასაფარავად სჭირდება. ეს ის თანხაა, რომელიც დეპარტამენტმა ლიგას თავის დროზე, ანუ 1998 წელს არ ჩაურიცხა და რომლის დასაბრუნებლად ინვალიდებს ოთხწლიანი ბრძოლა დასჭირდათ.*



*"ინვალიდთა ლიგის" პრესკონფერენცია ჟურნალისტთა სახლში.*

2002 წლის 20 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ინვალიდთა ლიგის სარჩელი და საავტომობილო გზების დეპარტამენტს ვალის დაბრუნება დააკისრა. დეპარტამენტში დაახლოებით ისე მოეკიდნენ ამ გადაწყვეტილებას, როგორც ლიგის საპროტესტო აქციებს მათი სამსახურის ფანჯრებთან, 1998 წელს, ამ კონფლიქტის გარიჟრაჟზე – ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს დამოკიდებულება გაგრძელდა მანამ, სანამ განაჩენის სისრულეში მოყვანის ყველა ვადა არ ამოიწურა და იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო სამსახურმა დეპარტამენტის ანგარიშზე საინკასო მოთხოვნა არ წარადგინა. ეს გასულ პარასკევს მოხდა. იმავე დღეს, ინვალიდთა ლიგის ძველ მისამართზე სასამართლო უწყება მიიტანეს.

ლიგაში ვარაუდობენ, რომ ეს სახელდახელოდ გაკეთდა, რათა დეპარტამენტი ანგარიშის დაყადაღებას გადარჩენოდა. სასამართლო პროცესზე, რომელიც გუშინ გაიმართა, მოსარჩელეები ვალის გადახდისთვის ხუთწლიანი ვადის მიცემას ითხოვდნენ. მოტივი შემდეგი გახლდათ: დეპარტამენტს უჭირს, უამრავი დაუფარავი სესხი აქვს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება წელში გაწყვეტს. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ამ სიტყვების ავტორებისთვის საშიშროებად პირდაპირი მნიშვნელობით ამ დღეში მყოფი ადამიანები ქცეულან... ამ ტრაგიკომიკურ სიტუაციას ლიგის წევრები შესაბამის პასუხს აგებებენ: ორი თვით "გვათხოვეთ" რიკოთის გვირაბი და დეპარტამენტის გადახდისუნარიანობაზე მერე ვილაპარაკოთ.

საქართველოს უნარშეზღუდული მოქალაქეები, რომლებისთვისაც ჩვენმა სახელმწიფომ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებებიც ვერ შეასრულა, ხუთ წელიწადს ლოდინს არ აპირებენ. გუშინ მათ კანონიერად მოიპოვეს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების გაცნობისა და მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო. საოლქო სასამართლომ საქმის განხილვა პარასკევისთვის გადადო. 1 მილიონ 628 ათასი ლარისთვის მორიგი ბრძოლა იწყება. ლიგას ეს თანხა საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვიანობის გაუმჯობესებისთვის შექმნილი გეგმის ასამოქმედებლად სჭირდება. რაც შეეხება დეპარტამენტს, აქ ვარაუდიც ბევრია. მაგალითად: სახელისუფლო ბლოკისკენ ზედ არჩევნების წინ აშკარად ნაბიძგებ უწყებას გასავალს რა გამოულევს?

# ფსიქიატრია ტაბუირებული პრობლემა რომ არ იყოს

*ოცი წლის წინ დაარსებული ორგანიზაცია "ჟენევის ინიციატივა ფსიქიატრიაში" ("GIP") ერთ-ერთი მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციაა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. იგი მსოფლიოს 29 ქვეყანაში ფუნქციონირებს. გუშინ, თბილისში ამ ორგანიზაციის 30-ე დამოუკიდებელი ოფისი დაფუძნდა.*

ლელა მარგიანი

თბილისის ოფისის ხელმძღვანელის იან ვორიშეკის განცხადებით,"ჟენევის ინიციატივის" ოფისი შეიქმნა, რათა რეფორმების განხორციელებაში დაეხმაროს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ოფისის ხელმძღვანელის თქმით, "ეს იქნება რთული, ხანგრძლივი პროცესი, რადგან საზოგადოებაში არსებობს უარყოფითი განწყობა ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანების მიმართ. ფსიქიატრია თითქოს ტაბუირებული პრობლემაა - არსებობს, მაგრამ ურჩევნიათ, არ ილაპარაკონ მასზე".

"ჟენევის ინიციატივის" ხედვის არსი ის არის, რომ "მსოფლიოში ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოახდინოს თავისი პოტენციალის რეალიზება". ყოველ საზოგადოებას ეკისრება მოვალეობა ებრძოლოს პრობლემისადმი უარყოფით განწყობილებას, გონებრივად უნარშეზღუდულთა, ინტელექტუალურად ჩამორჩენილთა დისკრიმინაციას, განახორციელოს გონებრივად უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოვლა და მკურნალობა, ხელი შეუწყოს იუზერების, იგივე მომხმარებლების, მათი ნათესავების ჩართვას მომსახურების პროცესში და ლობირება გაუწიოს ყოველივეს ამასთან დაკავშირებულს. "ჟენევის ინიციატივის" მისიაა, "ხელი შეუწყოს ჰუმანური, ეთიკური და ეფექტური ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების განვითარებას მსოფლიოში", მათ შორის საქართველოში, რათა, როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში, აქაც მოხდეს "პოლიტიკური მიზნებით დამკვიდრებული ფსიქიატრიული ძალადობის აღმოფხვრა".

თბილისის ოფისის თანამშრომელმა სიმონ სურგულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მათი ოფისი ხელს შეუწყობს "მთავრობას, საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციებს განახორციელონ ფართო სპექტრის პროექტები ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არა მარტო რეგიონის დონეზე, არამედ ცენტრალური აზიის მასშტაბითაც, რადგან ოფისი ცოტა ხანში საქართველოს, სასომხეთის და აზერბაიჯანის გარდა მოემსახურება ყაზახეთსა და ყირგიზეთსაც". ორგანიზაციამ უკვე ჩაატარა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები: ჰყავს თანამშრომლები რეგიონებში - ქუთაისში, თელავსა და სენაკში, ჩაუტარა ტრენინგები და მოამზადა ამ სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები. თუმცა "ჟენევის ინიციატივა" თავად არ ახორციელებს პროექტებს, მაგრამ როგორც შეხვედრაზე ითქვა, რიგ შემთხვევებში საქართველოს რეგიონალური ოფისი გამოყოფს სახსრებს მცირემასშტაბიანი პროექტებისთვის, რომელთაც შემოაქვთ ახალი მიდგომები ამ სფეროში.


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
## სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 14 - 18 აპრილის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 7 701.5 ათასი ლარი**

**1) ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 513.5 ათასი ლარი:**
- **დისკონტი - 505.4 ათასი ლარი;**
- **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 8.1 ათასი ლარი;**

**2) ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 6 666.6 ათასი ლარი;**

**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება - 303.2 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის თვის შრომის ანაზღაურება - 4 068.0 ათასი ლარი;**
- სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო - 792.0 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 376.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პროკურატურა - 165.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 1 689.3 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 400.0 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 515.7 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 130.0 ათასი ლარი;

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 76.7 ათასი ლარი:**
- ლტოლვილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში - 76.7 ათასი ლარი;

**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდირება - 128.6 ათასი ლარი;**

**საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები (მარტის თვის) - 1 550.0 ათასი ლარი;**

**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 323.3 ათასი ლარი;**
- **ცაგერის რაიონის გამგეობა (საქართველოს პრეზიდენტის 13.03.03 N272 განკარგულების თანახმად სოფელ ლასურიაში მეწყერის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად) - 228.0 ათასი ლარი;**
- **აბაშის რაიონის გამგეობა (საქართველოს პრეზიდენტის 24.03.03 N328 განკარგულების თანახმად კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად) - 30.0 ათასი ლარი;**
- **საქართველოს კულტურის სამინისტრო, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი (საქართველოს პრეზიდენტის 13.03.03 N371 განკარგულების თანახმად სპექტაკლი „კანდიდატი"-ს დასაფინანსებლად) - 32.0 ათასი ლარი;**
- **ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (საქართველოს პრეზიდენტის 21.03.03 N322 განკარგულების თანახმად შოთა შურღაიას ოჯახის დახმარება) - 2.0 ათასი ლარი;**
- **საქართველოს მწერალთა კავშირის სუბსიდია (საქართველოს პრეზიდენტის 11.04.03 N175 განკარგულების თანახმად გურამ ფანჯიკიძის 70 წლისთავის აღსაღნიშნავად) - 13.9 ათასი ლარი;**
- **ანტიკორუფციული ბიურო - 17.4 ათასი ლარი;**
- **სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 216.8 ათასი ლარი;**
- **სახელმწიფო კანცელარია - 196.8 ათასი ლარი;**
- **ოზურგეთის რაიონის გამგეობა (ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის აღსადგენად) - 20.0 ათასი ლარი;**

**3) 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 521.4 ათასი ლარი;**

**სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით - 372.4 ათასი ლარი:**
- თავდაცვის სამინისტრო - 185.0 ათასი ლარი;
- უშიშროების საბჭო - 0.5 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 50.5 ათასი ლარი;
- განათლების სამინისტრო - 6.7 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი - 80.0 ათასი ლარი;
- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - 9.9 ათასი ლარი;
- ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი - 8.3 ათასი ლარი;
- საკონსტიტუციო სასამართლო - 7.0 ათასი ლარი;
- ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია - 6.5 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დავის სპეციალური სამსახური - 6.5 ათასი ლარი;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო - 5.1 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია (ბოტანიკური ბაღი) - 4.1 ათასი ლარი;
- აფხაზეთის სასამართლო - 0.8 ათასი ლარი;
- საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკა - 0.3 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (თესლეულისა და სარგავი მასალების ხარისხის ინსპექცია) - 0.2 ათასი ლარი;
- კონტროლის პალატა - 1.0 ათასი ლარი;

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებები - 120.0 ათასი ლარი;**

**სამივლინებო ხარჯები - 29.0 ათასი ლარი:**
- უშიშროების სამინისტრო - 26.0 ათასი ლარი;
- კულტურის სამინისტრო - 3.0 ათასი ლარი;

**სულ ხარჯი:** 7 701.5 **ათასი ლარი;**

**1.ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 513.5 ათასი ლარი:**
- **დისკონტი - 505.4 ათასი ლარი;**
- **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 8.1 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 6 666.6 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 521.4 ათასი ლარი;**
- **სხვა საქონელი და მომსახურება - 492.4 ათასი ლარი;**
- **მივლინება - 29.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1** **ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# საკადრო ცვლილებები იუსტიციის სამინისტროში

ინგა ალავიძე

სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ბოლო 2 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მე-4 ხელმძღვანელად გიგლა აგულაშვილი დაინიშნა. იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე გიგლა აგულაშვილი გუშინ წარადგინა.

აგულაშვილი პროკურატურის კადრია. საკარიერო საფეხურებზე სვლა მან წლების წინ დაიწყო, როცა გენერალურ პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა. იგი 29 აგვისტოსა და 9 თებერვლის ტერაქტების საგამოძიებო ჯგუფის უფროსი იყო. სწორედ, გიგლა აგულაშვილი იძიებდა ჯაბა იოსელიანისა და თემურ ხაჩიშვილის საქმეებს. მოგვიანებით, აგულაშვილი გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოადგილედ დაინიშნა; შემდეგ - კახეთის ოლქის პროკურორად. მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა იგი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორად გადაიყვანა. იუსტიციის სამინისტროში როლანდ გილიგაშვილის მისვლის შემდეგ გიგლა აგულაშვილი პროკურატურიდან იუსტიციის სამინისტროში გადავიდა და სააღსრულებო დეპარტამენტს თავმჯდომარეობდა.

**"დღეს მძიმე დღეა, ვნების კვირა დაიწყო, ამიტომაც ბევრს არ ვილაპარაკებ. ერთს გეტყვით: იმუშავეთ ისე, როგორც – მე; იმდენი და იმ ხარისხით, რამდენსაც და როგორი ხარისხითაც მე ვიმუშავებ,"** – გუშინ ასეთი მოკლე პროგრამით წარდგა თანამშრომლების წინაშე ახალი თავმჯდომარე.



იუსტიციის მინისტრი გიგლა აგულაშვილს წარადგენს.

**"გიგლა აგულაშვილისთვის ახალი თანამდებობა დიდი დაწინაურება არ არის, მაგრამ მინდა, მადლობა ვუთხრა ამ ნაბიჯის გადადგმისთვის, რაც იმის დასტურია, რომ იგი სახელმწიფოებრივად აზროვნებს. ამ სისტემაში კორუფცია და განუკითხაობაა გამეფებული. დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი თავმჯდომარე შეძლებს ამ სისტემის შეცვლას,"** – იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი ახალ თავმჯდომარეზე დიდ იმედებს ამყარებს და სჯერა, რომ იგი შეცვლის და გამოასწორებს პენიტენციალურ სისტემაში არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებსაც.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტს, მინისტრის განცხადებით, მას სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალეკო ტუშური დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე პაატა მხეიძე თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა, რადგან მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თერჯოლის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას აპირებს.

საარჩევნო მარათონში ჩაბმამდე პაატა მხეიძე იუსტიციის სასწავლო ცენტრს უხელმძღვანელებს.

## აფხაზეთის ხელისუფლებამ მეციხოვნეები დააპატიმრა

7 აპრილს სოხუმის იზოლატორის სიკვდილმისჯილთა საკნიდან 9 პატიმარი გაიქცა. ამის გამო აფხაზურმა მილიციამ იზოლატორის 5 თანამშრომელი დააკავა.

"გამოძიება ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა და რაიმე კონკრეტულ შედეგზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, იზოლატორის ხუთ თანამშრომელთან ერთად, აფხაზეთის კიდევ ერთი მოქალაქის დაკავება მოხერხდა, რომლის მონაწილეობა პატიმართა გაქცევის საქმეში ამჟამად დგინდება", - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების გენერალური პროკურატურის, უშიშროების სამსახურისა და შს სამინისტროს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა სერგეი ბაგათელიამ.

როგორც ცნობილია, 7 აპრილს სოხუმის ხელისუფლების შს სამინისტროს იზოლატორიდან გაიქცნენ: საიდახმედ იცლაევი, ალბერტ თარბა, ალხაზ ქეცბა, ენვერ ტანია, კასიმ ბალოვი, გერვასი ჯოლოგუა, მასხუდ ჯაბრაილოვი, არსენ ხონდოხოვი და მაგომედ ხოჯაევი.

დამნაშავეთა გაქცევის გამო იზოლატორის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ოთარ დელბა უკვე დაითხოვეს შს ორგანოებიდან. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ აგრეთვე სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის განყოფილების უფროსი ვიტალი ადლეიბა, სასჯელაღსრულების განყოფილების უფროსი დავით ტანია და იზოლატორის სამი ოპერატიული თანამშრომელი.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა 47 წლის მსჯავრდებული ამირან შიოლაშვილი. პატიმარი განზრახ მკვლელობის ბრალდებით იყო გასამართლებული. მას 12 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, წელს სასჯელაღსრულების სისტემაში ავადმყოფობით 12 პატიმარი და მსჯავრდებული გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრთან ერთად, გუშინ მსჯავრდებულთა აივ-ინფექციაზე გამოკვლევა დაიწყო. პირველად პატიმართა და მსჯავრდებულთა აივ-ინფექციაზე შემოწმება 2001 წლის დეკემბერში მოხდა. შემოწმდა გეგუთის, ავჭალის №9, ქალთა დაწესებულებები, თბილისის №5 და ქუთაისის №2, ბათუმის №3 საპყრობილეები. გამოკვლევების შედეგად შიდსით დაავადებული ხუთი პატიმარი გამოვლინდა. მსჯავრდებულთა და პატიმართა შორის ამჟამად რვა შიდსიანია აღრიცხული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამარშრუტო ტაქსის გატაცებასა და გაუპატიურების მცდელობაშია ეჭვმიტანილი 16 წლის ზურაბ კაციშვილი, რომელიც პოლიციელებმა ფონიჭალაში დააკავეს. 19 აპრილს პოლიციას მიმართა №10 სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა გივი ცატუროვმა. მისი ჩვენებით, მეტროსადგურ "წერეთლთან" სამარშრუტო ტაქსში ჩაჯდა ხუთი შეიარაღებული პირი. მათ რუსთაველის გამზირზე მძღოლს მარშრუტის შეცვლა მოსთხოვეს. გორგასლის ქუჩაზე გამტაცებლებმა მძღოლის ადგილი დაიკავეს და ფონიჭალისკენ გაემართნენ მგზავრთან - 23 წლის გოგონა ი.ტ.-სთან ერთად. ცატუროვს ფონიჭალაში წაართვეს სამარშრუტო ტაქსი „ფორდ ტრანზიტი" და 127 ლარი, ხოლო გოგონა ფონიჭალაში მცხოვრებ რ. მ-ს სახლში წაიყვანეს, სადაც მის გაუპატიურებას შეეცადნენ, თუმცა ი.ტ-მ მოახერხა თავის დაღწევა. პროკურატურა ამ ფაქტთან დაკავშირებით აწარმოებს გამოძიებას. ამოღებულია „ფორდ ტრანზიტი", 127 ლარი და დანა. **მედია-ნიუსი**

# ყაჩაღები სამიზნედ ახლობლებს და ნაცნობებს ირჩევდნენ

*დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც იმერეთის სამართალდამცავებმა გამოავლინეს, სხვებისგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ ნაცნობებსა და ახლობლებს აყაჩაღებდა. მსხვერპლს მათი ყურადღება რომ დაემსახურებინა, საზოგადოებაში განსაკუთრებული მდგომარეობა და სიმდიდრე სრულებითაც არ იყო აუცილებელი - ისინი, ძირითადად, საკუთარ მასწავლებლებს, ოჯახის მეგობრებს და ნაცნობებს აყაჩაღებდნენ და იმ ნივთებსაც ართმევდნენ, რომელიც თავის დროზე თავადვე აჩუქეს.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

თავდაპირველად პოლიციის ოპერატიულმა სამსახურმა ინფორმაცია ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ვარლამ ქარსელაძის შესახებ მიიღო. შეტყობინების მიხედვით, ქარსელაძეს თან ჰქონდა ცეცხლსასროლი და სხვა საბრძოლო იარაღი. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ პოლიციამ იგი ქუჩაში დააკავა. ჩხრეკისას ქარსელაძეს ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

დაკავებული ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის მკვიდრია. საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ქარსელაძეს ტყიბულისა და ქუთაისის ტერიტორიაზე არაერთი ყაჩაღური თავდასხმა ჰქონდა ჩადენილი. მისი საცხოვრებელი ბინებიდან კი ტყავის ქურთუკები, ოქროს ნივთები და მობილური ტელეფონები ამოიღეს.

### დანაშაულებრივი ქრონიკა

საგამოძიებო მასალების თანახმად, 2002 წლის 19 დეკემბერს ჯგუფი ყაჩაღურად დაესხა თავს ტყიბულის რაიონის სოფელ გელათში მცხოვრებ დავით აბჟანდაძის ოჯახს. როგორც შემდეგ გაირკვა, დავით აბჟანდაძის ქალიშვილი მაკა აბჟანდაძე დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის თეიმურაზ მაწკეპლაძის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ. თუმცა, ამას ყაჩაღებისთვის ხელი სულაც არ შეუშლია. უფრო მეტიც, მასწავლებლის ოჯახზე თავდასხმა სწორედ მაწკეპლაძის ინიციატივით მოხდა. თუმცა, უშუალოდ მას ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია.

**"დავით აბჟანდაძე გარკვეული ხანი რუსეთში იმყოფებოდა. ალბათ, თავდამსხმელებმა იფიქრეს, რომ მან რუსეთიდან მატერიალური ფასეულობები ჩამოიტანა. თუმცა პირადად ვნახე, რა პირობებში ცხოვრობენ აბჟანდაძეები. ეს არის უგაჭირვებულესი ოჯახი, რომელიც ბარაკისებურ სახლში ცხოვრებს. კაცი ვერ გაიფიქრებს, რომ იქ ყაჩაღური თავდასხმისათვის შევიდეს",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას იმერეთის საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ნიკა ჯიქიამ. მიუხედავად ამისა, ყაჩაღებმა მაინც წაართვეს მასწავლებელს ის მობილური ტელეფონი, რომელიც თავდასხმამდე თავად მიჰყიდეს.

ამ დანაშაულში ვარლამ ქარსელაძე, ზაზა ჯანგავაძე, გოგიტა სილაგაძე და კიდევ ერთი პირი მონაწილეობდა, რომლის მონაცემების დადგენა ამჟამად მიმდინარეობს.

25 დეკემბერს კი იგივე მოქმედი პირები სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაისში ერთ-ერთ ოჯახს მხოლოდ იმიტომ დაესხნენ თავს, რომ მათთან სახლში ელექტროგენერატორი მუშაობდა.

საგამოძიებო მასალებში დანაშაულის დეტალები ასე იკვეთება: ყაჩაღური ჯგუფის წევრები ქუთაისისკენ მიემგზავრებოდნენ, გზად კი სამტრედიის რაიონი გამოიარეს. მთელ ჯიხაისში შუქი არ იყო და იქაურობა ჩაბნელებული გახლდათ. მხოლოდ ერთგან შენიშნეს ბოროტმოქმედებმა შუქი – იმ სახლში ელექტროგენერატორი იყო ჩართული. ჯგუფის წევრებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყაჩაღობა დაეგეგმათ. ოჯახს დაესხნენ, თუმცა იქიდან მხოლოდ ელეტროგენერატორი წამოიღეს.

გამოძიების მიერ მოპოვებულ მასალებში ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი კიდევ რამდენიმე დანაშაულია აღნუსხული. მაგალითად, 30 დეკემბერს ზაზა ჯანგავაძე, თეიმურაზ მაწკეპლაძე და გოგიტა სილაგაძე ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ გელათში მცხოვრებ ნუგზარ მაწკეპლაძის ოჯახს. ყაჩაღებმა ოჯახის წევრებს, ოქროსთან ერთად, იარაღის ფორმის სანთებელაც მოსთხოვეს, რომელიც ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ამ ოჯახს რამდენიმე წლის წინ აჩუქა.

მოგვიანებით ჯგუფის წევრები ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ლევან შაშიაშვილის ოჯახს ესხმიან თავს. შაშიაშვილებიდან მათ 600 დოლარი და ვიდეომაგნიტოფონი გაიტაცეს.

ყაჩაღები ამით არ დაკმაყოფილებულან და ოქრომჭედელ ზვიად ხარებავას ოჯახს დაესხნენ, რომლისგანაც სხვადასხვა ნივთები გაიტაცეს.

გამოძიებაში აღნიშნულია, რომ ყაჩაღები რასაც წააწყდებოდნენ, ყველაფერს იტაცებდნენ; თუმცა, მათ მიერ მოპოვებული ყველაზე მსხვილი ნადავლი შაშიაშვილებიდან წამოღებული 600 დოლარი და ვიდეომაგნიტოფონი გახლდათ.

**"ქარსელაძესთან ერთად დაკავებული გვყავს ზაზა ჯანგავაძე, თეიმურაზ მაწკეპლაძე და გიორგი სილაგაძე. ისინი ტყიბულის რაიონის სოფელ გელათში ცხოვრობენ. გარდა ამისა, პასუხისგებაში მიეცემა კიდევ ერთი პირი - გოგიტა კეზევაძე, რომელმაც ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ იცოდა და პოლიციას არაფერი შეატყობინა.**

**ეს ის ხალხია, რომლებიც დანაშაულს ყველგან ჩადიოდნენ, სადაც კი შესაძლებელი იყო. მათ მიერ ნაყაჩაღარი ნივთებიდან არც ერთი არაა არსებითი ღირებულების"** - აცხადებს ნიკა ჯიქია.

დაკავებულები ამჟამად ქუთაისის მეორე საპყრობილეში იმყოფებიან. მათ გამოძიებისთვის თავდაპირველად მიცემული აღიარებითი ჩვენებები გადათქვეს, თუმცა გამოძიებას მიაჩნია, რომ ჩვენებების შეცვლა საქმის არსებით გარემოებებზე გავლენას ვერ იქონიებს.

# ნაცემი ახალგაზრდები პოლიციას უჩივიან

პირველი გვერდიდან

**"დაუნდობლად გვირტყამდნენ, მოკვლით გვემუქრებოდნენ, ორჯერ მესროლეს კიდეც, თუმცა ბნელოდა და დაზუსტებით არ შემიძლია თქმა, დამიზნებით მესროლეს თუ შესაშინებლად გაისროლეს. ფაქტია, რაღაცნაირად გადავრჩი",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში მყოფმა გურამ მაისურაძემ, რომელსაც, როგორც თავად აცხადებს, აკაკი ბუხრაძესთან და მის ქვეშევრდომებთან ცოტა ხნის წინათაც ჰქონია პრობლემები. სწორედ ამ პრობლემებს უკავშირებენ გუშინწინ მომხდარ ანგარიშსწორებას დაზარალებულები.

როგორც გურამ მაისურაძე ამბობს, საქმე ის გახლავთ, რომ ის ერთი თვის წინ სამართალდამცველებმა პოლიციის მთავარ სამმართველოში მიიყვანეს და განუცხადეს: **"თუ ვერ ვიპოვით იმ პიროვნებას, ვინც მანქანა მოგყიდა, წახვალ ციხეში და ვერავინ გიშველისო".** გურამ მაისურაძისვე განცხადებით, იყო მუქარა და ფიზიკური შეურაცხყოფა. **"შემიყვანეს კაკო ბუხრაძესთან. თუ ციხეში წასვლა არ გინდა, სიმართლე უნდა თქვაო, - განმიცხადა ბუხრაძემ, - მე დასამალი არაფერი მქონდა და დეტალურად მოვყევი ისტორია, როგორ ვიყავი მანქანების ბაზრობაზე, როგორ შევთანხმდი შავი "გოლფის" პატრონთან ათას სამას ამერიკულ დოლარზე და შემდეგ როგორ გადავიფიქრე იმ "გოლფის" ყიდვა, რომელიც ჩემს ნაცნობ ძმებს – მიმინოშვილებს დავუთმე. მათ კი სანცვლოდ 80 დოლარი მომცეს. მანქანის პატრონებმა ნოტარიუსს წარუდგინეს სათანადო საბუთები, რის შემდეგაც მანქანა ნიკურაძიდან მიმინოშვილებზე გაფორმდა ყველა წესის დაცვით. ამ ისტორიის მოყოლის შემდეგ, ბუხრაძის კაბინეტში ჯიბიდან ამომაღებინეს უბის წიგნაკი, 900 დოლარი და 104 ლარი. ეს თანხა მოვალესთან მიმქონდა. დაწერეს ახსნა-განმარტება და ხელი მომაწერინეს, გამომიშვეს და გამაფრთხილეს, რომ პირველივე შეტყობინებაზე უნდა გამოვცხადებულიყავი ქალაქის მთავარ სამმართველოში",** - ასე იხსენებს ერთი თვის წინანდელ ისტორიას გურამ მაისურაძე, რომელიც ირწმუნება, რომ არც მაშინ და არც ახლა არ იცის მანქანა, რომლის ყიდვაც მას სურდა, მოპარული იყო თუ არა. **"რომც ყოფილიყო მოპარული, დღემდე ვერ გამიგია, მე რა დანაშაული მიმიძღვოდა ამ ფაქტთან დაკავშირებით. არ ვიცი მიზეზი, რატომ მემუქრებოდა პოლიციის თანამშრომელი კაკო ბუხრაძე დაჭერით და ციხეში ჩასმით, ან რატომ წამართვეს ჩემი კუთვნილი თანხა და რატომ მომაყენეს ფიზიკური და მორალური შურაცხყოფა. ფული ისე გამომართვეს, რომ არც კი გამარკვიეს, რაში მედებოდა ბრალი. აკაკი ბუხრაძემ გამოიყენა ბინძური ხერხები როგორც ფიზიკური, ასევე მორალური დაშინების მიზნით",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გურამ მაისურაძემ.

იმის გამო, რომ ვერ გაარკვიეს, რატომ წაართვეს სამართალდამცველებმა ფული, მაისურაძემ ადვოკატს მიმართა. სწორედ ადვოკატის დახმარებითა და სხვადასხვა ინსტანციაში დაწერილი საჩივრების შედეგად გურამ მაისურაძემ პოლიციისგან წართმეული თანხის უკან დაბრუნება ცოტა ხნის წინ როგორღაც შეძლო.

**"მართალი ვიყავი და გავიმარჯვე, ამას ვერ შეეგუვნენ. მომდიოდა ხმები, რომ მემუქრებოდნენ; ვშიშობდი და ვფრთხილობდი, უცხო ადამიანებს ვერიდებოდი. გუშინ კი შემთხვევით რესტორანში აღმოვჩნდი. კაკო ბუხრაძემ დამიძახა - მოდი, ერთი ჭიქა დამილიეო, მერე კი პრეტენზია გამოთქვა: რა საჩივრების წერაში ხარ გართული, ხომ იცი, მგლის უკან მგლები დგანანო. ამის შემდეგ მოხდა ყველაფერი",** – ამბობს გურამ მაისურაძე.

როგორც დაზარალებულები იხსენებენ, რესტორნიდან გამოსულები პოლიციელების ალყაში აღმოჩნდნენ. სამართალდამცველებმა დამატებით ძალებს მოუხმეს და პოლიციელებით სავსე ორი მანქანაც სასწრაფოდ გაჩნდა დაბარებულ ადგილას.

ერთი სიტყვით, თბილისის №2 კლინიკურ საავადმყოფოში მყოფი სასტიკად ნაცემი ძმები მაისურაძეები და მათი მეგობარი ნიკოლოზ დარახველიძე, რომელსაც გუშინ ექიმებმა მუცლის არეში მიღებული მძიმე დაზიანების გამო გადაუდებელი ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, პოლიციას დევნასა და ძალადობაში ამხელენ და გენერალურ პროკურატურაში მათ წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებენ.

გუშინ სამართალდამცველები მთელი დღის განმავლობაში თავს არიდებდნენ მომხდართან დაკავშირებით ახსნა-განმარტებებს. **" თუკი გამოიკვეთება ჩვენი თანამშრომლების ბრალეულობა, შესაბამისი ზომებიც მიღებული იქნება. ის, რომ მოხდა შელაპარაკება და ჩხუბი – ერთი საკითხია, მაგრამ ის, რომ პოლიციას მძარცველად შერაცხავენ – ეს უკვე სხვა საქმეა. ამ ყველაფრის დასადგენად არსებობს პროკურატურა და გენერალური ინსპექცია, რომელმაც უკვე დაიწყო მოკვლევა,** - ასეთი მოკლე შინაარსის განმარტებებით შემოიფარგლნენ კანონდამცველები, რომლებიც მომხდარს უბრალო წაკინკლავებად მიიჩნევენ.



გურამ მაისურაძე



მამუკა მაისურაძე



ნიკოლოზ დარახველიძე




# მესამედ არჩეული პირველი რექტორი

თეა ხოფერია

*გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. როინ მეტრეველი პირველი რექტორია, რომელიც უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ, ახალი წესდების თანახმად და ფარული კენჭისყრით უკვე მესამედ აირჩია რექტორად. "ყველაფერი კანონის თანახმად მიმდინარეობს," - აცხადებდა როინ მეტრეველი ჯერ კიდევ არჩევნების მსვლელობის პროცესში და თან, წინასწარ იღებდა მილოცვებს. 188 ხმით არჩეულმა რექტორმა, უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრებს, მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა, ამ უკანასკნელთაგან კი აპლოდისმენტები მიიღო.*

მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, დაახლოებით დილის ათ საათზე უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ რექტორის არჩევნებისათვის მზადება დაიწყო, შენობის შესასვლელში დიდი აურზაური შეიქნა.

**"არ შეგიშვებთ! უფროსობამ გვიბრძანა და მორჩა!"**-ასეთი პასუხით უნივერსიტეტის დაცვა ჟურნალისტთა ნაწილს და სტუდენტებს შენობაში შესვლას სტუდბილეთის გარეშე უკრძალავდა. იმაზე, თუ რატომ უნდა ჰქონოდათ ჟურნალისტებს სტუდბილეთები, დაცვა დასაბუთებულ პასუხს არ იძლეოდა და გაურკვეველი პრინციპის მიხედვით ჟურნალისტთა ნაწილს უშვებდა, ნაწილს კი არა. აღსანიშნავია, რომ შენობის გარეთ დარჩენილთა შორის ტელეკომპანია "რუსთავი-2" სა და გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტებიც აღმოჩდნენ.

**"როინ მეტრეველის მომხრე სტუდენტები შენობაში არ გვიშვებდნენ. ჩვენი იქ მისვლიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ სიტუაცია უმართავი გახდა. როდესაც ჩვენ ვიგრძენით, რომ დაპირისპირებულ სტუდენტებს შორის ინციდენტის ალბათობა დიდი იყო, უნივერსიტეტის შესასვლელს გავეცალეთ. ამით ჩვენ მომზადებული პროვოკაცია თავიდან ავიცილეთ,"** - განაცხადა უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი კანდელაკმა.

აღნიშნული პროვოკაციის ან რაიმე დაპირისპირების ფაქტს სტუდენტებს შორის, კატეგორიულად უარყოფენ როინ მეტრეველის კანდიდატურის მომხრე სტუდენტები.



*კმაყოფილი რექტორი*

**"ღმერთმა დაგვიფაროს, რომ რექტორის არჩევნების გამო, ჩვენს მეგობრებს დავუპირისპირდეთ. მე, პირიქით, ყველანაირ პროვოკაციას ვგმობ. ისინი შენობაში ერთი უბრალო მიზეზის გამო არ შეუშვეს - მათ სტუდბილეთები არ ჰქონდათ**,"- განმარტავს უნივერსიტეტის სტუდენტი დაჩი ცაგურია.

გარეთ დარჩენილ ჟურნალისტთა და სტუდენტ აქტივისტთა ნაწილი, დაახლოებით ორი საათის შემდეგ, როინ მეტრეველის კანდიდატურის მომხრე სტუდენტ დაჩი ცაგურიას რეკომენდაციით შეუშვეს.

**"თქვენი გაზეთისა და ტელევიზიის ჟურნალისტები, გუშინდელ " 60 წუთში" რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით გასული განცხადებების გამო არ შეუშვეს,"** –ასე განუმარტა დაჩი ცაგურიამ ჟურნალისტებს შენობაში არშეშვების მიზეზი.

ხოლო უნივერსიტეტის რექტორმა, კითხვა, თუ რატომ არ შეუშვეს აღნიშნული ჟურნალისტები შენობაში, უკომენტაროდ დატოვა.

**"შენობაში მხოლოდ უნივერსიტეტის პრესსამსახურის ჟურნალისტები შემოვუშვით და საერთოდ, უნივერსიტეტი კონსერვატული შენობაა და მას არ უყვარს მიტინგები**,"-განაცხადა უნივერსიტეტის პრორექტორმა პარმენ მარგველაშვილმა.

სხვათა შორის, დღეს სტუდენტთა ნაწილი გუშინდელ მოვლენებთან დაკავშირებით პრესკონფერენციის გამართვას აპირებს. ამას გარდა, თუ ადრე სტუდენტებმა აღნიშნულ არჩევნების უკანონოდ ჩატარებასთან დაკავშირებით ორი სარჩელი შეიტანეს (ნორმატიული აქტი –წესდება, როგორც უკანონო დოკუმენტი და ადმინისტრაციული აქტი,ანუ თვითონ არჩევნები), ახლა მათ ნუსხას მესამეც მიემატება.ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო ადმინისტრაციულ დაწესებულებებში სხდომები საჯაროა. მოსარჩელე სტუდენტთა განცხადებით, ამ კანონის თანახმად, ყველა მსურველს ჰქონდა უფლება შესულიყო გუშინ უნივერსიტეტში. სწორედ ამ კანონის დარღვევის გამო შეაქვთ მათ რექტორატის წინააღმდეგ კიდევ ერთი სარჩელი.

## მოკლედ

ატიპიური პნევმონიის ვირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების მიზნით კონტროლი საქართველოს სახმელეთო საზღვარზეც გამკაცრდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის პაატა იმნაძის განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადახლოს. ჩინეთიდან დაბრუნებული ხალხი ირანამდე მიფრინავენ, იქიდან კი საქართველოში ავტობუსებით შემოდიან. **"24 საათი"**

■ ■ ■

სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინპექციის თანამშრომლებმა ყალბი სერტიფიკატი აღმოაჩინეს. ერთერთ მეან-გინეკოლოგს სერტიფიკატის ბლანკში თავისი გვარი თვითნებურად ჩაუწერია და მინისტრის ხელმოწერაც გაუყალბებია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განკარგულებით საქმე პროკურატურას გადაეცემა. **"24 საათი"**

■ ■ ■

სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინპექციის მიერ ხელმეორე შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 275 არალიცენზირებული აფთიაქიდან 33-მა ლიცენზია აიღო. 110 აფთიაქი გაუქმდა. დანარჩენები უკანონო ფუნქციონირებას განაგრძობენ. **"24 საათი"**

■ ■ ■

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით ქვეყნის ამბულატორიული ქსელის აღდგენაში დიდ წვლილს შეიტანენ უცხოური ორგანიზაციები. ბერძნები წალკაში 14 ამბულატორიას განაახლებენ. ჰოლანდიელები კი ანალოგიურ დახმარებას გარდაბანს გაუწევენ. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სასმელი წყლის დავალიანების გამო, გუშინ "თბილწყალკანალმა" წყლის გარეშე დატოვა მუსკომედიის თეატრი, ხელოვნების მუშაკთა ცენტრი, ხორავას სახელობის მსახიობის სახლი, მორფოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტები, ტერმინალ-პორტი, თბილჰიდროპროექტი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კოლეჯი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მძიმე მდგომარეობის გამო, ტანძიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა შეწყდა. ტაძარში ჩამონგრეულია გუმბათი, კედლებს ნაპრალები გაუჩნდა, ფრესკები კი თითქმის გაქრა. უკვე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ვითარებას უახლოეს მომავალში დეტალურად შეისწავლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხანგრძლივი და უხვნალექიანი ზამთრის გამო ხიდას ულელტეხილზე გამავალი საავტომობილო გზა, რომელიც კოდორის ხეობას სვანეთთან აკავშირებს, ფაქტობრივად გაუვალი გახდა. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, რეგიონი იზოლაციაში აღმოჩნდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა მარტოხელა პენსიონერების საოჯახო დახმარებების ორთვიანი დავალიანების გასტუმრებას და საკრებულოსგან დამატებით 900 ათას ლარს ითხოვს. თბილისში ამ თანხის დახმარებას 15 962 ოჯახი იღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ახლად გახსნილ დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარს პირველი ბინადარი ჰყავს. დედა-შვილის ვინაობა და სოციალური მდგომარეობა კონფიდენციალურია. დღეისათვის თავშესაფარს კიდევ ექვსი დედა-შვილის მიღება შეუძლია. **მედია-ნიუსი**

# „...მუხლის მოდრეკა მომინდა!"

*გუშინ თბილისის საკრებულოს რელიგიურ საკითხთა კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ერთი ჭირი მართლაც მარგებელი ყოფილა. საქმე ეხებოდა სამასი არაგველების ბაღში აწ გაჩერებულ მშენებლობას, რომელსაც მთლიანად უნდა დაეფარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. შეგახსენებთ, რომ თბილისის ამ ისტორიულ უბანში ძველი შენობა შეისყიდა და სასტუმროსა და გასართობი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო შპს "ცენტრმა", რომელსაც ისრაელის მოქალაქე ილია მოსიაშვილი ხელმძღვანელობს. ცოტა ხნის შემდეგ მიწის სამუშაოების შედეგად ამოღებულ უშველებელ ქვაბულში ადამიანის ძვლები და სხვა ძველი ნივთები აღმოჩნდა. ამის გამო, საკრებულომ მშენებლობა დროებით შეაჩერა და არქეოლოგებს შესაბამისი დასკვნა მოსთხოვა. მაგრამ, როგორც გაირკვა, დასკვნის გაკეთება საჭირო აღარ ყოფილა.*



*სადაო მშენებლობა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსმა ვახტანგ ჯაფარიძემ ამის თაობაზე განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ 1948 წელს ჩატარდა, რის შესახებაც არსებობს დასკვნა. ამიტომ აქ ახალი გათხრების გარეშეც ყველაფერი ნათელიაო, განაცხადა არქეოლოგმა. ამრიგად, სადაოდ გამხდარი მშენებლობა, თურმე, საერთოდ არ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით არქეოლოგთა ნებართვა ყოველგვარ მშენებლობას სჭირდება.

საკრებულო სავსე იყო ერთი პირითა და ერთი გულით გაერთიანებული ხალხით - მეცნიერებით, პოლიტიკოსებით, მღვდლებით, მრევლით.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე: **"ამ კონკრეტულმა შემთხვევამ სხვა ტერიტორიებიც მოგვაგონა. მოხდა იმის გასხვისება, სადაც ყოველი ქართველი მუხლს უნდა იყრიდეს თავისი სახელოვანი წარსულის წინაშე!"**

არქეოლოგი იულონ გაგოშიძე: **"ამ ადგილზე 5 ათასმა ქართველმა შეგნებულად გაწირა თავი, რათა საქართველოს სირცხვილი არ ეჭამა. ჩვენ თუ ამ გმირთა ძვლებს არ მოვუარეთ, მიუტევებელ შეცდომას დავუშვებთ. ეს იქნება სამარცხვინო ლაქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში!"**

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე: **"არქიტექტორებმა მითხრეს, რომ ეს ადგილი 50 მეტრითაა დაშორებული დაცული ზონიდან. კი, ბატონო გასაგებია, მაგრამ რატომ არ შეიძლება, კიდევ ერთხელ გადავხედოთ 40-50 წლის წინათ შედგენილ ზონებს!"**

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი: **" დოკუმენტურად საბუთდება, რომ სწორედ აქ იყო კრწანისის ბრძოლა. ეს ადგილი ნაკრძალად და ღირშესანიშნაობად უნდა გამოცხადდეს!"**

აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ აღნიშნა კიდეც, რომ აღნიშნული მშენებლობის შეჩერებაში ერთსულოვანია ყველა ის უწყება, სადაც ეს საკითხი განიხილეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ითხოვს, რომ ეს ტერიტორია დაუყოვნებლივ შევიდეს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადებით, უნდა გაფართოვდეს დაცული ზონები, რათა არსებობდეს ასეთი ისტორიული ადგილების ხელუხლებლობის გარანტია.

სასაზღვრო ძალების სარდლობა კი მიიჩნევს, რომ ამ წმინდა ადგილზე ჯარისკაცები უნდა მიჰყავდეთ მუხლის მოსაყრელად და ფიცის დასადებად.

ცხელ კვალზე შეიქმნა 300 არაგველების საზოგადოება, რომელიც ეროვნული მემკვიდრეობის კიდევ ერთი დამცველი იქნება.

ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ დედაქალაქის ამ ისტორიულ ნაწილს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, განაშენიანდეს, გალამაზდეს. ძველ შენობაში კი შეიძლება მხედრული დიდების მუზეუმი განთავსდეს.

ასე გადაწყდა შეჩერებული მშენებლობის ბედი, თუმცა კომისიას არც შპს "ცენტრი" დავიწყნია. მას მშენებლობის ნებართვისთვის დახარჯული ოფიციალური თანხის ოდენობის კომპენსაციას შესთავაზებენ.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# განათლების სისტემას პოლიტიკა უნდა ჩამოშორდეს

*"...მოახერხა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო მასშტაბების კლასიკური საუნივერსიტეტო განათლების სამაგალითო კერად, დაემკვიდრებინა ადგილი თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის უმაღლესი განათლების იმ სასწავლებელთა შორის, კაცობრიობის განვითარების გლობალური ამოცანის გადაწყვეტა რომ მოუწევთ 21-ე საუკუნეში" - ციტატა უნივერსიტეტის საიტიდან. მაგრამ, ციტატა შორს არის სინამდვილისაგან. თეორიულად ეს, მართლაც, უნდა მოხდეს. უმაღლესი სასწავლებლის ბრენდი კურსდამთავრებულთა განათლების ხარისხი და ცოდნის ბაზარზე კონკურენტუნარიანობა უნდა იყოს. ეს კი, როგორც* ***"განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის" დირექტორმა, ბატონმა გია შარვაშიძემ*** *გვითხრა, უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში და გადაწყვეტილებებში სტუდენტთა აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელია. სინამდვილე კი ის არის, რომ ოდესღაც ერთადერთ და საკმაოდ პრესტიჟულ სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები რექტორის არჩევნებზე შენობაშიც კი არ შეუშვეს. დღეს სტუდენტები აქტიურად იბრძვიან ქვეყნის დემოკრატიული ძალების გაერთიანებისთვის. სინამდვილეში, კი - საზოგადოება უნდა იბრძოდეს პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაციისთვის, რათა სტუდენტობას ამისთვის არ ეცალოს და საშინლად დაკავებული იყოს მეცნიერული კვლევებითა და ბიბლიოთეკებით...*



*გია შარვაშიძე*





მაია ჭალაგანიძე

**- საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ არავის უზრუნია განათლების პოლიტიკასა და სტრატეგიაზე - რა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში პრიორიტეტული. ამ შეფერხების გამო კი, სტუდენტებსა და უმაღლეს სასწავლებელთა შორის სერიოზული კონფლიქტი წარმოიშვა. რა პოლიტიკა უნდა წარმართავდეს დღეს საქართველოს განათლების სისტემას?**

- დღეს ჩვენ ქვეყანას ძალზე საინტერესო სახელი ჰქვია - ქვეყანა, რომელიც ცვლილებას განიცდის. არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ცვლილებები და რით დამთავრდება განათლების გარდაქმნისა და რეფორმების პროცესი.

დღეს სახეზეა საბჭოეთიდან მძლავრად შემორჩენილი მენტალიტეტი, მმართველობითი და სტრუქტურული ერთეულები, რომელიც ძველებურად იმართება.

ჩვენი ინსტიტუტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს - საკანონმდებლო ცვლილებები და რეგისტრაციული ბაზის მოწესრიგება. ჩვენ შევქმენით კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც განსახილველად პარლამენტს წარედგინა. აქტიურად ვთანამშრომლობდით ევროპის საბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ჩვენთვის საამაყოა ის, რომ შევქმენით ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც იმის სიტუაციური ანალიზი გააკეთა, თუ რა ხდება უმაღლეს განათლებაში...

**- საინტერესოა, რა სურათი დახვდათ ექსპერტებს?**

- ძალზე ცუდი სურათია. სსრ კავშირის დროს კურსდამთავებულთა რაოდენობასა და საჭირო მიმართულებებს სახელმწიფო გეგმავდა. მაშინდელმა "გოსპლანმა" ზუსტად იცოდა, სად რამდენი სპეციალისტი ესაჭიროებოდა. დღევანდელ მოქმედ კანონმდებლობაში ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი და საბაზრო ეკონომიკის სიბრტყეში უცვლელად გადმოტანილია.

**- შეიძლება, დღეს ვერ განვსაზღვროთ, რამდენი სპეციალისტი გვჭირდება და რაში, მაგრამ ის ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ამდენი არ გვჭირდება?**

- დიახ, ეს ასეა. საქართველო მსოფლიო ჩემპიონია ერთ სულ მოსახლეზე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობით. თითქმის ყველა სოფელშია გადატანილი ე.წ. "უმაღლესი სასწავლებლები", რაც ძალზე მავნე ტენდენციაა. ოფიციალურად 214 კერძო და 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია რეგისტრირებული. მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლებში, ერთ სულ მოსახლეზე სტუდენტთა რაოდენობა რომ გადავითვალოთ, გამოდის, რომ საქართველოს დიდ ბრიტანეთთან შედარებით უმაღლეს სასწავლებელთა დაფინანსების ათჯერ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს.

214 კერძო სასწავლებლიდან უმრავლესობა "ორღობის უნივერსიტეტია" და უხარისხო განათლებას იძლევა. თითზე ჩამოსათვლელია ისეთი, ვინც ხარისხიან განათლებას იძლევა.

ეს ტენდენცია იმიტომ არის ცუდი, რომ დიპლომს ანალოგიურს იღებენ და კურსდამთავრებული მყარად, მაგრამ მცდარად არის დარწმუნებული იმაში, რომ ეს დიპლომი მისი მაღალი რანგის სპეციალისტობის უტყუარი საბუთია... წლიდან წლამდე არ მომხდარა სასწავლებელთა ტესტირება...

**- ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც ლიცენზია განსაზღვრავს სასწავლებლის ხარისხს?**

- ხარისხის განსაზღვრა აკრედიტაციის საშუალებით უნდა მოხდეს - ეს ხარისხის კონტროლის ერთადერთი საშუალებაა. ამით სახელმწიფო აღიარებს ან არ აღიარებს გაცემულ დიპლომს.

1998 წელს შექმნილი სააკრედიტაციო საბჭო შექმნის დღიდან არ შეკრებილა. თუმცა, იმთავითვე არასწორად იყო შექმნილი, რადგან მასში წამყვანი უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები შედიან.

ამ პრობლემების მოუგვარებლობა კონფლიქტს ახანგრძლივებს. იმ ხალხის რაოდენობა, ვისაც საკუთარ განათლებაზე ცრუ წარმოდგენა აქვს - მატულობს. მომავალში, შესაძლოა, ეს სოციალური კონფლიქტის საბაბი გახდეს. ადამიანს გაუჩნდება პრეტენზია, რომ მისი დიპლომის შესაბამისად მისცენ სამუშაო, რითიც ის გარკვეულ სოციალურ ნიშას დაიკავებდა. სსრკ-ს დროს დიპლომი იმის გარანტია იყო, რომ მთელი ცხოვრება მინიმალურად მაინც გარანტირებული ჰქონოდა ადამიანს - სამუშაო, ხელფასი და შემდგომ, პენსია. ეს მოტორი დღესაც მუშაობს.

ჩვენ შევისწავლეთ ხუთი წარჩინებული კერძო სასწავლებელი. აღმოჩნდა, რომ ამ სასწავლებლების დასაქმების საშუალო კოეფიციენტია 85. ე.ი. ყოველი ასი კურსდამთავრებულიდან პირველივე წელს თავისი სპეციალობით 85 ადამიანი საქმდება. მაშინ, როდესაც ძალზე პრესტიჟულ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმების კოეფიციენტი 3 ან 4 იყო.

უტრირებას მოვახდენ, მაგრამ, დაახლოებით ასეთი ვითარებაა - ჩვენ ვუშვებთ, რომ მისაღები გამოცდები და საერთოდ, შეფასების სისტემა სუბიექტურია. იმ ბავშვს, რომელიც ფინანსურად, ნაცნობობითა და შთამომავლობით უზრუნველყოფილია - მეტი შანსი აქვს, უფასო სექტორზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილი დაიკავოს.

თუკი, ვთქვათ, შატილში დაიბადა, აბიტურიენტს ნაკლები შანსი აქვს, მოხვდეს ამ პრესტიჟულ ფაკულტეტზე - სტიპენდიის, საერთო საცხოვრებლისა და სხვათა უქონლობის გამო - თბილისში ვერ იცხოვრებს. ასეთი აბიტურიენტის ჩაბარების შანსი მიზერულია. სასწაული თუ მოხდა და ამ შატილელმა ბავშვმა სპონსორი იპოვა, ფასიანზე შეიძლება მოხვდეს.

სახელმწიფოს ერთი სტუდენტი, წელიწადში საშუალოდ 350 ლარი უჯდება. რაც, ცხადია, არასაკმარისია. უმაღლესი სასწავლებლები დამატებით თანხებს სწორედ ამ ფასიანიდან იზიდავენ. სოციალური თვალსაზრისით, ეს უსამართლობაა, რადგან შატილელი სტუდენტი, რომელიც უკვე დაჩაგრულია იმით, რომ უფასო სექტორზე ვერ მოხვდა, თავის სწავლებაში გადასახდელი თანხით იმ, ისედაც პრივილეგირებულად მყოფ უფასო სექტორის სტუდენტის სწავლას აფინანსებს. ასეთი "ელიტიზმი" ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის არის მიუღებელი.

**- თქვენი ორგანიზაციის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში ამ უსამართლობისგან დამცავი რაიმე მექანიზმი თუ დევს?**

- გამოსავალი ისაა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა უნდა იყოს გაცილებით მეტი, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა - გაცილებით ნაკლები და ეს თანხა აბიტუტრიენტს უნდა მიჰყვებოდეს (როდესაც საუბრობენ, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა, შედარება ხდება 1990-1991 წლებთან, როდესაც ყველა მსურველი ჩაირიცხა)...

თუ ქვეყანაში ობიექტური, ერთიანი ტესტური გამოცდები დაწესდება, მინიმიზებული იქნება ჩაწყობა, სუბიექტურობა და ა.შ. უნდა ჩატარდეს უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაცია. აკრედიტებულ სასწავლებელთა მიერ გაცემული დიპლომი სახელმწიფომ უნდა ცნოს და სახელმწიფო დაკვეთა მხოლოდ ასეთ სასწავლებლებში უნდა განხორციელდეს. სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესი უნდა იყოს იმ სასწავლებლის დაფინანსება, სადაც ხარისხიანი სწავლება მიმდინარეობს.

**- თქვენ ისაუბრეთ აბიტურიენტთა და სტუდენტთა სწავლებაზე. რა არის შესაცვლელი ლექტორთა ცოდნის მხრივ?**

- უნივერსიტეტის იდეა ლექტორთა და სტუდენტთა ერთობაა. დღეს სწავლების შინაარსი და მეთოდები მოძველებულია და ამას ლექტორებიც აღიარებენ. გამოცდისას ლექტორი ჩასაფრებულია სტუდენტი გამოიჭიროს იმაში - რა არ იცის. განათლების საერთო ევროპული სივრცის შესაქმნელად ხარისხიანი განათლება და აკადემიური კვალიფიკაციების ურთიერთცნობაა საჭირო. ანუ, მე თუ პორტუგალიის უნივერსიტეტში ვსწავლობ და შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება დამჭირდა, კვალიფიკაცია უნდა მქონდეს. ამას "ევროპული კრედიტების ტრანსფერული სისტემა" ჰქვია - კრედიტების საშუალებით ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში გადასვლაა შესაძლებელი. ამ სისტემის საშუალებით შესაძლებელია დავითვალოთ არამხოლოდ ლექტორის, არამედ - სტუდენტის მიერ გაწეული შრომა და უნარ-ჩვევები. ამ სისტემის ერთ-ერთი პიონერის, კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის თქმის არ იყოს - ეს არის მეტრული სისტემა. ანუ, როდესაც იაპონიაში და საქართველოში 1მ 20სმ. ნაჭერი გჭირდება, ერთი და იგივე ზომას გაძლევენ.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში ერთხელ სჭირდება განათლების სისტემას ახალი სისხლის გადასხმა იმისთვის, რომ იყოს ხარისხიანი?**

- განათლების სისტემა მუდმივად ვითარდება. როგორც კი ქვეყანაში იდეოლოგია იცვლება, მაშინვე უნდა იცვლებოდეს განათლების სისტემაც. გლობალიზაციის გარდა მსოფლიოში ცოდნის საზოგადოებაც ვითარდება.

ჩვენ ველით, რომ ქვეყნის განვითარება მილსადენზე და გაზსადენზე იქნება დამოკიდებული. მოდით, ვნახოთ, იმ ქვეყნების ჰუმანური განვითარების ინდექსი, სადაც ეს გაზი და ნავთობია. აღმოჩნდება, რომ თურქმენებს, აზერბაიჯანლებს უფრო დაბალი აქვთ ეს ინდექსი, ვიდრე საქართველოს. ირლანდიას, იაპონიას, რომელსაც ბევრი რესურსი არ გააჩნია, გაცილებით მაღალი ჰუმანური განვითარების ქვეყნები არიან. როდესაც გარღვევის ეკონომიკაზე და სწრაფ მოქმედებაზე ვსაუბრობთ, ქვეყანა ორიენტირებული უნდა იყოს უმაღლეს განათლებაზე და პროფესიულ მომზადებაზე. ეს "გარღვევა" ნაბიჯ-ნაბიჯ კი არა, ერთიანად უნდა მოხდეს. ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულში უამრავი სტუდენტი დავამახინჯეთ და უამრავი უხარისხო სპეციალისტი გამოვუშვით.

**- ბრძანეთ, რომ საქართველოში წარმატებული კერძო უმაღლესი სასწავლებლები არსებობენ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ გადაიღებენ წარუმატებელი სასწავლებლები აქ არსებულ მაგალითებს?**

- მაგალითის გაზიარება იმიტომ არ ხდება, რომ ძალზე კომფორტული გარემოა შექმნილი კორუფციისთვის, სუსტი სტუდენტებისთვის, ზოგიერთი ლექტორისთვის და ა.შ. უნივერსიტეტს საპენსიო ფონდის ფუნქციები არ უნდა ჰქონდეს. უნივერსიტეტი მეცნიერულ კვლევასა და სწავლებაზე უნდა იდგეს. ჩვენთან პროფესორის საშუალო ასაკი 64 წელია მაშინ, როდესაც დასავლეთში 45 წელი. მეცნიერებაში კი, კვლევის პირობების არქონისა და დაუფინანსებლობის გამო აღარავინ მიდის. 10 წლის შემდეგ ეს ტენდენცია დიდ ვაკუუმს შექმნის.

**- ერთ ხანს, განათლების მინისტრის მოადგილეც იყავით. რა სიმწვავით იდგა ეს პრობლემები 1988-2000 წლებში, როდესაც სამინისტროში მუშაობდით და რამდენად ახერხებდით ამ საკითხების მოგვარებას?**

- ეს ამოცანები ყოველთვის იდგა და ეს მხოლოდ განათლების სამინისტროს გადასაწყვეტი არ არის. უპირველესად, პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს. ამოცანების გაცნობიერება და რესურსების მოძიება უნდა ხდებოდეს. იმ ქვეყნებმა, ვინც განათლების რეფორმების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, შედეგად წარმატებული ეკონომიკა მიიღო.

**- თუკი პოლიტიკურ ნებას დაველოდებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში განათლების სისტემაში არსებული პრობლემები არ მოგვარდება. დრო კი გადის.**

- მე მჯერა, რომ ეს ნება გამოჩნდება. ჩვენ მოვამზადეთ და პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უნდა შეიცვალოს უმაღლეს სასწავლებელთა დაფინანსების სისტემა, მისაღები გამოცდების ფორმა და სხვა. ამაზე პარლამენტში დიდი დავიდარაბა ატყდა.

**- ძირითადად ვინ ეწინააღმდეგებოდა?**

- განათლების სამინისტრო და შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი...

**- ე.ი. სახელმწიფო ნება...**

- დიახ, მაგრამ როდესაც მასშტაბური რეფორმაა განსახორციელებელი, წარმატებულ ქვეყნებში დაპირისპირებული პოლიტიკური ძალებიც კი მიდიან კონსენსუსამდე. განათლების სისტემა აპოლიტიკური და საერო საქმე უნდა იყოს. განათლების სექტორის პოლიტიზებას კი აკეთებს ის, ვისაც ამ პროცესის ხელის შეშლა ევალება.

სკოლების დეცენტრალიზაციის იდეის საწინააღმდეგოდ წასვლით, სახელისუფლო ძალები სკოლების პოლიტიზებას უწყობენ ხელს. ჩვენნაირი ქვეყნისთვის სკოლების დეცენტრალიზება ერთადერთი გამოსავალია. მაგრამ, პოლიტიკური ძალები პატარა ქულების ჩაწერის გამო ძალზე საშიში თემით თამაშობენ.

კონფლიქტის მთავარი ადგილი ყოველთვის უმაღლესი სასწავლებელი - სტუდენტობა იყო. ეს უნდა გავითვალისწინოთ... სკოლებს საარჩევნო ყუთები უნდა მოშორდეს. სკოლის დირექტორი სახელმწიფოს ხელში ადმინისტრაციულ რესურსს არ უნდა წარმოადგენდეს. დეცენტრალიზაციის დროს მთავარი ხმაური იმაზე კი არ ატყდა, რომ ბავშვმა უკეთესი ცოდნა მიიღოს, არამედ იმაზე - თუ ვინ დანიშნავს, შეაშინებს და თითს დაუქნევს დირექტორს. მოდით, გავიტანოთ სკოლიდან პოლიტიკა. ამ პროცესებში საზოგადოება უნდა ჩაერთოს და მან თქვას, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება.

**- მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ - ძალზე ბევრ დავალებას ხომ არ ვაძლევთ ისედაც გადაღლილ საზოგადოებას?**

- საზოგადოება არის მშობელი, მასწავლებელი და ა.შ. დიახ, საზოგადოება დაღლილია, მაგრამ ყველაზე ცუდი რამ, რაც შეიძლება მოხდეს - საზოგადოების პასიურობაა. ამაზე ცუდი არაფერია. სხვათა შორის, ეს პასიურობა ხელოვნურად იგეგმება კიდეც.

წინა საპარლამენტო არჩევნები არ მოიგო "ქვეყანაშია ფერები მუქმა". არჩევნები "გიხაროდენ"-მა მოიგო. ანუ საზოგადოების მოლოდინი ყოველთვის ოპტიმიზმისკენ იქნება...

**- როგორ და ვინ უნდა დაიხსნას განათლების სისტემა პოლიტიკისაგან?**

- არ ვიცი... ზოგ ქვეყანაში, გამაერთიანებლად ეკლესია გამოდის ხოლმე... ვიღაცამ უნდა თქვას, რომ ასე აღარ შეიძლება.

ძალზე კარგია ოპოზიციის გაერთიანება - ძალთა გადააგილება ჯანსაღი პროცესია. ყველას თავისი სახელი უნდა დაერქვას. ძალზე კარგი პირი უჩანს იმას, რომ ყველაფერი ლაგდება, მაგრამ განათლების სისტემას პოლიტიკური ძალები და განსაკუთრებით - სახელისუფლო ძალები - პოლიტიკური ბრძოლების პოლიგონად განიხილავენ.

**- ამ პოლიგონად მერამდენედ იქცა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც რექტორის არჩევნებზე მისთვის არასასურველი სტუდენტები არ დაუშვეს...**

- ძალიან საშიში ტენდენციაა - სტუდენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან. სტუდენტი, როგორც ინდივიდი და დამოუკიდებელი პიროვნება, არ შეიძლება პოლიტიკის გარეთ იდგეს. მეორე საკითხია - პრობლემის ხელოვნური მანიპულირება... ბოლოს და ბოლოს არჩევნების პირდაპირ ტრანსლაციას მოვაწყობდი. რატომ უნდა იყოს იზოლირებული რაიმე თემა...

**- თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკას სთავაზობს. გაგაჩნიათ თუ არა რაიმე აღმასრულებელი ბერკეტები?**

- გარკვეულწილად გვაქვს - საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობოების, პროცესში მონაწილე მხარეების მობილიზება და თემის სწორად მიწოდება. ჩვენ ვამბობთ, რომ განათლების სისტემის მართვა მაქსიმალურად გამჭვირვალე და გასაგები უნდა გახდეს. საზოგადოების მონაწილეობა მართვაში ან გადაწყვეტილებების მიღებაში ლიტონი სიტყვები არ უნდა იყოს.

სასწავლებლის პოლიტიკა - უნივერსიტეტი იქნება ეს თუ სკოლა, გასაგები უნდა იყოს.

ჯერჯერობით სისტემის თვითგანვითარებისთვის ძალზე დიდი პოტენციალი გვაქვს. ოღონდ, ამას სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეწყობა უნდა.

**- როგორ გგონიათ, როდის მოიცლის სახელმწიფო თავისი ფუნქციების შესასრულებლად?**

- ძალზე ოპტიმისტები რომ ვიყოთ, საქართველოში სტაბილური, კონკურენტუნარიანი, საშუალო ევროპული განათლების სისტემის დამყარებას ათწლეული დასჭირდება...



# "ჩვენ ფუნჯის პროლეტარები ვართ"

### 133 წელი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დაბადებიდან

ნინო ჭანიშვილი

როცა დიდი ბელადის გამონათქვამებს კითხულობ, აუცილებლად გაიფიქრებ, რომ ეს სისულე და აბსურდია. მაგრამ რაც არ უნდა ვუწოდოთ ლენინის იდეებს, იგი რეალიზებულ იქნა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ ხელოვნებაშიც.

საბჭოთა აგიტაციას განსხვავებული ფორმა და ხერხები ჰქონდა. სიტყვიერ აგიტაციას თავად ბელადი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. თავად უბადლო აგიტატორი თვლიდა, რომ ყოველი აგიტატორ-კომუნისტი ვალდებული იყო ეწარმოებინა განმარტებითი სამუშაოები ხალხის მასებთან. ბეჭდური აგიტაციისთვის კავშირი ქაღალდს არასდროს იშურებდა – 1969 წლისთვის საბჭოთა გაზეთებისა და ჟურნალების ცალობითი ტირაჟი 260 მილიონ ეგზემპლიარზე მეტი იყო, რაც კავშირის მოსახლეობის რაოდენობას აჭარბებდა! აგიტაციის გავრცელებული ფორმა იყო პლაკატი, რომლის ენაც უნდა ყოფილიყო მკაფიო, ლაკონური და დამაჯერებელი. პლაკატის ტექსტი კი მოკლე, მიზანმიმართული და დასამახსოვრებელი. 1974 წელს ცენტრალური კომიტეტის მიერ მოსკოვში დაარსებული სპეციალიზირებული გამომცემლობა "პლაკატი" ყოველწლირად 500 ნაირსახეობის პოლიტიკურ პლაკატს უშვებდა, რომლის ყოველწლიური ტირაჟი 300 მილიონი იყო.

1920-იან და 30-იან წლებში, როცა გაზეთების რაოდენობა ჯერ კიდევ ვერ აღწევდა ფანტასტიურ ციფრებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა პლაკატს ენიჭებოდა. ამ პერიოდში პლაკატების გაფორმებით ისეთი მხატვრები იყვნენ დაკავებულები, როგორებიც არიან როდჩენკო, ლისიცკი, ძმები სტენბერგები, დეინეკა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოსკოვში მხატვარ-ფერმწერთა პროფესიული კავშირი შეიქმნა. ახალგაზრდა გაერთიანების თავმჯდომარე ალექსანდრ როდჩენკო ხდება. მრეცხავისა და თეატრალური ბუტაფორის შვილი იღწვის, რომ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნას მხატვრებს. როდჩენკო თავის მეუღლესთან, მხატვარ ვერა სტეპანოვასთან ერთად აცხადებდა: "ჩვენ ვადიდებთ რევოლუციას, როგორც ცხოვრების ერთადერთ მამოძრავებელ ძალას". მათი მოწოდებები კი ასეთი იყო:

"მხატვარ პროლეტარებს
ჩვენ - ფუნჯის პროლეტარები ვართ
ჩვენ – ცივი სხვენების და ნესტიანი სარდაფების მცხოვრებლები ვართ
ჩვენ, რომლებიც შემოქმედებითი ცეცხლით ვიწვით მშივრები და ტიტვლები დავდივართ
ჩვენ გვდევნიდნენ დამკვეთები, როცა გვაიძულებდნენ მათი სურვილები გვესრულებინა..."

და მაინც მიუხედავად ამ მოწოდებებისა, მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო სწორედ ეს პერიოდი იყო. რევოლუციის პირველ წლებში როდჩენკო და სტეპანოვა, კანდინსკი, მალევიჩი, ტატლინი, ელ ლისიცკი სუპრემატისტების მოსკოვის ჯგუფში შედიოდნენ, რომლებიც უარს აცხადებდნენ სახვითობის ძველ ფორმებზე.

"ახლი უნდა შეიქმნას გამოხატვის ახალი საშუალებებით, სადაც იქნება თამედროვე ტექნიკისა და მეცნიერების გათვალისწინებით" – წერდა როდჩენკო.

როდჩენკო, რომელიც ერთდროულად იყო დაკავებული ფერწერით, დიზაინით, ფოტოგრაფიით, სამოსისა და ქსოვილების მოდელირებით, თეატრით, წიგნების გაფორმებით, რეკლამას უკეთებს "მოსელპრომის" მიერ გამოშვებულ სხვასასხვა სახის პროდუქციას.

აი რას წერდა 1918 წელს გაზეთი "პრავდა" მის მიერ დამზადებულ კანფეტის ქაღალდზე: "ნახატებში მკაფიოდ ჩანს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციურ-ინდუსტრიული ტენდენცია. რადგან ხალხის მასების გემოვნება ყალიბდება არა მარტო პუშკინით, არამედ შპალერის ყოველი ნახატით..."

1925 წელს პარიზში დეკორატიული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე როდჩენკოს ნამუშევრებით ევროპელი მოდერნისტები საბჭოთა ხელოვნებას ეცნობიან. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ როდჩენკოს გაცნობა პიკასომ, დუსბურგმა, ლეჟემ მოინდომეს.

როდჩენკოს მეუღლე ვერა სტეპანოვა სამოსის ახალი ტიპის შექმნაზე მუშაობდა – სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის. ამასთან აქვეყნებდა თეორიულ სტატიებს მომავალი სოციალისტური კოსტიუმისა და მოდის შესახებ. იგი სიამაყით წერდა, რომ საბჭოთა კავშირში პირველად მსოფლიო ისტორიის მანძილზე უკუგდებულ იქნა სოციალური განსხვავება კოსტიუმში. 1929 წელს კი იღებს პრემიას ტრეტიაკოვის გალერეაში გამართულ გამოფენაზე "ყოფითი საბჭოთა ტექსტილი".

სწორედ ალექსანდრე როდჩენკოს მიერაა შესრულებული მაიკოვსკის, ლუნაჩარსკის, ტრეტიაკოვის, ერენბურგის, კირსანოვის გამოცემების გაფორმება. როდჩენკო მაიაკოვსკისთან ერთად მუშაობდა მიტინგის თეორიულ კონსტრუირებაზე, ისე რომ სპეციალური "სცენარისა", "დადგმის" და გაფორმების საშუალებით ღონისძიება მაქსიმალურად ეფექტური გამოსულიყო.

1924 წლიდან როდჩენკო ფოტოგრაფირებას იწყებს. იგი თვლიდა, რომ ფოტოგრაფია უნდა იქცეს ერთადერთ ნამდვილ ხელოვნებად, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად ასახავს ცხოვრებას. იგი მუდმივად თანამშრომლობდა ცნობილ ჟურნალთან СССР на стройке, როგორც ფოტოგრაფი და დიზაინერი. ამიერიდან ფოტოგრაფია საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ სახეობად ცხადდება. უსაგნო ხელოვნების სხვა მიმდევრებიც უერთდებიან ამ მოწოდებას და ელ ლისიცკი მეუღლესთან ერთად აფორმებს ნომერს СССР на стройке, რომელიც დნეპროჰესს ეძღვნება.

1930-იანი წლების შემდეგ ყველაფერი სტანდარტული გახდა. ბელადის სახეს ფერწერასა და ქანდაკებაში თავისი კანონიკურობითა და უცვლელობით ეგვიპტურ ხელოვნებას თუ შევადარებთ, რომელიც ასწლეულების განმავლობაში არ იცვლებოდა. არც ლენინის ანტურაჟი იცვლებოდა ათწლეულების განმავლობაში - ლენინი მიტინგზე, სამუშაო მაგიდასთან, ბავშვებთან... მაგრამ ეგვიპტელი ფარაონებისგან განსხვავებით, ვერ მიხვდებოდი ლენინი ქართველის, ბელორუსის თუ რუსის დახატული იყო. სტანდარტული იყო ლენინის ძეგლების პოზა და ადგილმდებარეობა - ხელგაწვდილი საბჭოთა ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე.

ხოლო მოწოდებები Идти вперед ленинским шагом, Партия – честь, ум и совесть советского гражданина"საპიტომრროებამდეც აღწევდა. ყოველ ორგანიზაციაში კი წითელი კუთხე იყო მოწყობილი, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ლენინის ტომეულები ინახებოდა, რაც დღეს მგონი რელიგიური ატრიბუტიკის კუთხემ შეცვალა.



როდჩენკო. წიგნის ყდა



როდჩენკო. ფილმის პლაკატი


ლენინი ფერწერაში


ლენინი ქვაში

# "გვირჩევნია ბევრი ფული არ მოვიგოთ და ხალხი ნორმალურ მუსიკას მივაჩვიოთ"

### "ისთერნ პრომოუშენი" პრინციპებს არც ამჯერად ღალატობს

ვერა ნეფარიძე

"ისთერნ პრომოუშენის" ახალი მუსიკალური სეზონი შეიძლება გახსნილად გამოვაცხადოთ. კომპანიის მორიგი კონცერტი ზეგ "აჭარა მიუზიკ ჰოლშია" დაგეგმილი. ეს არ არის მათი პირველი პროექტი წელს; მანამდე კომპანიამ დენის როლინსი ჩამოიყვანა, მაგრამ ამჯერად "ისთერნ პრომოუშენი" დროის მოკლე შუალედში საინტერესო საღამოების სერიას გვპირდება. სისი როჯერსისა და მასტერ დი-ჯეი დევიდ დის, ასევე ტრილოკ გურტუს კონცერტები გარდაუვალია; მაისში ნავარაუდევია ზემფირას ჩამოყვანა - ეს პროექტი უფრო რუსული ჯგუფის შიდა პრობლემების მოგვარებაზეა დამოკიდებული.

ზემფირას სერიოზული უსიამოვნებები აქვს საკუთარი ჯგუფის წევრებთან. როგორც ჩანს, ქართველ პრომოუტერებს მომღერალთან ცნობილი მუსიკალური კრიტიკოსი არტიომ ტროიცკი შუამდგომლობს. რამდენიმე დღის წინათ ტროიცკი კომპანიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, კახა კანდელაკს ტელეფონით ესაუბრა და შეპირდა, როგორც კი ჯგუფი შიდა პრობლემებს გადაწყვეტს, მაშინვე თბილისში გამოემგზავრებაო. "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელობას ამ კონცერტის დაგეგმვა მაისისთვის სურს: "მაისი ცარიელი გვაქვს და გვინდა "ზემფირას" ჩამოყვანა ამ თვეში მოვახერხოთ", - თუ კახა კანდელაკის სურვილები რეალობას დაემთხვა, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ისთერნ პრომოუშენი" საკუთარ პრინციპებს – უარი თქვას მომგებიან, მაგრამ მდარე ხარისხის მუსიკალურ პროექტებზე, - უდავოდ, არ ღალატობს.

ქართული საპროდიუსერო კომპანიის წყალობით ტრადიციულად ზაფხული თბილისში ჯაზით იწყება. ასე იქნება წელსაც – 8 ივნისს ისევ "აჭარა მიუზიკ ჰოლი" ჯაზის სამყაროში ნომერ პირველ დრამერად აღიარებულ ბილი კობემსა და მის ოთხკაციან ბენდს უმასპინძლებს. თუმცა, ეს კონცერტი რიგით მეშვიდე ჯაზ-ფესტივალის პროგრამაში არ შედის. საფესტივალო თანავარსკვლავედი სხვა მუსიკოსებს აერთიანებს. რადგანაც მანამდე (ფესტივალი ივლისში დაიწყება) არც ისე ცოტა დროა და მოლაპარაკებები მუსიკოსებთან ამჯერადაც მიმდინარეობს, მხოლოდ ძირითად, საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო ნიუანსებს გავამხელთ. პირველ რიგში, ალბათ, უნდა გაცნობოთ, რომ ჯორჯ ბენსონმა წელს გადამწყვეტი უარი თქვა თბილისში ჩამოსვლაზე. მუსიკოსმა ჩაშალა ტურნე, რომელიც საქართველოსთან ერთად საბერძნეთში, კვიპროსში, თურქეთსა და ისრაელში კონცერტების სერიას ითვალისწინებდა. ბენსონის გარდა, კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე ხმაურიანი გასტროლი გადაიდო. "ისთერნ პრომოუშენი" ჯერ კიდევ შარშან გეგმავდა 2003 წლის შემოდგომაზე "ჯემიროქუაის" კონცერტს ეროვნულ სტადიონზე; რამდენიმე ხნის წინათ ხმები გავრცელდა "ჯემიროქუაი" "აჭარა მიუზიკ ჰოლს" ჩამოჰყავსო. თუმცა, "ისთერნ პრომოუშენიდან" მიღებული ცნობა ამ ჭორებს, დაახლოებით, ერთი წლის ვადით მაინც შეაჩერებს – ჯგუფის გარემოცვის თქმით, "ჯემიროქუაი" წელს მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნების შემოვლას აპირებს, შემდეგ კი სტუდიაში შესვლას, ასე რომ ჯგუფის თბილისელ თაყვანისმცემლებს 2004 წლის ნოემბრამდე არანაირი შანსი არ აქვთ. თბილისში ჩამოსვლაზე წელს ასევე უარი თქვა მომღერალმა მაიკლ ფრენქსმა, თუმცა ასეთი მოულოდნელობების მიუხედავად, "ისთერნ პრომოუშენის" წლევანდელი გეგმები თავის ხიბლს მაინც არ კარგავს. ეს განსაკუთრებით "თბილისის ჯაზ-ფესტივალს" ეხება, სადაც რამდენიმე მსოფლიო დონის ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას. ამჯერად მათთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს (ამ დროისათვის გადაწყვეტილია რამდენიმე მათგანის თანხმობა), დაწვრილებით საფესტივალო სამზადისის შესახებ მოგვიანებით შეიტყობთ ჩვენი გაზეთის საშუალებით. მანამდე კი საინტერესო მუსიკის მოყვარულებს რამდენიმე კონცერტი ელით.


ბილი კობემი

პირველი გასტროლიორი სისი როჯერსი იქნება. ეს მუსიკოსი ჩვენთან ახალი წლის ღამეს გამართულ კონცერტზე გაიცნეს, მაშინ იგი საკუთარ ჯგუფთან The Nu Phonk Project-თან ერთად ჩამოვიდა. ამჯერად ამერიკელი მუსიკოსი ჩვენთვის ახალი პროექტით გვეწვევა, რაც განსაკუთრებით საცეკვაო მუსიკის მოყვარულებს გაახარებს (დაწვრილებით ამ პროექტის შესახებ მასალა ხვალინდელ ნომერში იხილეთ); კონცერტი "ნესკაფე დენს ფართის" ეგიდით იმართება. რაც შეეხება "ისთერნ პრომოუშენის" შემდეგ ღონისძიებას, ის! ალბათ, ეგზოტიკური კულტურით დაინტერესებულებს ესიამოვნება. 30 აპრილს კლუბ "ნოა-ნოაში" ცნობილი ინდოელი პერკუსიონისტი ტრილოკ გურტუ თბილისში თავის პირველ კონცერტს გამართავს.

## ტრავოლტა პროფესიას უბრუნდება

ჯონ ტრავოლტა, რომელმაც თავისი კარიერა ბალეტით დაიწყო, საწყის პოზიციას უბრუნდება. როგორც მსახიობმა თქვა, შურისაგან თითებს იკვნეტდა, როცა მიუზიკლებში კიდმანს და ზეტა ჯონსს უყურებდა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ტრავოლტამ ბალეტს დაუბრუნდეს.

60-70-იან წლებში, როდესაც ტრავოლტა ტანადი და მოქნილი იყო, ვნებიანად ცეკვავდა დისკოს, უამრავი თაყვანისმცემლის ოცნებას წარმოადგენდა. მაგრამ დროთა განმავლობაში მას სულ უფრო სერიოზულ ფილმებში იღებდნენ. 49 წლის მსახიობმა გადაწყვიტა ძველი ფორმა აღიდგინოს და თავისი საცეკვაო შესაძლებლობები საზოგადოებას უჩვენოს. ასე რომ, ჯონი ამჟამად დღეში ორი საათი ცეკვაში ვარჯიშობს, რომ უწინდელი მოქნილობა დაიბრუნოს. ამასთან ის ძველი მიუზიკლების, "მეგობარო ჯოს" და "წინაკები და თოჯინების" რიმეიკების დადგმას გეგმავს. სხვათაშორის, ადვოკატ ბილი ფლინის როლი ფილმში "ჩიკაგო" ტრავოლტას სამჯერ შესთავაზეს, მაგრმ მან სასტიკი უარი განაცხადა.




კითხვარი

## ქართული კულტურა საბჭოურ სივრცეს ვერ გასცდა

დათო ტურაშვილი
მწერალი

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**



**1.** კულტურის აქტივობა, სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში განსხვავებული, გამომწვევი ფაქტორებით იყო განპირობებული. არ ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს, რაღაც კონკრეტული ფორმულა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. ნებისმიერი წიგნიერი ადმიანისთვის, მსოფლიო კულტურის ისტორიიდან, სრულიად განსხვავებული მიზეზებია ცნობილი, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში კულტურის აქტივობასა და კულტურულ აღმავლობას, იწვევდა ესა თუ ის პროცესი. კონკრეტულად, ქართული კუტურის ისტორიაც თავისი აღმავალი, ან დაღმავალი პერიოდიკით ამ საკითხისადმი ჩვენი საკმაოდ სტერეოტიპული დამოკიდებულების მიუხედავად, არ ექვემდებარება რაიმე ლოგიკას. ჩვენ ყოველთვის გვარწმუნებდნენ და გვასწავლიდნენ, რომ ქართული კულტურის რენესანსული ეპოქა პირდაპირ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ფაქტორთან – ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობასთან და ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ყოველთვის ასახელებდნენ "ვეფხისტყაოსანს", როგორც იმ ეპოქისა და სახელმწიფოს პირმშოს. ამავე ლოგიკით, სრულიად გაუგებარია, დაქსაქსულ, დანგრეულ და განადგურებულ საქართველოში ისეთი კულტურული ფენომენის გაჩენა, როგორიც სულხან საბა ორბელიანი არის, რომელსაც სწორედ ყველაზე კულტურული თვალსაზრისით, არც საქართველოში და სხვათაშორის (იშვიათი გამონაკლისების გარდა), არც იმ პერიოდის ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ანალოგი არ გააჩნია.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კულტურის აქტივობას იწვევს საკმაოდ არაკულტურული ფაქტორი და ასეთი მაგალითებიც არსებობს.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ კულტურულ გარემოს, იგი უფრო აქტიურის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე რეალურად არსებულის და სამწუხაროდ საბჭოურისაგან განსხვავებულ კულტურულ სივრცეში აღმოჩენა, მიუხედავად რაღაც ნიშნებისა, ჯერჯერობით მაინც ვერ მოვახერხეთ. იმის გამორიცხვაც არ შეიძლება, რომ ხვალინდელ საქართველოში იგივე მოხდეს, რაც რამდენიმე საუკუნის წინ იტალიაში (და არა მარტო იტალიაში) მოხდა, როცა ქვეყანაში სიმდიდრის დაგროვებამ მდიდარი შემკვეთების გაჩენა გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურული პროცესის არნახული განვითარება, რომელსაც რენესანსს ვუწოდებთ. თუმცა, ესეც საკმაოდ საეჭვოა და საერთოდ, საეჭვოა ჩვენში მენტალური ცვლილებების გარეშე რაიმე სერიოზული ცვლილებები მოხდეს...

**2.** თბილისში უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არის შარშან კინოთეატრ "ამირანის" გახსნა და ამოქმედება, აგრეთვე ქართველ მორაგბეთა მიერ რუსეთის ნაკრების დამარცხება (როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს) და, რაც მთავარია, თბილისის წიგნის ფესტივალი, რომელიც შარშან საერთაშორისო გახდა.

**3.** ამჟამად ვკითხულობ არაბულ მუალაკებს და ვუსმენ ტომ ვეიტსს (როგორც შარშან). რაც შეეხება გამოფენებს, ძალიან დავინტერესდი ფოტო-ხელოვნებით და ბოლო სპექტაკლი, რომელიც ჯიბის თეატრში ვნახე, ლელა ჭინჭარაულის მიერ დადგმული "სიცოცხლე საწვავის გარეშე" იყო.

ფილმებს ვერ ვუყურებ ტელეეკრანზე და კინოში დავდივარ ("ამირანში"). ბოლოს ვნახე ჰიუ გრანტის წვალება...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# შუშაკი, გაერთიანებული გუნდი და რწმენა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში, თანაშემწეებთან, ოთარ გაბელიასთან და გივი ნოდიასთან ერთად, პრესკონფერენცია გამართა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა. შეპირებისამებრ, დაასახელა ის 21 ფეხბურთელი, რომლებიც რუსეთთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩისწინა საწვრთნელ შეკრებაზე გამოიძახა. მეკარეები: გიორგი ლომაია ("ლოკომოტივი" თბილისი), დავით გვარამაძე ("დინამო" თბილისი); მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, გიორგი შაშიაშვილი ( სამივე – "დინამო" თბილისი), ზურა ხიზანიშვილი ("დანდი" შოტლანდია), კახი კალაძე ("მილანი" იტალია), გივი დიდავა ("ქოჯაელი" თურქეთი); ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე ("დანდი"), გიორგი ქინქლაძე ("დერბი ქაუნთი" ინგლისი), დათო კვირკველია, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია (სამივე – "დინამო" თბილისი), ლევან ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი" გერმანია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი" რუსეთი), დავით სირაძე ("ლოკომოტივი" თბილისი); თავდამსხმელები: შოთა არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი" შოტლანდია), რატი ალექსიძე ("დინამო" თბილისი), გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი" დონეცკი, უკრაინა), მიხეილ აშვეთია ("სპარტაკ-ალანია" რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი").

შუშაკი საქართველოს ნაკრების ყველა წინამორბედი მწვრთნელისგან იმითაც გამოირჩა, რომ მას სარეზერვო ფეხბურთელების სამკაციანი სიაც აქვს შედგენილი. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული 21 მოთამაშიდან ვინმე რაიმე მიზეზის გამო ვერ შეძლებს ნაკრების შემადგენლობაში ყოფნას, მას სარეზერვო სიიდან ჩაანაცვლებენ. შესაბამისად, ქუთაისის "ტორპედოს" მეკარე გიორგი ჭანტურია, თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი და "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი, ლევან მელქაძე ნაკრებთან ერთად შეკრებაზე არ მივლენ, თუმცა, ამ ფეხბურთელებიდან ერთ-ერთი (შესაძლოა, სამივე) შუშაკმა, შეიძლება, ყოველ წუთს იხმოს.

შეკრება 26 აპრილს "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყება. შუშაკის თქმით, ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის დღიდან, მან 25-26 ფეხბურთელზე აიღო ორიენტაცია და შეეცადა, მათზე ამომწურავი ინფორმაცია შეეგროვებინა, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ისე სპორტული ფორმის თვალსაზრისით. მის მიერ შერჩეულ 21 ფეხბურთელს (სათადარიგო სიაში მოხვედრილთა ჩათვლით) საკუთარ კლუბში მუდმივად აქვს სათამაშო პრაქტიკა, რაც მათი მიწვევის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ყოფილა. თუმცა, შუშაკმა ისიც აღნიშნა, რომ ეს გამოძახება 18-კაციან განაცხადში, მით უმეტეს, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსს არ იძლევა.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა კი გეგმავს, რომ შეკრება 26 აპრილს დაიწყება, მაგრამ გასათვალისწინებელია: ლეგიონერთა დიდ ნაწილს საკუთარ კლუბში კალენდარული მატჩები 25-26-27 აპრილს უწევს. მაგალითად, 26-ში იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში კახი კალაძის "მილანი" თამაშობს, ამავე დღეს ინგლისის პირველ დივიზიონში თამაში უწევს ქინქლაძეს, ხოლო შოთა არველაძის "გლაზგო რეინჯერსს" 27 აპრილს თანაქალაქელ "სელტიკთან" პრინციპული მატჩი ელის. ამის მიუხედავად, შუშაკს იმედი აქვს, რომ, 27 აპრილს მაინც, ნაკრებში მიწვეულთა 90 პროცენტს შეკრებს.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მერაბ ჟორდანია და ივო შუშაკი

ეროვნული გუნდის დამრიგებელი უკმაყოფილოა უეფა-ს გადაწყვეტილებით და მიიჩნევს, რომ სტადიონზე გულშემატკივრები მე-12 ფეხბურთელის როლს ასრულებენ, ამ დახმარებას კი შუშაკისთვის სადებიუტო მატჩში ნაკრები მოკლებული იქნება.

"ჩვენ ერთ-ორ ღია ვარჯიშს გავმართავთ და ნებისმიერ გულშემატკივარს მოვიპატიჟებთ. საქართველოს ნაკრები არც მწვრთნელისაა, არც რომელიმე ფეხბურთელის და არც ფედერაციის. იგი მთლიანად საქართველოს და გულშემატკივრებს ეკუთვნის. ამიტომ, შევეცდები, ღია ვარჯიშების გამართვით ნაკრები და გულშემატკივრები გავაერთიანო, ერთ გუნდად ვაქციო და მერე, როდესაც რუსებთან ვითამაშებთ, მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნებზე ქომაგი არ გვეყოლება, ყველა ქართველი ფეხბურთელი იგრძნობს, რომ მას გულშემატკივრობენ", - აი, ასეთ რამეს აკეთებს შუშაკი და, დარწმუნებული ვარ, ეს გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ვიდრე ის ცხრაკლიტულები, რომლებშიც შუშაკის ყველა ქართველი და არაქართველი წინამორბედი ამყოფებდა ეროვნულ გუნდს.

შუშაკმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად ჰყავს შესწავლილი მოწინააღმდეგე, მისი ყველა ფეხბურთელი, სავარაუდო ტაქტიკა და მთავარი მწვრთნელი. "რუსეთის ნაკრები ძლიერი და სერიოზული გუნდია, მაგრამ მას სუსტი წერტილებიც აქვს და შევეცდებით, ეს ხარვეზები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ", - აღნიშნა მან.

საქართველოში, ალბათ, ბევრს აღელვებს კითხვა: შეძლებს შუშაკი საქართველოს ნაკრების ღირსეულ თავკაცობას? ამ შეკითხვას, ნაწილობრივ მაინც, რუსეთ-საქართველოს მატჩი უპასუხებს. მანამდე კი, დადებითი პასუხის იმედად, გივი ნოდიას სიტყვებს მოვიყვან: "თბილისის "დინამოში" მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თანაშემწედ მუშაობის პერიოდში ჩვენთან მოსკოვიდან ჩამოვიდა ცნობილი რუსი ჟურნალისტი, იური როსტი, რომელიც ბატონ ნოდარზე გადაცემას ამზადებდა. მან ახალკაცზე აზრის გამოთქმა მეც მთხოვა. მე არ მილაპარაკია ახალკაცის მაღალ კვალიფიკაციაზე, არც სამწვრთნელო განსწავლულობაზე და ინტუიციაზე. მე მხოლოდ ერთი სიტყვით დავახასიათე ბატონი ნოდარი: რწმენა. დიახ, ახალკაცმა 1974-75 წლებში ქაოსურად მოთამაშე და საკუთარ ძალებში დაეჭვებულ "დინამოს" და მის ფეხბურთელებს რწმენა მოუტანა, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, საიდანაც დაიწყო კიდეც "დინამოს" ტრიუმფალური აღმასვლის ათწლეული. საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვაკვირდები შუშაკს და ვაცხადებ, რომ მან, ახალკაცის მსგავსად, "დინამოს" ფეხბურთელები საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა. იგივეს გააკეთებს ნაკრებშიც."

## გაზაევმა შემადგენლობა დაასახელა

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვალერი გაზაევმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც მიწვეულნი იქნებიან საქართველოს ნაკრებთან 30 აპრილს გასამართი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩისწინა შეკრებაზე.

მეკარეები: მანდრიკინი (ცსკა), ოვჩინიკოვი ("ლოკომოტივი"), ჩიჟოვი ("სატურნ რენ-ტვ");

მცველები: ალექსეი და ვასილი ბერეზუცკები, ევსიკოვი (სამივე – ცსკა), ონოპკო ("რაიო ვალეკანო"), იგნაშევიჩი, ნიჟეგოროდოვი (ორივე - "ლოკომოტივი");

ნახევარმცველები: ალდონინი ("როტორი"), იანოვსკი, სოლომატინი, გოგნიევი (სამივე – ცსკა), სმერტინი ("ბორდო"), სემშოვი ("ტორპედო"), იზმაილოვი ("ლოკომოტივი"), ტიტოვი ("სპარტაკი"), ალენიჩევი ("პორტუ"), კარიაკა ("კრილია სოვეტოვი");

თავდამსხმელები: სიჩოვი ("მარსელი"), სემაკი, პოპოვი (ორივე – ცსკა), კერჟაკოვი ("ზენიტი").

## დროშები, ჩქარა!

გუშინ რესპუბლიკის მოედნის ქვეშ არსებულ მიწისქვეშა კომპლექსში მდებარე ტოტალიზატორ "ინტერბეთ +"-ში ქალაქის საკრებულოს წარმომადგენლები შეხვდნენ სპორტულ ჟურნალისტებს. ეს შეხვედრა საქართველო-რუსეთის მომავალ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საკრებულოს ინიციატივამ განაპირობა. საქართველოს ნაკრებს მომავალ მატჩში გულშემატკივრის მხარდაჭერა რომ არ მოაკლდეს, საკრებულო გამარჯვების პარკში დიდი მონიტორების დადგმას აპირებს - ნაკრების გულშემატკივრებს შეეძლებათ, თავიანთ გუნდს სტადიონის სიახლოვეს უქომაგონ. სიახლოვის გამო გულშემატკივართა ყიჟინას ფეხბურთელებიც გაიგონებენ. გამორიცხული არ არის, ეს ხმა სტადიონზე დამონტაჟებულ დინამიკებშიც გაისმას, ოღონდ საამისოდ საჭიროა ნებართვა. საკრებულო ამ ნებართვას ფედერაციისგან აიღებს. ჯერჯერობით საკრებულოს განკარგულებაში ორი მონიტორია, თუმცა, აპირებენ, მატჩისთვის ჩამოიტანონ კიდევ ორი დიდი მონიტორი, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ მოიპოვება. გარდა ამისა, უზარმაზარი ხუთჯვრიანი დროშა ტრიბუნებს დაეფინება. ერთი სიტყვით, საკრებულოს წყალობით, საქართველოს ნაკრებს ქომაგთა მხარდაჭერა არ მოაკლდება. გამარჯვების პარკში კი, ეჭვი არ არის, გულშემატკივართა ტევა არ იქნება.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 29 წლის წინათ...



1974 წლის 13 ივნისი, ფრანკფურტი, გერმანია. FIFA-ს ახალარჩეული პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი.

# ჩემპიონთა ლიგა: ვინ იქნება შემდეგი?

დიმიტრი ობოლაძე

უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის 2002-03 წლის სეზონი ჯერ არ დასრულებულა, საფეხბურთო წრეებში კი უკვე მომდევნო ტურნირზე ბჭობენ. ინტერესი გასაგებია. უეფა-ს გადაწყვეტილებით 2003-04 წლის სეზონი განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. გუნდების რაოდენობა უცვლელი რჩება, სტრუქტურა კი იცვლება. გაიმართება მხოლოდ პირველი ჯგუფური ეტაპი, რასაც პირდაპირ მეოთხედფინალები მოჰყვება. შემცირდება ნაკლებად საინტერესო, ფორმალური მატჩების რაოდენობა და ნებისმიერ ქულას "ოქროს" ფასი დაედება. ცხადია, ფავორიტებად კვლავ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების გუნდები ჩაითვლებიან. ეროვნული ჩემპიონატების დასრულებამდე არცთუ ისე დიდი დრო რჩება და უკვე ცხადია, რომ ყველაზე მეტი ადგილი კვლავ ესპანეთის, იტალიისა და ინგლისის გუნდებს ეკუთვნით. ახალ სეზონში ეს ქვეყნები შიდა ჩემპიონატში პირველ ოთხ ადგილზე გასული ოთხ-ოთხი გუნდით იქნებიან წარდგენილი ჩემპიონთა ლიგაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული კლუბები ბრძოლაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვებიან.

### ესპანეთის დიდი ოთხეული

სეზონის უკანასკნელი მატჩები ცხადყოფს, შეძლებს თუ არა მადრიდის "რეალი" ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. უკანასკნელ ტურში გამართულ კლასიკურ დაპირისპირებაში დელ ბოსკეს გუნდმა საკუთარ მოედანზე ვერ მოუგო დაუძინებელ მტერს, კატალონიის "ბარსელონას". "სოსიედადმა" კი 5 უპასუხო გოლი გაიტანა მეტოქის კარში და კვლავ ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას, სავარაუდოდ, "რეალი", "სოსიედადი", "ვალენსია" და "დეპორტივო" მოიპოვებენ. აღსანიშნავია, რომ 1980 წლის შემდეგ ევროპული ასპარეზი "სოსიედადისთვის" მხოლოდ ოცნებად რჩებოდა.

### ჩემპიონთა ლიგა "რომას" გარეშე

სერია A-ს ლიდერია მარჩელო ლიპის "იუვენტუსი", რომელიც დიდი სხვაობით, ექვსი ქულით უსწრებს მდევრებს - "მილანსა" და "ინტერს". სამეულის შემდეგ მომდევნო ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატი დედაქალაქის "ლაციოა". აპენინების ერთ-ერთი ამბიციური კლუბი, "რომა" და მისი გენიალური მწვრთნელი, ფაბიო კაპელო მომავალ ლიგას გამოაკლდებიან. "ეს ჩვენთვის შეურაცხმყოფელია, - განაცხადა კაპელომ, - თუმცა, სხვა რა გზა გვაქვს. სიტუაციას უკვე შევეგუეთ. მომავალი სეზონისთვის უნდა მოვემზადოთ."

### "არსენალი" თუ "მანჩესტერი"

ინგლისის პრემიერლიგა ყველაზე საოცარი, არაპროგნოზირებადი ტურნირია. ლონდონის "არსენალი" დიდი უპირატესობით უსწრებდა "მანჩესტერ იუნაიტედს", ვენგერი კი მხოლოდ ფერგიუსონის სიტყვიერი შეურაცხყოფით და მასთან "ცივი ომით" იყო დაკავებული. სიტუაცია შეიცვალა და შოტლანდიელის გუნდს ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდა. პირველ-მეორე ადგილს სწორედ ეს ორი გუნდი იყოფს და მათი მონაწილეობა მომავალ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ეჭვს არ იწვევს. მესამე ადგილზე, ჯერჯერობით, "ნიუკასლ-იუნაიტედია". რთულ სიტუაციაშია მეოთხე ადგილზე მყოფი ლონდონის "ჩელსი", რომელსაც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ "ლივერპული" და "ევერტონი". ყველაფერი სწორედ სამეულის ურთიერთშეხვედრებში გაირკვევა.

### "ბაიერნი" დასეირნობს... გერმანული პარადოქსი

მიუნხენის "ბაიერნი" სამარცხვინოდ გამოვიდა ჩემპიონთა ლიგაში, რომელსაც პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. ბუნდესლიგაში კი ჰიცფელდის გუნდის შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ლოგიკურად ისმის შეკითხვა: ხომ არ დაეცა გერმანიის ფეხბურთის დონე? ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი (შედეგების მიხედვით ასეა) ერთი ამოსუნთქვით ამარცხებს ყველა მეტოქეს. ასეა თუ ისე, ბუნდესლიგა მომავალ ლიგაში სამი კლუბით წარდგება. მიუნხენელთა გარდა, პრეტენზიას აცხადებენ "შტუტგარტი" და დორტმუნდის "ბორუსია". საფრანგეთში ყველაზე რეალური შანსი აქვთ "ლიონს", "მონაკოსა" და მარსელის "ოლიმპიკს". საბერძნეთში, როგორც ყოველთვის, გამოირჩევა "დიდი სამეული": "პანათინაიკოსი", "ოლიმპიაკოსი" და აეკი.

### თითქმის ყველაფერი ნათელია...

ჰოლანდიასა და ბელგიაში ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია. "ეინდჰოვენი" და "ბრიუგე" ნამდვილად არ გაფლანგავენ იმ უპირატესობას, რომელიც მათ აქვთ. სამაგიეროდ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ადგილისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზას გახსნის. "აიაქსსა" და მის მდევარს, როტერდამის "ფეიენოორდს" მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ, ისევე როგორც ბელგიის პირველობის მონაწილე "ანდერლეჰტსა" და "ლოკერენს". კიდევ უფრო დაძაბულია სიტუაცია შვეიცარიაში, სადაც ჩემპიონთა ლიგის ერთადერთი საგზურისთვის ორი კლუბი იბრძვის - მიმდინარე გათამაშების აღმოჩენა, "ბაზელი" და "გრასჰოპერსი". პირველ ადგილზეა "გრასჰოპერსი", რომელიც ორი ქულით უსწრებს მეტოქეს. ცნობილია, რომ რუსეთის ღირსებას დაიცავენ 2003-04 წლის სეზონში ქვეყნის ჩემპიონი, მოსკოვის "ლოკომოტივი" და არმიელთა გუნდი. ნორვეგიიდან ძირითად ბადეში მოხვედრას, როგორც ყოველთვის, "როსენბორგი" ეცდება. შვედეთს კი ჩემპიონი კლუბი, "იურგორდენი" წარმოადგენს.

# სერია-A თუ პრიმერადივიზიონი?

დიმიტრი ობოლაძე

დღეს, 22 აპრილს, გაირკვევა, რომელი ჩემპიონატი უფრო ძლიერია - ესპანეთის თუ იტალიის. საქართველოში ორივე ქვეყნის ფეხბურთს, კლუბებს ჰყავს უამრავი გულშემატკივარი, რომელიც, იმის მიუხედავად, როგორ დამთავრდება დღევანდელი მატჩები, მაინც საკუთარ აზრზე დარჩება. თუმცა, ერთი რამ ცხადია: თანამედროვე ფეხბურთში მთავარი შედეგია და სანახაობრივ მხარეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ფილოსოფიით ჩადის არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ვალენსიაში. თავდაჯერებული "ბარსელონა" დელა ალპიზე მიღწეული ფრეს შემდეგ არასტუმართმოყვარე ნოუ-კამპზე მასპინძლობს ტურინის "იუვენტუსს". სერია A-ს ორი გრანდი ესპანეთის ელეგანტური კლუბების წინააღმდეგ.

### "ბარსელონა"-"იუვენტუსი"

"ჩვენ ყველაფერი ვილონეთ, რაც შეგვეძლო", - ასე განაცხადა იტალიელთა მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ ტურინის მატჩის დასრულების შემდეგ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იტალიელებს მეტის გაკეთება, უკეთ თამაში არ შეუძლიათ? ამ შეკითხვაზე იტალიის პირველობის უკანასკნელ ტურს უნდა ეპასუხა. და უპასუხა კიდეც. ტურინელებმა უმნიშვნელოვანესი მატჩი ჩაატარეს "რომას" წინააღმდეგ. იმის მიუხედავად, რომ თამაშის ხარისხი არც ისე მაღალი იყო, 2:1 გაიმარჯვეს. "რომა", რომელმაც ბოლომდე იბრძოლა, სრულიად უმოტივაციო იყო. განსხვავებული სიტუაციაა ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ტურინელთა მეტოქეა კატალონიის "ბარსელონა", გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 15 მატჩი არ წაუგია. "მე ვიცი მათი რეალური ძალა, - განაცხადა ლიპიმ, - ისიც ვიცი, რომ "ბარსელონა" დიდი ძალებით შეუტევს. სხვა ვარიანტი გამორცხულია. სწორედ ამის გამოყენებას ვეცდებით. ტრავმებისა და სხვა პრობლემების შესახებ დღეს არ ვისაუბრებ. ერთსაც დავძენ: მათი დაცვა არც ისე ძლიერია." შეიძლება ითქვას, რომ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, "იუვენტუსი" ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. ფრანგი ტრეზეგესა და ჩილელი სალასის არყოფნაში აშკარად გამოიკვეთა მაურო კამორანეზი, რომელიც დღესაც წამყვანი ფიგურა იქნება. 27 წლის არგენტინელი ნახევარმცველი 2000 წლის აგვისტოში ჩავიდა იტალიაში, "ვერონაში" ორი სეზონი გაატარა და მხოლოდ შვიდი გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში კამორანეზის შანსი მიეცა (წამყვან ფეხბურთელებს ტრავმები ჰქონდათ) და ეს შანსი მან არაჩვეულებრივად გამოიყენა. რაც შეეხება ლიპის მოსაზრებას "ბარსელონას" დაცვის სისუსტის შესახებ: ლიპიმ, ალბათ, უყურა ესპანურ "ელ კლასიკოს" და დარწმუნდა, რომ ანტიჩის გუნდს დაცვაშიც შეუძლია თამაში. კატალონიელებმა მხოლოდ ერთი პოზიციური შეცდომა დაუშვეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2" გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს ნოუ-კამპიდან.

### "ვალენსია"-"ინტერი"

პირველ მატჩში "ინტერმა" მინიმალური სხვაობით (1:0) დაამარცხა მეტოქე. თუმცა, ბენიტესის აზრით, "ვალენსია" წაგებას არ იმსახურებდა და სიტუაციის გამოსწორებას დღეს შეეცდება. "მე დიდ პატივს ვცემ კუპერს, რომელმაც კარგი ფეხბურთელები დამიტოვა, - განაცხადა ბენიტესმა, - მაგრამ კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ პირველი მატჩი არაკანონზომიერად წავაგეთ. ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო. დღეს ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დალაგდეს." მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფეხბურთელთა გამხნევებას ცდილობს. თუმცა, აშკარაა, რომ "ვალენსია" უმძიმეს წუთებს გადაიტანს. იტალიელები საკუთარ მოედანზეც კონტრშეტევებზე თამაშობდნენ. იგივეს გააკეთებენ მესტალიაზეც. ასე რომ, ბენიტესის გუნდის ყველა ფეხბურთელი (განსაკუთრებით მცველები) შეტევაზე გადასვლის წინ კარგად უნდა დაფიქრდეს. ვალენსიაში კი კუპერის ჩაბრძანებას ელიან და ეს გახლავთ მთავარი ინტრიგა. ესპანეთში ამ ფაქტს დიდ ყურადღებას უთმობენ. ისმის შეკითხვა, რომელიც ძველ ამბებს გვახსენებს. რატომ წააგო კუპერმა ზედიზედ ორი ფინალი? უამრავი ვარაუდი გამოითქვა და შეიძლება საბოლოო დასკვნაც გამოვიტანოთ. არგენტინელმა წააგო იმიტომ, რომ საერთოდ არ ფიქრობდა შეტევაზე. მისი გუნდის წარმატება, ძირითადად, მასირებულ დაცვასა და მეტოქის შეცდომებზე იყო დაფუძნებული. საინტერესოა, შეიცვალა თუ არა კუპერის ფილოსოფია ჩემპიონთა ლიგის ორი წაგებული ფინალის შემდეგ. პასუხი მწვრთნელის ფრაზაშია შენილბული. "დღეს არ მსურს წარსულზე ლაპარაკი, -განაცხადა კუპერმა, - მხოლოდ ერთს ვიტყვი. იმაში, რომ დღეს "ვალენსია" ძლიერი გუნდია, ჩემი წვლილიცაა ჩადებული. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, სანახაობრივი მხარე არ მანაღვლებს. მთავარი ამოცანა კარის მშრალად შენახვაა. გოლის გატანაზე, პირველ რიგში, "ვალენსიამ" უნდა იფიქროს." კუპერმა მოკლედ და კონკრეტულად დაადასტურა, რომ დღეს მესტალიაზე კიდევ ერთხელ ვნახავთ იტალიურ "კატენაჩიოს".

ალპინიზმი

# ევერესტი ნაბიჯ-ნაბიჯ იტკეპნება

A1 გვერდიდან

**დღიურები:**

**13 აპრილი**

დღის პირველი საათისთვის საშუალედო ბანაკისკენ ავიღეთ გეზი. მხოლოდ ვასილი ელაგინი დარჩა საბაზო ბანაკში, ისიც - ავადმყოფობის გამო. ორად გაყოფილი ექსპედიციის წევრთაგან საშუალედო ბანაკში (5800 მ.) პირველები სერგეევი, კაიმაჩნიკოვი, გუჯაბიძე, პუშკარევი, პაშკოვი და ლარინი ავიდნენ. მათი ექსვსეული აღარ ხუმრობს. 4 საათსა და 15 წუთში უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ. დანარჩენებმა იგივე მანძილის გავლას 6 საათი მოანდომეს. ბევრი უმადობას უჩივის. ღამით აცივდა და თოვლი წამოვიდა.

**14 აპრილი**

დილისთვის გამოიდარა. გზა გავაგრძელეთ. ალექსანდრ სერგეევისა და ბიძინა გუჯაბიძის გარდა, დღეს რატომღაც ყველა ზანტად მიიწევს. მართლა, სერგეევი მალე 67 წლის გახდება. ევერესტის დაპყრობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, იგი პლანეტის უხუცესი მთამსვლელი გახდეს. 18 საათისთვის მეორე საშუალედო ბანაკი გავშალეთ. თოვლის გამო არ ჩანს ჩრდილო უნაგირი. გეგმის მიხედვით ხვალ დასვენების დღე გვაქვს და ბანაკი უნდა გავხსნათ. უკვე თითქმის ყველას თავი სტკივა.

**15 აპრილი**

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველას კარგად გვეძინა. ღამით თოვლი ჩამოწვა. კარვები შიგნიდან გაიყინა. დღეს ბანაკი გავხსენით. ერთ-ერთმა იაკმენმა (იაკის ერთგვარი ხარის მწყემსი. - რედ.) საშინელი ამბავი გვიამბო. თურმე იაკს გზაში ზეზეურად ჩასძინებია. რას არ გაიგებ! რა მაგის პასუხია და, გუშინდელი სცენა გამახსენდა, როდესაც გზად ერთ ნეპალელ შერპს გადავეყარე. გალუმპულ ჩინელს გოდრით ქვევით მიათრევდა. გოდორი იქით იყოს და, ჩვენდა თავად, გადავწყვიტეთ, ხვალ 6600 მეტრზე გმირულად ავისეირნოთ და იქ პირველი ბანაკისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი ავიტანოთ.

დღეს სავსე მთვარეობაა. კარგი იქნება, თუ ერთი თვის თავზე მწვერვალზე ვიქნებით.





ბიძინა გუჯაბიძე და მისი მარშრუტი: ევერესტის ჩრდილოეთის მიმართულება

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**16 აპრილი**

დღეს ყველაფერი გეგმით მიდის. სამი სასიმაღლო მტვირთავი ჩრდილო უნაგირისკენ კარვით, სამი საძილე ტომრითა და სხვადასხვა საჭირო აღჭურვილობით გავუშვით. დანარჩენს 18-ში თავად ავიტანთ.

12 საათზე დმიტრი მოსკალევი და იურა სოიფერი საბაზო ბანაკში დაეშვნენ. დანარჩენები, როგორც გათვალისწინებული გვქონდა, აკლიმატიზაციისთვის ჩრდილო უნაგირის სიახლოვეს ავედით. ორი საათის შემდეგ, როდესაც ქვევით ვეშვებოდით, ამინდი გაუარესდა - ქარბუქი ამოვარდა.

მოგვიანებით შერპები დაბრუნდნენ...

**17 აპრილი**

დღეს ისევ უნაგირზე ავედით. მშვენიერი ამინდია. ქარი ოდნავ უბერავს. ორი კარავი გავშალეთ. რაც მთავარია, ფიზიკურად ყველა კარგად გრძნობს თავს. კარვები თავის ადგილზე დგას. ერთადერთი პრობლემა კარვიდან საპირფარეშოსთვის გამოძრომაა.

**18 აპრილი**

ღამით ნამდვილი ჯოჯოხეთი გვქონდა. სიზმარში საშინელებებს ვხედავდით. ორივე კარვიდან კვნესა, ბოდვა და ყვირილი ისმოდა. ვიცი, რომ მერე და მერე უარესი გველის. ზოგიერთები პირველად ათევენ ღამეს 7000 მეტრზე. ამ სიმაღლეზე ასეთი სურათი ჩვეულებრივი ამბავია. როგორც იქნა, გათენდა. სუსტი ქარია, მაგრამ საშინლად ყინავს. საძილეებმა და კარვებმა არ გვიღალატა. დილით ჭამის თავი არ გვქონდა. სასწრაფოდ ავკრიფეთ გუდა-ნაბადი და ქვევით, 6600 მეტრ სიმაღლეზე ფეთიანებივით დავეშვით. როდესაც საშუალედო ბანაკში ჩავაღწიეთ, გვინდოდა, საბაზო ბანაკამდეც გაგვეგრძელებინა გზა, მაგრამ როდესაც ავწონ-დავწონეთ, მივხვდით, რომ ამისთვის 6 საათი გვჭირდებოდა და განზრახვაზე ხელი ავიღეთ. 7000 მეტრ სიმაღლეზე პირველი ბანაკის გაშლა ჩვენი გუნდისთვის დიდი წარმატებაა.

ჩოგბურთი

# აგასი და სამპრასი - ტელემაგნატები

ყველაფერს დასასრული აქვს. როგორც ირკვევა, ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის სახელგანთქმული, მუდმივი დაპირისპირებაც ეპილოგისკენ მიექანება. დიდი ამერიკელები ერთმანეთის მოკავშირეები გახდნენ. ვერავინ იფიქრებდა, რომ ვიდრე აქტიურ ჩოგბურთს ითამაშებდნენ, მათი დაპირისპირება რამდენადმე მინელდებოდა, მაგრამ ფაქტია: ანდრე აგასიმ და პიტ სამპრასმა ძალისხმევა გააერთიანეს და სწორედ ისინი იქნებიან ახალი, 24-საათიანი სატელევიზიო არხის ძირითადი ინვესტორები.

მაუწყებლობა ერთ თვეში დაიწყება. მომავალ კვირაში კი სატელევიზიო ეთერით საპრეზენტაციო ვარიანტი გადაიცემა. პროგრამათა პაკეტის აბონენტები ჩოგბურთში ფედერაციის თასის მატჩების უფასო ყურების უფლებას მიიღებენ.

არხის ხელმძღვანელობის გათვლებით, საერთო ჯამში საეთერო დრო წელიწადში ათას საათს შეადგენს. ეს იქნება ტრანსლაციები შეჯიბრებებიდან და გადაცემები ჩოგბურთელთა შესახებ. გათვალისწინებულია ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის "ოქროს კოლექციიდან" საუკეთესო მატჩების ჩვენებაც. მოკლედ, ჩოგბურთის გულშემატკივრები ნამდვილად არ მოიწყენენ.

სატელევიზიო არხის ერთ-ერთი თანამფლობელის, სტივ ბელამის განმარტებით, მოსალოდნელია, რომ ჩოგბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამ მილიონამდე აბონენტს მიიზიდავს. გასართობ-თვალსასეირო კი ბევრი იქნება. პირდაპირ ეთერში გადაიცემა საჩოგბურთო სამყაროს ცხელ-ცხელი ამბები. კორესპონდენტები სენსაციური რეპორტაჟების მოსაპოვებლად ჩოგბურთელებთან ერთად გასახდელში აღმოჩნდებიან. დაესწრებიან მათ ვარჯიშებს. სტუმრად ეწვევიან ჩოგნის სახელოვან ოსტატებს და მათ კამპანიაში დაისვენებენ. მოკლედ, თავისი აბონენტებისთვის სამპრას-აგასის ახალ წამოწყებას მრავალფეროვანი მენიუ მოუმზადებია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტურნირის გამარჯვებულებს. კორესპონდენტები შეეცდებიან, ჩოგბურთელებს "ოქროს წუთების" განცდისას, დაჯილდოების ცერემონიალზე, ფულადი ჩეკის გადაცემის მომენტში მიუახლოვდნენ. უდავოა, ასეთი რამ მხოლოდ იმიტომ იქნება შესაძლებელია, რომ სატელევიზიო არხის ინვესტორები ჩოგბურთის ვარსკვლავები არიან.

თუმცა, თუ ანდრე აგასი აქტიურად მონაწილეობს საჩოგბურთო ცხოვრებაში, პიტ სამპრასი ჯერ კიდევ ფიქრობს, გააგრძელოს თუ არა საქმე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოსდის. ადრე სამპრასი გულშემატკივრებს შეჰპირდა, საბოლოო გადაწყვეტილებას მარტში მივიღებო, მაგრამ, როგორც ჩანს, დაუგვიანდა. ყოველ შემთხვევაში, მან მოასწრო რამდენიმე ტურნირში განაცხადის შეტანა, მაგრამ ყველა განცხადება უკანვე გამოითხოვა.

ახლახან სამპრასმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი და "London's Queen's Club"-ის ტრადიციული ტურნირისთვის "ველური ბარათი" მოითხოვა.

მოტოსპორტი

# სახიფათო სპორტის კიდევ ერთი მსხვერპლი

ნინო პირველი

სპორტის არც ერთი სახეობა არ არის დაზღვეული მძიმე ტრავმებისა და უბედური შემთხვევებისგან. მარტო დაფასთან წყნარად მიმსხდარ მოჭადრაკეებს თუ არ ემუქრებათ ფიზიკური ტკივილის საფრთხე. ყველა სხვა სახეობაში მოასპარეზე სპორტსმენები რისკის ფასად გადიან არენაზე. ტურნირის წინ არავინ იცის, რა უსიამოვნო სიურპრიზს მოუწყობს ფორტუნა სპორტსმენებს. ფეხბურთელებით დაწყებული, მოთხილამურეებით დამთავრებული, არავინაა დაზღვეული მძიმე ტრავმებისგან. ერთი სიტყვით, სპორტი მეტად სახიფათო რამ არის...

სხეულის დაზიანებისა და სიკვდილიანობის რისკი ყველაზე მაღალია ავტო და მოტოსპორტში. სიჩქარის მოყვარულთა პროფესია ხომ საშინლად სახიფათოა. გადარეული ქროლვის ჟინს უმსხვერპლია ფორმულა 1-ის პილოტები, ველოსიპედისტები, მოტოციკლისტები, რალის ავანტიურისტი მძღოლები... შაბათს მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა: ექიმებმა ვერაფერი უშველეს იაპონელ მოტოციკლისტ დაიჯირო კატოს, რომელიც 6 აპრილს სუძუკას ტრასაზე დაშავდა და 13 დღე კომაში იყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა შოკს თავი ველარ დააღწია...

26 წლის კატო, რომელსაც შინ მეუღლე და ორი შვილი ელოდა, 6 აპრილს ტრასაზე იმ იმედით გავიდა, რომ სამშობლოში გამარჯვება არ გაუჭირდებოდა. "ჰონდა", მისი გუნდი, ასევე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კატო იმ დღეს წარმატებას იზეიმებდა, მაგრამ... არავინ იცის, რა გახდა ტრაგედიის მიზეზი, რატომ ჩამოვარდა იაპონელი სპორტსმენი მოტოციკლიდან. "ჰონდა" ამაოდ შეეცადა, გაერკვია, რა დაემართა კატოს. ექს-ჩემპიონი ისე გარდაიცვალა, გონზე არ მოსულა. თავისი სიკვდილის საიდუმლოც თან გაიყოლა. "ჰონდას" ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს, საზოგადოებას აუხსნას, თუ რამ გამოიწვია ეს ტრაგედია.

1949 წლიდან მოყოლებული, კატო უკვე 59-ე მოტოციკლისტია, რომელიც რბოლისას დაიღუპა. მოტოსპორტის უკანასკნელი მსხვერპლი იყო 40 წლის ინგლისელი სეიმონ პრიორი, რომელიც 1994 წელს გერმანიაში, ჰოკენჰაიმრინგის ტრასაზე გარდაიცვალა. თითქმის ათი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი მშვიდობიანად მიმდინარეობდა, სანამ 6 აპრილს კატო არ დაშავდა. მაინც რა შეიძლებოდა გამხდარიყო კატოს დაღუპვის მიზეზი? ესპანელი მოტოციკლისტები ტრაგედიას სუძუკას ტრასის გაუმართაობას აბრალებენ და ბოიკოტის გამოცხადებასაც კი აპირებენ:

"ჩვენ ყველამ უნდა მოვილაპარაკოთ და იაპონიაში აღარასოდეს გამოვიდეთ. ეს ტრასა მეტისმეტად სახიფათოა და ოდნავაც კი არ შეესაბამება სტანდარტებს. აქ ასპარეზობა სისულელეა", - თქვა ესპანელმა სეტე ხიბერნეაუმ, რითიც დიდად გააღიზიანა "ჰონდას" ხელმძღვანელობა, რომელთაც ესპანელის ამ განცხადებას პროვოკაციული უწოდეს. "ჰონდას" სხვა სპორტსმენებიც მიემხრნენ. ფრანგმა ერვე პონშარალმა სუძუკას ტრასის დაცვაც კი ითავა: "არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ აქ ადვილია რბოლა და მოტოციკლისტებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ სუძუკაში რბოლის გამართვა საერთოდ უნდა აიკრძალოს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაცვიღაცებს უნდათ, კატოს ტრაგედია თავისდა სასარგებლოდ გამოიყენონ", - თქვა ფრანგმა.

ასეა თუ ისე, სუძუკას რბოლა მსხვერპლით დარსულდა და ამას აღარაფერი ეშველება. იაპონელებს ტურნირის გამართვის უფლებას, ალბათ, ისევ მისცემენ, იმის მიუხედვად, რომ ამიერიდან ამ ტარსაზე გასული სპორტსმენები თავს ვერ დააღწევენ კატოზე ფიქრს. სახიფათო სპორტის ეს სახეობაც ისევ დარჩება მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ გასართობად...

ქომაგის ტრიბუნა

თამაზ წიკლაური

## სპორტი განსაზღვრავს ერის ძალას

მარჯანიშვილის მეტროს ქვედა სადგურს (თუ ვესტიბიულს) გენიალური რეჟისორის ფრთიანი გამოთქმა ამშვენებს: "ხელოვნების მიზანი უბრალოა: მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა". ჩემი აზრით, დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ამ სიტყვებს სპორტსაც მივუსადაგებთ; დღევანდელ მსოფლიოში განუზომლად გაიზარდა სპორტის როლი, როგორც უდიდესი სოციალური ძალისა, ერის ადგილის განსაზღვრისა.

მინდა გავიხსენო XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ`ესტენის სიტყვები: "არაფერი ისე არ აღამაღლებს ერის ავტორიტეტს, როგორც გამარჯვება ოლიმპიურ თამაშებზე".

ბერლინის კედლის დანგრევამდე ფედერალურ გერმანიაში მოქმედებდა ჰალშტეინის დოქტრინა; მისი მიხედვით, გფრ ყველანაირ დისკრიმინაციას ატარებდა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც აღიარებდნენ გდრ-ის სუვერენიტეტს; საპირისპიროდ, სსრკ ყველაფერს აკეთებდა, რომ სოციალისტურ გერმანიას გაერღვია იზოლაცია; სსრკ-ის ძალისხმევას ამ საკითხში დამაგვირგვინებელი წერტილი დაუსვა გდრ-ის სპორტულმა მიღწევებმა. ახლა ბევრი იწერება, თუ რა ექსპერიმენტებს მიმართავდნენ გდრ-ის მწვრთნელები და ექიმები შედეგების მისაღწევად, მაგრამ ფაქტი იყო, რომ 20-მილიონიანი გდრ მსოფლიოს მესამე სპორტული ქვეყანა გახდა. იმ დროისთვის დასავლეთის ყველაზე ანტიკომუნისტური პროპაგანდის ორგანოები ერთხმად აღნიშნავდნენ: ის, რაც ვერ შეძლო კომუნისტურმა იდეოლოგიამ, შეძლო სპორტმა. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაარღვია საერთაშორისო იზოლაცია სპორტის მეშვეობით.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ იმ წუმპიდან, რომელშიც ახლა ნამდვილად ვართ, ჩვენი ამომთრევი, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მაინც სპორტია. ქართული სპორტის აღორძინების უპირველესი გზა, ჩემი ღრმა რწმენით, არის უმაღლესი კვალიფიკაციის, მართლაც, დიდი მწვრთნელების მოზიდვა სპორტის შესაბამის სახეობებში. ქვეყანამ უნდა გაიჭირვოს და მსოფლიოს წამყვან სპორტულ ცენტრებში მიავლინოს პერსპექტიული, თავის სახეობაზე ჭეშმარიტად შეყვარებული ახალგაზრდები, მომავალი მწვრთნელები; მადლობა ღმერთს, საამისო რესურსები (ჩვენს ახალგაზრდობას ვგულისხმობ) ნამდვილად არის. ვიმეორებ, დიდი ქართული სპორტის აღდგენა დიდი მწვრთნელების გარეშე შეუძლებელია.

მინდა, გავამხილო ჩემი ერთი დიდი ხნის ნატვრა. მახსენდება რუსული ყოველკვირეული футбол-ის დამაარსებლის მარტინ მერჟანოვის სიტყვები, წარმოთქმული 1961 წლის 18 ნოემბერს, ბუენოს-აირესში, "რივერ პლეიტის" სტადიონზე გამართული არგენტინა-სსრკ-ის მატჩის შემდეგ: "ეს საღამო მიშა მესხის ჭეშმარიტი ბენეფისია".

მკითხველს მინდა გავახსენო, რომ ის თამაში სსრკ-მ მოიგო 2:1; ისიც, რომ მერჟანოვს სულით და გულით უყვარდა ქართული ფეხბურთი. იმ კაცს ნამდვილად დაეჯერება.

ახლა მოგახსენებთ, რატომ ვამბობ ყველაფერ ამას. პრესაში წავიკითხე, რომ წლეულს არგენტინაში ტარდება ქართული კულტურის დღეები. მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო ამ დღეების ოფიციალურ პირებს, რომ მათ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არგენტინის მხარეს სთხოვონ 1961 წლის იმ ღირსშესანიშნავი მატჩის ვიდეოჩანაწერი (თუ აქვთ, რა თქმა უნდა). ის იყო ბოლშევიკების ნაკრების პირველი მატჩი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. მაშინ სსრკ ევროპის ჩემპიონი გახლდათ, არგენტინა კი – სამხრეთ ამერიკისა. თუ როგორმე მოხერხდება ამ უძვირფასესი საქმის გაკეთება, მერწმუნეთ, უამრავ ქართველს საოცარ სიხარულს მოჰგვრით.

მოკლედ

**ფეხბურთი.** იტალიური "რომა" გუნდის ბრაზილიელი მცველის, ალდაირის შემცვლელს ეძებს. ცნობილია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ალდაირი კლუბიდან წავა და სამშობლოში დაბრუნდება. 38 წლის მცველი "რომაში" 1990 წლიდან თამაშობს.

თუ უკანასკნელ ცნობებს დავუჯერებთ, რომაელებმა უკვე იპოვეს ვეტერანი ალდაირის შემცვლელი, ისიც ბრაზილიელი. "რომა" "კორინტიანსის" 29 წლის მცველით, ფაბიო ლუსიანოთი დაინტერესებულა.

ლუსიანო გამოცდილი ფეხბურთელია - ბრაზილიის, სან პაულუს და 2000 წელს გამართული კლუბებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული. ის ბრაზილიის ნაკრების კანდიდატიც გახლავთ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, ჯოვანი ელბერმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, სევილიის "ბეტისში" გააგრძელოს კარიერა. ესპანურ კლუბში მოთამაშე დენილსონი და მარკოს ასუნსაო ცდილობენ, "ბეტისის" ხელმძღვანელობას ელბერის შეძენა აიძულონ. ესპანეთში გადასვლა თავად ელბერსაც ძალიან უნდა. "დენილსონმა და ასუნსაომ ბევრი რამ მიამბეს "ბეტისზე" და იქაურ ატმოსფეროზე. ამ კლუბში დიდი სიამოვნებით გადავიდოდი. არასოდეს დამიმალავს, რომ ესპანეთში თამაშზე ვოცნებობ", - განაცხადა 30 წლის თავდამსხმელმა.

"ბაიერნთან" კონტრაქტი ელბერს 2004 წელს უმთავრდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანული კლუბის ხელმძღვანელობა უკანასკნელ ხანს ამ ფეხბურთელით ძალიან უკმაყოფილოა, "ბეტისში" მისი გადასვლა სავსებით რეალურია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა, პოლ გასკოინმა აშშ-ს ერთ-ერთ სარეაბილიტაციო კლინიკაში ამოყო თავი. ბევრს ეგონა, რომ ისევ ალკოჰოლიზმის გამო, თუმცა, მისი უახლოესი მეგობარი, ჯიმი გარდნერი ამტკიცებს, რომ სასმელი არაფერ შუაშია. "მას დეპრესია აქვს, ღრმა დეპრესია. ის უბედურია. ალკოჰოლი ნამდვილად არაფერ შუაშია", - განაცხადა გარდნერმა.

გასკოინი ჩინეთის მეორე დივიზიონის კლუბ "განზუ ტიანმაში" თამაშობს. მისი მეგობარი ამბობს, რომ გასკოინი ჩინეთში თავს ცუდად გრძნობს და ისევ ინგლისში სურს თამაში.

ჩინური კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის დეპრესიის შესახებ არაფერი იცის. "განზუ ტიანმას" მოთამაშეებს ერთკვირიანი შესვენება ჰქონდათ და გასკოინს შვებულებით ინგლისში გამგზავრება უნდოდა, თუმცა, შემდეგ გეზი შეიცვალა და გადაწყვიტა, დეპრესიისგან განსაკურნებლად ამერიკაში წასულიყო.





ქ.თბილისის 24 საშუალო სკოლის 10ა კლასის 1980 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

**დათო თევზაძე.**

პანაშვიდი: 22-23 აპრილი, 17.00

გამოსვენება: 24 აპრილი, 15.00

მის: თამარ მეფის გამზირი №20

---

**ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს**

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე

კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე

**www.idg-georgia.org.ge**

ან

თვით კავშირში

თბილისი, რუსთაველის **22**

ტელეფონი: **990037**

ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

---

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.

"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

---

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"მარტოობის ბინადარი", რეჟ. ნანა მჭედლიძე; მთავარ როლში, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"უცნობი ქალის წერილი", რეჟ. ლაშა მესხი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**კლუბი „სარდაფი"**
მოძრაობის თეატრი, ერთმოქმედებიანი დრამატული ცირკი "მიმიკრია"
დას: 20:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"გააანალიზე 2"
დას: 14:00; 18:00; 22:00 სთ; ფასი 6-8 ლარი
"რვა მილი"
დას: 16:00; 20:00 სთ; ფასი 6-8 ლარი

**„რუსთაველი"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სახიფათო ადამიანის აღსარება"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"სახიფათო ადამიანის აღსარება"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული კუთხის ნათელი ბინა კაპიტალურ ავტოფარეხთან ერთად. წერეთლის გამზირზე (გამოფენის პირდაპირ) 7(8). ფასი 22 000$. ტერლ: 33-25-20.

იყიდება 11-ოთახიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი საბურთალოზე 400 000-ად ან ქირავდება უცხოელებზე 5 000-ად. 98 32 80

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება ჩეხური პროექტის 3 ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე. კაპიტალური სარდაფით, ავტო ფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24000$. T: 29-17-53; 899 54-84-25

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება ბორტიანი "უაზი", 1988 წლის გამოშვება, ფასი 1000; 298522

## სწავლება

სატენდერო წინადადებების მომზადების და ექსპერტიზის ტრენინგ-პროგრამა პროფესიონალებისთვის. 38-54-78. 899 115545.

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

## სხვადასხვა

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

ვწვრთნი ძაღლებს. დავეხმარები დატოვება-შენახვაში. იყიდება გერმანული ნაგაზის ლეკვები, სტაფორშირტერიერის ლეკვები. ერთ თვეში გაიყიდება როტვეილერის ლეკვები. 897 575116

მოვუვლი ბავშვს იდეალური პირობებით. 32-37-22

ვიმუშავებ მზარეულად პრესტიჟულ რესტორანში. 32-37-22.

ვაკეთებ სამკურნალო და საერთო გამაჯანსაღებელ მასაჟს: ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, ტრამვისა და ოპერაციის შემდგომ პერიოდს, ბრტყელტერფიანობაზე, რადიკულიტი, სხეულის კორექცია, სახის კოსმეტიკური მასაჟი და სხვ. ტელ: 95-79-75 (ბინა) იკითხეთ ვიკა, 95-39-89 (სამსახ. 2.00-6.00სთ-მდე). ლიც.: ოდბ-N0980.

იყიდება სუფთა ჯიშის როტვეილერის ლეკვები. 95 66 66

გვესაჭიროება მიმტანი გოგონები კაზინოში სამუშაოდ მაღალი ანაზღაურებით. 23 71 24

გვესაჭიროება ქალთა და მამაკაცთა სტილისტები, მანიკურშა-პედიკურშა პრესტიჟულ სალონში სამუშაოდ მაღალი ანაზღაურებით. 23 71 24

მოდელების სააგენტო "ფიესტა" იწვევს 10-დან 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს მანეკენებისა და ფოტომოდელების სტუდიაში. მიღება 14-დან 31 აპრილამდე. 38 59 71, 38 94 69

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების კონსულტირება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.

ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის მიღების მსურველი კომპანიების კონსულტირება სატენდერო წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

ვამზადებთ უმაღლესი ხარისხის მასიურ ავეჯს, კარფანჯრებს და კიბეებს, ჯიქიას N8; 8(93)319707 - რამაზი

გთავაზობთ უნიკალურ **ფრანგულ კოსმეტიკას,** რომელიც შესანიშნავია აგრეთვე მოზარდებისთვისაც.
**საგაზაფხულო ფასდაკლება.**
ჩაწერა წინასწარ
899 551722.




## TV პროგრამა 22 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
14.50 ტელეკაზინო
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
19.00 დოკ. ფილმი
19.20 პერეკრესტოკი
19.45 ტელეკაზინო
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა"-„იუვენტუსი"
02.00 ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია"-„ინტერი"
04.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „ბარონი და მისი პატარა უსიამოვნებანი"
11.35 დოკსერიალი „ყველანი ორბიტაზე"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „გულის საიდუმლოებანი"
16.50 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.35 ბასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ჩვენი ფეხბურთი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა" მე-2 ს.

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. უცხ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ექიმი დულიტლი-2"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „გაურკვეველ მდგომარეობაში"

01.40 ფილმი ღამურა „საიმ იქსი"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 ბურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „აფრიკაზე ვოცნებობდი"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „ანაკონდა"
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „ოთხი ქორწილი და ერთი გასვენება"
22.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „ვატერლოოს ხიდი"
01.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში"
12.30 სალონი
14.00 საგავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სალონი"
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 სტუდია „ეკონომისტი"
23.30 მუსიკალური პაუზა
23.45 ტელესერიალი „ყავახანა"
00.00 მხ. ფილმი „გარყვნილი"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 10.45, 14.15, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ.ფ. „მკვლელის წერილები"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „მსოფლიო რაგბი"
15.10 მხ. ფილმი „იაგუარი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 1-ლი ს.
18.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი" 1-ლი ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
21.55 მხ. ფილმი „ურტყი ძვალში"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „გორტს იქით"

### იმედი

17.00, 00.25 იმედის მელოდიები
18.00, 21.00, 00.20 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 „ერთხელ ჰოლივუდში"
21.05 სერიალი „მოქალაქე უფროსი"
22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო „წითური სონია" გ.ნილსონი

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ბიჭუნა ჯუნგლებიდან"
10.35 დოკუმენტარი ფილმი
11.05 დეტექტივი „კონკიაზე ნადირობა" 2 სერია
12.10 მუსიკალური კომედია-დრამა „ჩვეულებრივი სასწაული" 1-2ს.
14.35 სათავგადასავლო ფილმი „მუშკეტერების დაბრუნება"
16.15 მულტფილმი „ბასკერვილების ციხესიმაგრე"
17.25 მელოდრამა „დანგრეული სასახლე"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი"
19.35, 22.35 „Пресс-папье"
19.40 თრილერი „გაზა"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.35 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.40 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
00.50 კომედია „ჩვენ ანგელოზები არა ვართ"
02.30 დოკუმენტური ფილმი
03.20 მუსიკა
04.00 მხატვრული ფილმი „პოლიცია"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 მობილურები
12.45 „ბიორითმი" .
13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.45 კომპიუტერული თამაშები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.45 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ღამის კაპრიზი" - თემა
21.55 მობილურები
22.40 „კინოკლუბი" - „ჩრდილზე მონადირე". მძაფრსიუჟეტიანი.
00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.10 „ბიორითმი" .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 „Десять смертельных акул"
12.05, 17.25, 01.00 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „РОЗЫГРЫШ"
15.00 Теория невероятности. „Сны и сновидения"
15.30 „Формула власти". Президент Индонезии.
16.15 Солдаты свободы: „Тегеранская конференция"
17.15 „Ералаш"
18.00 „Большая стирка"
19.25 Сами с усами
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
23.45 „Александр 2-й. Жизнь. Любовь. Смерть" фильм 3-й
01.15 „На футболе"
01.45 „Русский экстрим"
02.15 Апология
03.10 Сериал „Беглец"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „СМОТРЯЩИЙ ВНИЗ"
10.50 Сериал „ТАЙГА"
11.45, 18.20, 20.50, 05.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 04.15 Агентство одиноких сердец
18.50, 03.05 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
23.05 „Создать „Группу „А". „Уфимские оборотни". 2-я ч.
00.00 Вести+
00.40 Боевик „КОМАНДА ШАРКИ"
03.20 „ТВИН ПИКС"

### НТВ

09.55 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок"
13.05 Комедия „ВАСАБИ"
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Док. драма „Преступление и наказание"
20.35, 00.25 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.35 Футбол. „Барселона" -„Ювентус"
03.25 Дневник лиги чемпионов

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




# ომი მთელი თავისი საზარელი მშვენიერებით

რიდ ჯონსონი
„ლოს ანჯელეს ტაიმსი"

*შეიძლება, რომ, ის, რაც ამდენ სიკვდილსა და ნგრევას იწვევს, იყოს ნატიფი და მშვენიერი? დაეკითხეთ პოეტს ან მხატვარს.*


ერაყელი ლტოლვილები გარბიან


ბრეიგელის "სიკვდილის ტრიუმფი"

ომი ჯოჯოხეთია. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ არის მასში რაღაც მშვენიერი. მშვენიერია "ილიადას" ველური ლირიზმი და ბრეიგელის ბრძოლის სცენის ეპიკურობა, მისი მიკროსკოპული სიზუსტე; მშვენიერია 1943 წლის სექტემბერში, ჟურნალ Life-ში გამოქვეყნებული ფოტოს მომნუსხველი სიმეტრიაც – ახალი გვინეის სანაპიროზე სამი დაღუპული ჯარისკაცი წევს. მსუბუქი ქვიშა ლამის ჩახვრიტონ დამძიმებულმა გვამებმა.

გაიხსენეთ, რა სურათები შემოგრჩათ მეხსიერებაში ბოლო ერაყული ომიდან. ბომბებიდან ადენილი კვამლის ღრუბლები შუქ-ჩრდილებივით იკლაკნება ტელე-ეკრანზე; ქვიშის ნამქერი ნთქავს პალმებს, მინარეთებს, ადამიანებს; უდაბნოს ღამეებს ბასრი სოლივით შუაზე კვეთს აფეთქებების შედეგად წარმოქმნილი სინათლე. დაღვრილი ნავთობის მოელვარე გუბურა ბრიტანელი ჯარისკაცის სხეულს აირეკლავს.

ერთი წამი სჭირდება თვალს, რომ აღიქვას ყოველივე ეს – მხოლოდ წამით თავისი საზარელი კონტექსტიდან ამოღებული სურათები – თვალისმომჭრელი, მომხიბვლელი, მშვენიერი.

"ომი მშვენიერია იმიტომ, რომ ის ქმნის ახალ არქიტექტურას...", - წერდა ფილიპო ტომაზო მარინეტი, ფუტურიზმის ფუძემდებელი იტალიელი პოეტი. როდესაც 1920-იან წლებში ის ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ძირითად პრინციპებს აყალიბებდა, პოეტი ხოტბას ასხამდა **ომს, როგორც შესანიშნავ საორკესტრო პარტიტურას, დაწერილს ტყვიების, ცეცხლის ალისა და სისხლისთვის** (მოგვიანებით ეს ესთეტიკა ბენიტო მუსოლინიმ და ადოლფ ჰიტლერმა სათავისოდ გამოიყენეს)...

შესაძლოა, ადამიანებს, რომლებმაც ომის საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადეს, მარინეტის განმარტება გულუბრყვილო, გროტესკული ან სულაც აბსურდულიც ეჩვენოთ. მაგრამ ფაქტია, საუკუნეების განმავლობაში ომი და ესთეტიკა შორი-შორს ნამდვილად არ მდგარან. ლეონარდო და ვინჩიც კი, რომელიც დელიკატურ წმინდანებს ხატავდა, უბის წიგნაკს სატანური საბრძოლო მანქანების ესკიზებით ავსებდა. უფრო აქეთ, მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეებში კი იაპონიის ხელისუფლება ათასობით ახალგაზრდა ჯარისკაცს უკიჟინებდა, რომ **დიდი იმპერატორის ღირსების დასაცავად ბრძოლის ველზე დაცემულიყვნენ ისე, "როგორც ალუბლის ყვავილის მშვენიერი ფურცლები მოფარფატებენ ხის ტოტებიდან მიწისკენ"**. ეს ძალიან დახვეწილი, ლამაზი მეტაფორა იაპონიის მთავრობამ ძველი იაპონური კულტურიდან აიღო და შექმნა საშემსრულებლო ხელოვნების ყველაზე ფატალური ნიმუში – ერთმანეთს შეუზავა ანტიკური ესთეტიკა და საომარი პროპაგანდა. შედეგად კი მიიღო ძალზე შთამბეჭდავი მოწოდება, რომელსაც ყოველი იაპონელი, მართლაც, უსიტყვოდ დაემორჩილებოდა. პირტიტველა ჯარისკაცებიც, რომელთაც იაპონური ტრადიციები ლამის სისხლში ჰქონდათ გამჯდარი, იმპერატორის ღირსების დასაცავად უყოყმანოდ კვდებოდნენ იმ მაგიური შედარებით ძალამიცემულები, რომ, მართლაც, ჰგავდნენ ხიდან ჩამოვარდნილ ალუბლის ყვავილის მშვენიერ ფურცლებს...

მეტიც, ხშირ შემთხვევაში, თვით ომის წინააღმდეგ განწყობილი ხელოვანებიც კი ვერ უვლიან გვერდს ბრძოლის მშვენიერებას. გაიხსენეთ გოიას სერიები Los Desastres de la Guerra, ანდა, ოლივერ სტოუნის, ფრენსის ფორდ კოპოლასა და სტენლი კუბრიკის ანტი-ვიეტნამური ფილმები. ეს კინო-სურათები მაყურებლის სიმპატიას, პაციფისტური განწყობილების გარდა, სწორედ მშვენიერი სცენების, შთამბეჭდავი მხატვრული ფორმებისა და ვაგნერის მუსიკით იწვევს.

ვერნერ ჰერცოგიც 1991 წლის სპარსეთის ყურის ომზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში "წყვდიადის გაკვეთილები" წარმატებით იყენებს კლასიკურ მუსიკას. ვერდის, ვაგნერისა და მალერის მუსიკის თანხლებით ერთდროულად საზარელ და ლამაზ კადრებს ვუცქერთ. მაყურებელიც, ბუნებრივია, აღიარებს, რომ ომი საშინელებაა, მაგრამ ამავე დროს გულწრფელად და დარცხვენით აცხადებს – ჰერცოგი თავის ფილმში ბრძოლების უმშვენიერეს სურათებს ხატავსო.


ჰუსეინის ძეგლი დანგრეულ ბაღდადში



ოლივერ სტოუნის ანტი-ვიეტნამური სურათი

თუმცა, ჰერცოგის შემთხვევაში საქმე გვაქვს 1991 წლის მოვლენებთან. ახლა კი ავღანეთსა და ერაყში, ვაშინგტონსა და ნიუ იორკში მომხდარი მოვლენებიდან ისე ცოტა დროა გასული, რომ, შესაძლოა, ხალხს გაუჭირდეს კიდეც ამ საზარელი შემთხვევებისთვის ესთეტიკური დატვირთვის მინიჭება. თუმცა, გავა დრო და ბევრ დოკუმენტურ მასალას უდავოდ განიხილავენ არა მხოლოდ როგორც ჟურნალისტურ დოკუმენტს, არამედ, როგორც ხელოვნების ნიმუშს. ეს ნიმუშები კი, თავის მხრივ, ახალი შედევრების შესაქმნელად შთაგონებას მისცემს ნამდვილ ხელოვანებს.

## რას ფიქრობს სონტაგი

თავის ბოლო წიგნში "სხვათა ტკივილის შესახებ" მწერალი და კრიტიკოსი სიუზენ სონტაგი საუბრობს ფოტოგრაფიაზე და აცხადებს: **"ერთის მხრივ, სირცხვილია, უყურო ახლო ხედით გადაღებულ საშინელებათა კადრებს, რომლებიც ნამდვილ ტანჯვას გადმოსცემენ. ალბათ, ამ ფოტოების დათვალიერების უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისაც შეუძლია კიდეც, რომ ფოტოდან გადმოღვრილი ტკივილის შესამსუბუქებლად რამე გააკეთოს... ჩვენ კი, დანარჩენები, ვისაც ამის ძალა არ შეგვწევს, უბრალოდ, ცნობისმოყვარე მაყურებლები გამოვდივართ, გვინდა ეს თუ – არა."**

სონტაგი აღიარებს, რომ ფოტოები, რომლებიც დიდ ტრაგედიებს, ტერაქტებს აღწერენ, წმინდა ესთეტიური გადასახედიდან შესაძლოა, მშვენიერები იყვნენ. მაგალითისთვის მწერალი დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შთამბეჭდავ კადრებს იხსენებს.

თუმცა, მწერალი იქვე აღნიშნავს: ყოველი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი თავს დამნაშავედ გრძნობს, თუ სიამოვნებას იღებს ისეთი რამისგან, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სხვათა ტანჯვასთან. მართლაც, როგორ შეგვიძლია, თუნდაც წამიერად, გავთიშოთ ჩვენი შინაგანი ეთიკური და მორალური კოდექსი და მივცეთ თავს უფლება, დავტკბეთ ბაღდადის თავზე აღმართული ფსიქოდელიური, დამაბრმავებელი შუქით; ჯარებისა და ტანკების ნიაღვარით, რომელიც სერავს დაღარულ, გამომხმარ უდაბნოს; ქვედა მანჰეტენის დიდებული ცათამბჯენებით, რომლებიც ძირს ფოლადისა და შუშის ცუნამივით იღვრება. როგორ შეგვიძლია, განზრახ გადავიკრათ თვალებზე ლიბრი, რათა არ დავინახოთ დასახიჩრებული გვამები, დავიხშოთ ყურები, რათა არ შევისმინოთ განწირულთა კივილი...

და მაინც, ომის ესთეტიზაციის ცდუნება ისეთივე ძველი და ისეთივე ინსტინქტურია, როგორც თვითონ ომის გამომწვევი იმპულსი. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ თავად მშვენიერება, რომელიც ტროელ ელენეშია განსხეულებული, ტროელებსა და ბერძნებს შორის ათწლიანი ომის მიზეზი გახდა. ანუ, მარსისა და ვენერას მსგავსად, რომელთაც ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში ფარულად უყვარდათ ერთმანეთი, ომიცა და მშვენიერებაც ადამიანის ფსიქიკაში ერთმანეთზე გადაჯაჭვულად განიხილება.

## სიტყვა ეძლევა კომპოზიტორებს

გერმანელ კომპოზიტორს, კარლ ჰაინც შტოკჰაუზენს მსოფლიო კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს ერთი მოსაზრების გამო, რომელიც მან 11 სექტემბრის მოვლენების შესახებ გამოთქვა. **ტერაქტები გახლდათ "ხელოვნების უდიდესი ნიმუში, რომლის წარმოდგენაც კი ადამიანს შეუძლია... გონებამ მიაღწია იმ ზღვარს, რაზეც მუსიკაში ვერც ვიოცნებებდით. ადამიანები ათი წლის განმავლობაში გადიოდნენ რეპეტიციებს, ფანატიკური სიჯიუტით ემზადებოდნენ კონცერტისთვის და შემდეგ დაიღუპნენ. წარმოიდგინეთ რა მოხდა იქ. 5 ათასი ადამიანი თვალის დახამხამებაში გადასახლდა იმქვეყნიურ სასუფეველში. მე ამას ვერასდროს გავაკეთებდი. ამ ყველაფერთან შედარებით ჩვენ, კომპოზიტორები არარაობანი ვართ"**. თუმცა, შემდეგ გამძვინვარებული საზოგადოების გამო შტოკჰაუზენმა შეიცვალა აზრი და დასძინა, რომ **მხოლოდ ლუციფერს შეეძლო ედირიჟორა 11 სექტემბრის ტერაქტებისთვის.**

გაცილებით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც უმშვენიერესი "მუსიკალური რეაქცია" მოჰყვა ტერაქტებს ჯონ ადამსის საორკესტრო ნაწარმოების სახითაც. კომპოზიტორმა ორიოდე კვირის წინ პულიცერის პრიზიც მიიღო ნაწარმოებისთვის "სულთა გადასახლების გზაზე", რომელსაც ნიუ იორკის ფილარმონიის ორკესტრი და ბავშვთა გუნდი ასრულებს, მუსიკას ფონად გაჰყვება აუდიო-ჩანაწერიც, რომელშიც 11 სექტემბერს დაღუპულთა სახელებს კითხულობენ, ალაგ-ალაგ ისმის ქუჩის ხმაურიც. ჯონ ადამსის თქმით, ეს ნაწარმოები იგივეა, რაც "მოგონებების კუთხე, სადაც შეგიძლია ფიქრებთან და ტკივილთან ერთად განმარტოვდე".

ამ ყოველივემ და განსაკუთრებით შტოკჰაუზენის ფრაზამ ახალი აქტუალობა შესძინა გერმანელი ფილოსოფოსის თეოდორ ადორნოს ცნობილ ეპიგრამას: **"ბარბაროსობაა, დაწერო ლექსი აუშვიცის შემდეგ"**. მაგრამ ფაქტია, აუშვიცის შემდეგ ლექსიც დაიწერა, პიესაც დაიდგა, ფილმიც შეიქმნა, ტილოც დაიხატა, მუსიკაც შესრულდა. და ეს ყველაფერი აუშვიცის შემდეგ. მეტიც, მრავალი მათგანი სწორედ აუშვიცის შესახებ იყო.

■ ■ ■

თუმცა, კითხვა, ალბათ, ასე უნდა დაისვას: რა მიზანს ვემსახურებით, როდესაც ომის ესთეტიკას ვქმნით?

ჩემი აზრით, სულაც არ არის მთავარი, უყურებ თუ არა ომის ამსახველ ფოტოს, კითხულობ თუ არა ბრძოლის შესახებ დაწერილ ელეგიას, უსმენ თუ არა მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც ათასობით დაღუპული ადამიანით იყო შთაგონებული, რადგან ამით ტრაგედიის მსხვერპლთ მაინც ვერაფრით ეხმარები.

ჩემი აზრით, მთავარია ის, თუ რას აკეთებ აუშვიცსა და ჰიროსიმაზე, ან სულაც ბასრასა და ბაღდადზე ლექსის დაწერის შემდეგ (თუმცა, ამ უკანასკნელთა გამო ლექსები, ალბათ, ჯერ არ შექმნილა); რას აკეთებ ომის თემატიკაზე გაკეთებული ფოტო-გამოფენის დათვალიერების შემდეგ; რას აკეთებ ომზე გადაღებული ფილმიდან გამოფხიზლებისა და კინო-თეატრიდან ისევ დღის შუქზე გამოსვლის შემდეგ.

"დაე, გვდევნიდეს შოკისმომგვრელი, საზარელი წარმოსახვები, - წერს სონტაგი, - თუნდაც ისინი მხოლოდ სიმბოლოები იყვნენ და ვერ შეძლონ რეალური სურათის ბოლომდე გადმოცემა, მათ მაინც სასიცოცხლო ფუნქცია ენიჭებათ. ეს სურათები ღაღადებენ: "ეს გახლავთ ის, რისი გაკეთების უნარიც ადამიანებს შესწევთ. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ საკუთარი სურვილით, თვითკმაყოფილებით".

ამ შოკისმომგვრელ, საზარელ წარმოსახვებს შეიძლება, კიდევ ერთი ფუნქცია მივანიჭოთ: ისინი ახალ დროსა და სივრცეში მორიგი საზარელი მშვენიერების დაბადებაზე მიგვანიშნებენ.

**P.S.** სტატია იბეჭდება შემოკლებით.



# ჯეკი ნიუ ჯერსიდან

## დღეს ჯეკ ნიკოლსონის დაბადების დღეა

მის შესახებ წიგნები დაწერილა. მისი სახელი უამრავი კინოფილმის ტიტრებზე ჩნდება. ჯეკ ნიკოლსონი ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდა გახლავთ.

შოუ-ბიზნესში მოღვაწეობა ჯეკ ნიკოლსონმა 17 წლის ასაკში დაიწყო. ის ვილიამ ჰანას ოფისში თანაშემწედ მუშაობდა, ანიმაციის განყოფილებაში. მისი სრულმეტრაჟიანი დებიუტი როჯერ კორმანის დაბალბიუჯეტიანი ფილმი "ატირებული მკვლელი" (1958) იყო.

37 წლის ჯეკმა აღმოაჩინა, რომ ქალი, რომელიც მანამდე თავის უფროს დად მიაჩნდა, დედამისი იყო, ის კი, ვისაც დედად თვლიდა, ბებია ყოფილა. ნიკოლსონზე ამ ამბავმა სასტიკად იმოქმედა. მოულოდნელობები თითქოს არც მანამდე აკლდა – უამრავი ქალი ეუბნებოდა, რომ მისგან შვილი ჰყავდა გაჩენილი, – მაგრამ მაინც. რაც უკანონო შვილებს შეეხება, მისი მამობის დამტკიცება დღემდე მხოლოდ ერთმა ოფიციანტმა შეძლო. თავის დროზე ამ ცნობამ ნიკოლსონს მსახიობ ანჟელიკა ჰიუსტონთან ურთიერთობა გაუფუჭა, არადა, ისინი 1973-დან 1990 წლამდე ერთად იყვნენ.

ტიმ ბარტონის ფილმში, "ბეტმენში" ჯოკერის როლის შესრულების შემდეგ ნიკოლსონმა ძალიან სარფიანი ხელშეკრულება დადო, და სუვენირების გაყიდვის უფლებისათვის დამატებით 20 მილიონი დოლარი მიიღო. კონტრაქტი საუკეთესოდ იყო შედგენილი, იმდენად, რომ ნიკოლსონს ფული ფილმის გაგრძელებამ, "ბეტმენი ბრუნდება"-მაც მოუტანა, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს ამ ფილმში არ უთამაშია.

ფრიად თავისებური ადამიანი ბრძანდება. თავის დროზე საუკეთესო როლებზე უთქვამს უარი: შემდგომში "ოსკარზე" წარდგენილ ალ პაჩინოს როლზე "ნათლიმამაში", "ოსკარზე" წარდგენილ რობერტ რედფორდის როლზე ფილმში "ნესტარი", ასევე "ოსკარზე" წარდგენილ ჯეკ ლემონის მიერ შესრულებულ როლზე



*ჯეკ ნიკოლსონი*

"ჩინეთის სინდრომში", და როლზე, რომლისთვისაც ჯონ ვოიტმა "ოსკარი" მიიღო – "გზად შინისაკენ".

მიუხედავად ამისა, ის მამაკაცთა შორის მაინც ყველაზე მეტი – 11 "ოსკარის" მფლობელია. მას მხოლოდ ლეგენდარულმა კეტრინ ჰეპბერნმა აჯობა, ისიც მხოლოდ ერთი "ოსკარით".

# უჩვეულო საქველმოქმედო აუქციონი

კინოს, მუსიკისა და მოდის ვარსკვლავებს უჩვეულო იდეა დაებადათ. სინდი კროუფორდი, პამელა ანდერსონი, როდ სტიუარტი, შერილ კროუ, ჯენიფერ ენისტონი, ბეტ მიდლერი და შოუბიზნესის სხვა ცნობილი წარმომადგენლები საქველმოქმედო აქციას იწყებენ. ამაში უცნაური ნამდვილად არაფერია, მაგრამ უცნაურია აუქციონზე გატანილი ნივთები. ვარსკვლავებმა გადაწყვიტეს საკუთარი ბიუსტჰალტერების უნიკალური მოდელები ჰოლივუდის საქველმოქმედო ინტერნეტ აუქციონის მეშვეობით გაყიდონ; აუქციონს Hollywood Bra Art Sale ჰქვია და უკვე მიმდინარეობს "სოთბის" აუქციონის საიტზე - Sothebys.com

აუქციონზე გატანილ ყველა ლოტს ერთვის ვარსკვლავის ავტოგრაფი და ესკიზების პატარა ბროშურა, რომელშიც მოდელზე მუშაობის პროცესია ასახული. წარმოდგენილ ლოტებს შორის საკმაოდ საინტერესო მოდელებს შეხვდებით – მაგალითად, ჯენიფერ ენისტონის ბიუსტჰალტერს მისი ქმრის – ბრედ პიტის ხელის გამოსახულებით; ბეტ მიდლერმა შექმნა მოდელი ორი მზესუმზირით, რომელთა ფურცლებიც ფუტკრის ფრთებისგან არის დამზადებული. სიუზენ სარანდონმა და მისმა ქალიშვილმა ევამ დიზაინერებს ჯიმ მორისონის გამოსახულებიანი ბიუსტჰალტერები შეუკვეთეს. ჯერჯერობით შერილ კროუს ბიუსტჰალტერი ლიდერობს – ეს მოდელი 159 გიტარის მედიატორისგან არის გაკეთებული, ამ მედიატორებში კი 4 ათას 115 დოლარი დაიხარჯა. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ აუქციონის შემოსავალი სულ ცოტა 100 ათასი დოლარი მაინც იქნება.

ამ ორიგინალური პროექტის ავტორი მსახიობი ტეა ლეონია, სპონსორები კი "სოთბის" პარტნიორი



*პამელა ანდერსონი*

კომპანია EntertainmentRarities და ქალის თეთრეულის მწარმოებელი კომპანია Frederick's of Hollywood არიან. შემოსული თანხა გადაეცემა ორგანიზაცია Expedition Inspiration Take-A-Hike-ს და მოხმარდება მკერდის კიბოს გამოკვლევებს ლოს ანჯელესის სამედიცინო ცენტრებში.

# ნიკოლ კიდმანის ახალი წოდება

"ოსკარის" მფლობელს, ნიკოლ კიდმანს, კიდევ ერთი საპატიო წოდება მიანიჭეს. ამერიკის მოდელიორთა საბჭომ ის 2003 წლის "მოდის კერპად" აღიარა. გასულ წლებში ამ პრემიის ლაურეატები სხვა კინოვარსკვლავებიც იყვნენ: ოდრი ჰეპბერნი, სოფი ლორენი და ელიზაბეტ ტეილორი.

ამერიკის მოდელიორთა საბჭოს შემადგენლობაში 450 ადამიანია, მათ შორის დიზაინერები, ძვირფასი მაღაზიების მფლობელები და ჟურნალისტები, რომლებიც მოდის შესახებ წერენ. თავად პრემიას კიდმანი საზეიმო ცერემონიაზე მიიღებს, რომელიც 2 ივნისს ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში შედგება.

"კიდმანის სტილი ეკრანზეც და ცხოვრებაშიც მოდაზე უდავოდ ახდენს გავლენას," თვლის მოდელიორთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი პიტერ არნოლდი. "მან კინოში მრავალი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ჩაცმის საკითხებში თანდაყოლილი გემოვნება აქვს. ამავე დროს, კიდმანმა თავისი განუმეორებელი, ელეგანტური სტილი შექმნა და სხვადასხვა ქვეყნებში ნამდვილ კერპად იქცა".

35 წლის მსახიობმა წელს "ოსკარი" "საათებში" შესრულებული ვირჯინია ვულფის როლისთვის მიიღო. დეპრესიაში მყოფი მწერალი ქალის სახე თავისთავად გულისხმობდა, რომ კიდმანს ფილმში ერთობ უგემოვნოდ უნდა სცმოდა. გარდა ამისა, გმირ ქალთან გარეგნული მსგავსების მისაღწევად მსახიობს ისეთი ცხვირი "მიაბეს", რომ მის თაყვანისმცემლებს თავიდან მისი ცნობაც კი გაუჭირდათ.

სამაგიეროდ, "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზე კიდმანი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. თუმცა, არ ბრჭყვიალებდა: შავი კაბა ეცვა, ერაყის ომის განწყობის შესაბამისად – ცერემონია ხომ სწორედ ომის დღეებში ჩატარდა.

კიდმანს, რომელიც ცოტა ხნის წინათ თავის მეუღლეს, ტომ კრუზს გაშორდა, მსოფლიო აღიარება კინოფილმებმა "მულენ რუჟმა" და "სხვებმა" მოუტანა. მისი მომდევნო ნამუშევარი ჩარლზ ფრეიზერის რომანის მიხედვით გადაღებული "ცივი ომი" იქნება – ეს სურათი აშშ-ს სამოქალაქო ომის შესახებ მოგვითხრობს.



*ნიკოლ კიდმანი*




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## კროსვორდი





იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში